ლიტერატურული გაზეთი

№15(151) 31 ივლისი - 3 სექტემბერი 2015 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2000-2014

2010

*

ყველანაირი საფუძველი არსებობს, არ გჯეროდეს მოქმედი რელიგიების მიერ წარმოდგენილი ღმერთ(ებ)ის არსებობისა. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო — სასოწარკვეთის მომენტ(ებ)ი — როცა თავის ყველა მოსაზრებას, არგუმენტს, მსოფლმხედველობას დაყრის და ხვეწნას და ვედრებას — ლოცვას იწყებს.

მე, მაგალითად, ღამეული მიწისძვრებისას შემმთხვევია რაღაც ასეთი.

სწორედ ეს ხომ არ არის-მეთქი ზოგის რწმენის დასაყრდენი? მსგავსი მომენტები ახსოვს და უწინარესად სწორედ მათი არსებობა სწამს მაშინაც, როცა ასეთი მომენტები არ დგას.

ეს, არ ვიცი, რამდენად „სწორი“ საფუძველია რწმენისთვის, მაგრამ იქნებ უფრო ღირსეული პოზიციაა — წინასწარ და ყოველთვის აღიარებდე იმის არსებობას, ვინც არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ იცი, რომ ყველაზე მძიმე წუთებში მხოლოდ ის აღმოჩნდება შენს გვერდით, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა.

*

ის, ვინც შენ ხარ, როგორ ხარ შენ? როგორ ხარ შენ ის, ვინც შენი სხეულიდან იყურება? ერთ-ერთი ხარ, მაგრამ ამავე დროს შენ ხარ...

მოკლედ, შენ როგორ ხარ შენ?

და რატომ არ არის ეს კითხვა მთავარი რელიგიებისთვის, მსოფლმხედველობებისთვის, თეორიებისთვის?

ამაზე პასუხმა ხომ, შეიძლება, ყველაფერი ყირაზე დააყენოს. შეიძლება, სიცოცხლის არსის შემეცნება დაიწყოს ამ პასუხმა/ამ პასუხიდან.

ჩემი წინაპრების ჯაჭვი პირველი ან ერთ-ერთი პირველი ცოცხალი უჯრედით იწყება, და აი, დღეს მე გავჩნდი. და ეს „მე“ არც აქამდე ყოფილა და არც ჩემს მერე იქნება...

ვახ!..

და ასე დაუსრულებლად შეიძლება ვახვახი...

*

აბა, საიდან — ეს ყოვლის წამლეკავი ლტოლვა?

ვიღაცას სჭირდება ჩვენი გამრავლება.

*

შვილი — იქნებ ცხოვრება კი არ უნდა ასწავლო, უნდა დააკვირდე — იქნებ ცხოვრება გასწავლოს...

II-III

ბათუ დანელია

არვინ იცის

ვიცი, თვალს ხიბლი რომ
მრავალჯერ შემოსვია.
ვიცი, რომ მაჟრჟოლებს... და გულშიც ემოცია
აკეთებს ვულკანის ლავისებრ მოძრაობებს,
როდესაც ვარდი და პეპელა კოცნაობენ.
ვიცი, რომ ვმრავლდები, როდესაც კამარიდან
ვარსკვლავებს სხივიც კი
არ უნდათ ამარიდონ.
ვიცი, რომ ვნეტარებ, როდესაც ალუბლები
ჰყვავიან და თეთრი უხმობით მგალობლობენ...
ვიცი, რომ... მაგრამ ის არ იცი, ჩემოთავო,
მიწისთვის ზეციდან რა უნდა შემოთვალონ.
შენ ისიც არ იცი, რად მორბის ქარიციდან,
არც წვიმის, არც თოვლის მიზეზი არიციდა...
ვინ იცის, სულს ცისქვეშ რა ძალა არავანებს
და ცისკენ რა უძღვის სულების ქარავანებს,
ან ფრენა სულებმა უხორცოდ რადიციან
და სულ რად გრძელდება მაგათი ტრადიცია,
ან რაა მიზეზი კვდომის და დაბადების
და მათთვის დღეები რად გახდნენ რაბათები!..
აღარც ის იციან, რას უმხელს ღამელოდებს,
აღარც ის იციან, ხეს რაღა ამელოტებს,
ან როგორ კეთდება მკვდარი მზის კრემაცია
იმ ცეცხლში,
რომელმაც ყოველთვის შემაცია...
აღარც ის იციან, წლებს რა რევს ტიციანთან...
აღარც ის იციან... აღარც ის იციანდა
აღარც ის... აღარც ის... და ისიც არვინიცის,
მაიმუნს სათქმელი
რა ჰქონდა დარვინისთვის...

ძეგლი მარტოობისა

მსხალ-ვაშლი თქვენ,
მე კი — მაჟალო, პანტადა
ჩემი მარტოობის ძეგლს ვაგებ თანდათან...
რას მირჩევთ —
რანაირ ფორმას და შინაარსს? —
არ უნდა იკითხონ: „ვისია?“ „ვინაა?“
და მაინც როგორი ჯობია რომ იყოს —
ტრაგიკულს მირჩევდით
თუ უფრო — კომიკურს?!
არც პლატონს მსურს ჰგავდეს
და აღარც ციცერონს.
არ ვიცი, როგორი გამოვა, ვიცირომ
ჩემი მარტოობის ძეგლს ვაგებ, სკულპტურას,
რითაც მსურს დავნერგო ახალი კულტურა,
ანუ ვთქვა, რომ ვკაფავ უსიერს ეკლიანს
და რომ ხელოვნება დიახაც ძეგლია
იმ მარტოობისა, რომელშიც როლიაქვს
ხელოვანს ქვისმთლელის და მისთვის ცოლიან
დობილი არაა მთავარი, არამედ —
ცოლად და დობილად გაუხდეს ვარამი... —
ეს ვიცი და მეტი არ ვიცი არცარა,
და უნდა გადვიქცე გამჩენის მარცვალად
ამ მარტოობაში, ძეგლად რომ ვაგებდა
დადგმა რომ მოუწევს ძეძვებთან, ჯაგებთან,
იქ, სადაც დაყრიან გამომწვარ ქვანახშირს,
აბა ძეგლს, უცნაურს, ვინ დადგამს ქალაქში!
და მე მარტოობის უცნაურ ძეგლსვაგებ,
არ ვიცი, როგორი გამოვა ეგსაქმე,
ვიცი, რომ დრო არი ყველაფრის რანდა და...
ჩემი მარტოობის ძეგლს ვაგებ თანდათან.

IV-V

*

სიყვარულში (სულ ცოტა — ხშირად და თითქმის) არაფერია კეთილშობილური. ყოველ შემთხვევაში, უფრო კეთილშობილური სიყვარულის (შენდამი მომართულის) პატივისცემა და დაფასებაა.

*

ადამიანს, მგონი, მის მიმართ სხვათა განწყობა აბერებს. აი, ელაპარაკები, ვთქვათ, 15 წლით უმცროსს და უცებ მის განწყობას გრძნობ. ეს ხდება ერთხელ, მეორედ... არადა, თვითონ ამას საკუთარ თავზე არც იფიქრებდი...

*

ყველაფერზე ყოყმანი. ეს, რა თქმა უნდა, მეტისმეტად არაპრაქტიკულია; და ცოტა უცნაურიც (გაუგებარიც) — ადამიანისგან, ვინც თითქმის მთელი ცხოვრება დაკარგა, და ვისთვისაც — ეს-ესაა თქმულიდან გამომდინარე — დარჩენილი ყველაფერი თითქმის არაფერია.

მაგრამ, ამასთან, ყოველ წვრილმანზე ყოყმანი — ესაა არჩევანის არსებობის პატივისცემა, მისი მნიშვნელობის გათვალისწინება — როგორც მოვლენისა, როგორც ღირებულებისა, როგორც „გამოგონებისა“ სამყაროს გამოგონებათა შორის... და არა — მომავალი პრაქტიკული ცხოვრებისთვის.

რა ვიცი, თავის მართლება მაინცდამაინც არ მჩვევია...

*

ბოროტსა სძლია კეთილმან, კეთილი ყოველთვის ამარცხებს ბოროტს, და ასეთები — რა უმოწყალო წაქეზებაა — პირდაპირ საზარბაზნე ხორცად გაწირვა — ოღონდ კეთილი იყავი და იარაღიც კი არ გჭირდება — ასეც დაამარცხებ და ისეცო.

*

მარტივად ვთანხმდებით, რომ ქუჩაში ნაგვის დაყრა არ შეიძლება.

საჯარო ბილწსიტყვაობა, ან სხვისი ღმერთის შეურაცხყოფა, ან სხვა ასეთები რით სჯობს ნაგვის ქუჩაში დაყრას?

*

სახელმწიფოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ისე მართავს, როგორც სურს, საჭიროდ მიიჩნევს და შეუძლია; სჭირდება ოპოზიცია, რომელიც ამ მართვას აკრიტიკებს და ეძებს ნაკლოვანებებს, რათა დაარტყას; სჭირდება... ყოველ შემთხვევაში, ვეღარსად გაექცევა და უნდა ჰქონდეს — „არასამთავრობო სექტორი“, სადაც ადამიანებს თავიანთი ადგილი თუ შემოსავლის წყარო უპოვიათ და ფორმატის მიხედვით მოქმედებენ; და კიდევ, სჭირდება ხალხი, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ეს ყველაფერი, ანუ დემოკრატია სჭირდება.

*

სიბრძნის თქმა კიდევ შეიძლება.

ბრძნულად თქმა აფუჭებს ხოლმე ყველაფერს.

2011

*

პოეზია ღმერთის ფაზაშია: გწამს — არის, არ გწამს — არ არის.

ცოტას სწამს.

*

სინათლე, მეტი სინათლე! პოეზიას გამოადგებოდა ეს დევიზი.

*

დღეს იმაზე მეტი „სიცოცხლე“ „მოეთხოვება“ პოეზიას, ვიდრე მოეთხოვებოდა. ადრე თითქმის ყველანაირი პოეტური პროდუქტის გაპიარება შეიძლებოდა. ახლა რაღაც ჯადოსნობაა საჭირო, პოეზია რომ მნიშვნელოვან მოვლენად გამოჩნდეს, მით უმეტეს, რამეზე გავლენა იქონიოს.

*

მოდი, დღეს ასე ვთქვათ: აზრების გამოხატვის ხელოვნება, და არა — აზროვნების ხელოვნება. თუ მაინცდამაინც აზროვნებაზეა საუბარი. გრძნობების შემთხვევაში — გრძნობების გამოხატვის ხელოვნება და არა — გრძნობების ხელოვნება. საბოლოო ჯამში — გამოხატვის ხელოვნება.

პოეზიაზეა ლაპარაკი.

*

მადნიდან მაღალი ხარისხით გამოქაჩული ოქროა ოქრო. ყელზე მადანჩამოკიდებული არავინ მინახავს.

*

ლექსის წაკითხვა, სასურველი თუ არა, შესაძლებელი მაინც უნდა იყოს.

ეს — ერთგვარი გროტესკით თუ ვიტყვით. თორემ, ისე, ლექსმა ჯერ თვითონ უნდა წაგაკითხოს თავი და მერე თვითონვე დაგამახსოვროს.

ეს ასეა და დროა, ამაზე ჭოჭმანს მაინც მოვრჩე.

ჩემთან ასეა.

*

(რითმიანი) ლექსის წერა:

იმ სამყაროში გაჩერებაა. არა იმის სწრაფად დაწერა და გამოსვლა, რისი დაწერაც თავიდანვე გინდოდა. იმ სამყაროს შეგრძნობაა. და თან ქმნა. იმიტომ, რომ ის სამყარო ჯერ მოუხელთებელია, ჩანასახოვანი. თავიდან ხილულად და ხელშესახებად მხოლოდ მისი ფრაგმენტები არსებობს. აქ რაღაც ფრაზაა. იქით რითმა ჭიატობს. არის კიდევ ზოგადი განწყობის ნისლი, მოლოდინი, ჭვრეტა თითქოს სამგანზომილებიანი, „მესამე თვალისთვის“ განკუთვნილი ნახატისა. ილუსტრაციისთვის: აქ სახლი დგას. მოშორებით ყვავილი ჩანს. ქარი უბერავს... და ეს ყველაფერი ხელს კი არ უშლის ერთმანეთს — პირიქით — ამ საფუძვლებზე ამოიზრდება დანარჩენი და იქმნება სრულყოფილი სამყარო.

*

აი, ის კი საშინელებაა: სტროფის ბოლოს რითმას რომ ვერ პოულობენ, ამიტომ წერტილს მეოთხე სტრიქონის დასასრულამდე სვამენ, სტრიქონის ბოლოში წერენ ნებისმიერ სიტყვას — ოღონდ კი რითმად გამოდგეს და შემდეგ — მომდევნო სტროფში აგრძელებენ აზრს. ერთი შეხედვით, მარტივი გამოსავალია, მაგრამ არ არის გამოსავალი, იმდენად აშკარაა ამ კომბინაციის საფუძველი — პროფესიული სისუსტე.

*

ზოგჯერ თვეების განმავლობაში ვეძებ ან/და ველოდები საჭირო სიტყვას, ფრაზას. მთარგმნელი ამას იზამს?

არა!

*

სახელებს ადამიანები არქმევენ. ხვალ შეიძლება იმას დაარქვან პოეზია, რაც დღეს არამც და არამც არ არის პოეზია. და ის იქნება პოეზია. და არა ეს, რაც დღეს არის.

*

აღარ ვიცი, რა ჯობს: პოეზიაზე სულ არაფრის თქმა, თუ ამ სისულელეების ლაპარაკი.

*

ავტორი გაფრთხილებთ: ტექსტში მოყვანილი ფაქტები და მისი პათოსი არ შეესაბამება რეალობას. ყოველივე ქვემოთქმულის დაჯერებამ და მისი მორალითა და პრინციპებით ცხოვრებამ შეიძლება სერიოზული ზიანი მოუტანოს თქვენს კეთილდღეობას და ჯანმრთელობასაც კი.

— ზღაპრის და მისთანათა წინასიტყვაობისთვის.

*

სულაც არ არის კარგი და სატრაბახო ამბავი, თუ შენს მოთხრობასა თუ რომანში „ყველა პერსონაჟი შენ ხარ“. ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ გამოსავალი იპოვე, რაკი სხვა პერსონაჟების დახატვა, სხვის ტყავში შეძრომა არ შეგიძლია.

(გამონაკლისია შემთხვევა, როცა იდეური გამიზნულობით აკეთებ ამას, როცა ვთქვათ, ყველა არსების (ყველა პერსონაჟის) ერთარსად ყოფნის ჩვენება ან რამე მსგავსი გინდა)...

*

თარგმანს შანსი აქვს, უბედურების მომტანად იქცეს, როგორც სასაუბრო ენისთვის, და მით უფრო ჟურნალისტიკის ენისთვის, ისე მწერლობის ენისთვისაც.

*

ლიტერატურა, კითხვა, რაღაცის, რაღაცის და ჰა, კიდევ რაღაცის მოყირჭების შემდეგ მაინც უნდა მოგინდეს. თუკი ქვეყანაზე იქნება 1000 რამ, რაც ლიტერატურაზე მეტად გიზიდავს, ლიტერატურა გინდა ყოფილა და გინდა არა — არასოდეს წაიკითხავ.

ეს ლიტერატურის მქმნელებმა უნდა გაითვალისწინონ და სხვამ არავინ.

*

ინფორმაციის მიტანის სიზანტე დღეს ლიტერატურის კიდევ ერთი პრობლემაა. დრო სჭირდება დაწერას; დრო სჭირდება წაკითხვას — რაც უფრო მოსაწყენი და რთული ტექსტია — მით უფრო მეტი. დრო უნდა გააზრებას, ინფორმაციის გადახარშვას, ვერსიების შენაცვლებას, ეჭვების უარყოფა-დადასტურებას — სწორად გაიგე თუ არა წაკითხული, და ა. შ. და ა. შ.

და კიდევ კაცმა არ იცის, ბოლოს რა გაირკვევა: არსებობდა თუ არა ამ ტექსტში ოდნავ მაინც ღირებული ინფორმაცია.

*

გასაგებია, რომ რაღაცა გაწერინებს. მაგრამ მკითხველსაც რაღაცამ უნდა წააკითხოს, რაც შენ დაწერე. და წამკითხვინებელი რაღაცა გაცილებით უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე დამწერინებელი. ხოლო თუ წამკითხვინებელი ყოველთვის დამწერინებლის ტოლი იქნება, ტოლი იქნება დამწერისა და წამკითხველის რაოდენობაც. დღეს ასეც არის, დაახლოებით.

*

„ვწერ იმიტომ, რომ არ შემიძლია, არ ვწერო“ — ეს უხშირესად, ალბათ, იმის უუნარობის გამოვლენაა, ახსნა, რატომ წერ; შეიძლება, ხშირად იმისიც, რომ არ გინდა, ეს გააკეთო. ანუ „არ შემიძლია, არ ვწერო“ „არ შემიძლია, ავხსნა“-ს ან „არ მინდა, გავამხილო“-ს უფრო ნიშნავს. რატომ არ შეგიძლია? ეს ისევ კითხვაა და არა — პასუხი.

*

ეტყობა, მთავარი სტიმულატორი მწერლობაშიც თავის გამოჩენის სურვილია. მერე და მერე ეს სურვილი ნელდება. მერე უფრო იმაზე ხარ გაფაციცებული, რაც შეიძლება, ნაკლები სისულელე წამოგცდეს და რაც შეიძლება, ნაკლებ უვიცობასა და უზნეობაში გამოგიჭირონ.

*

წერისას (წერით):

უნდა დაამტკიცო, რომ მნიშვნელოვანი ხარ, რაკი ამას წერ; ამას, რის დაწერა-არდაწერასაც მნიშვნელობა არ აქვს.

ჰმ.

*

შეიძლება, თავმდაბლობით იამაყო, ან, სულაც, იქედმაღლო?

ასეთი კითხვები გაგიჩნდება, როცა მწერლობაზე ფიქრობ, და არა მხოლოდ ფიქრობ.

*

საკითხავია, ზეიმობს თუ არა სამართლიანობა, როცა: სიცოცხლეში უსამართლოდ უგულებელყოფილი მწერლის ტექსტები მისი სიკვდილის შემდეგ ფასდება და, შესაბამისად, მათი ავტორის სახელიც აღზევდება, სიცოცხლეში უსამართლოდ პატივდებული კაცისა და მისი ტექსტების მომავალი კი რადიკალურად განსხვავებულია?

პრინციპში, ჩემთვის ეს საკითხავიც არ არის. ტექსტი (კარგი ტექსტი) მის მკვდარ ავტორს სრულიად არაფერში სჭირდება. ის ჩვენ გვჭირდება — ცოცხლებს. მას თუ რაიმე სახის სარგებელი მოაქვს — ჩვენთვის. და თუკი საქმე ზემოხსენებული ორიდან სწორედ პირველ კომბინაციასთან გვაქვს, ეს სამართლიანობის აღდგენა კი არა, კიდევ ერთი სულმდაბალი უსამართლობაა: ჩვენ (ცოცხლები) მაშინ ხომ ჩავდიოდით უსამართლობას, როცა ამ კაცს (ტექსტებს) უგულვებელვყოფდით, ახლა კიდევ უარესს ვშვრებით — მის ტექსტებს უსინდისოდ ვიყენებთ — ესთეტიკური თუ სხვა სახის სარგებლობისთვის. რა — პალესტინაში გაძევების ჰიპოთეზას რომც არ გამოვეკიდოთ — ვინმეს უნდა, მითხრას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არსებობით შოთა რუსთაველია (ვინ იცის, საერთოდ რა ერქვა) ბედნიერი?!

სახელი, უკვდავება... ვინ არ იცის, რომ ერთიც და მეორეც პირობითია. მარადიული საბოლოოდ არაფერია. იმას კი რაღა გამოასწორებს, თუ ყველაზე მძაფრი შეგრძნებების ჟამი ანუ სიცოცხლე ნიჭიერი კაცისთვის ტანჯვაა, ბრიყვისთვის კი — პატივის ფოიერვერკი?

*

კლასიკოს მხატვართა ტილოებსაც სულელური საბაზრო კანონები ადებს ფასებს — მილიონებს — თორემ ამდენი, რა თქმა უნდა, ისინი არ ღირს.

*

ყველაზე სულელური ან საშინელი იდეები უმყარებიათ ციტატებით და ლიტერატურით. ასე რომ, ეგ მხოლოდ რიტორიკის სფეროა და ჭეშმარიტებასთან ბევრი არაფერი აქვს საერთო.

*

შინაგანი დაშვება — რომ შეიძლებოდა, სამყარო სხვანაირი ყოფილიყო — ალტერნატიული სამყაროს შესაძლებლობის დაშვება — ხელოვანის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა. ის თავიდანვე ასე მიემართება სამყაროს, და არა ისე, როგორც სხვა — რაც არის, ეს არის. ამასთან, გარდა იმისა, რომ არ შეუძლია, შეეგუოს, არც ის შეუძლია, შეცვალოს. ეს კი უკვე აშკარა ტრაგედიაა.

*

არა მგონია, პრაქტიკოსი ეკონომისტი ყოველდღე ეკონომიკის არსზე ფიქრობდეს. ის პრაქტიკულ ეკონომიკას „აკეთებს“. ცხოვრების უდიდეს ნაწილში მიახლოებითაც არ ვიცი, რა არის პოეზია, ლიტერატურა. რამდენად ყოველდღე „ვაკეთებ“ პრაქტიკულ პოეზიას, ლიტერატურას, ეგ კიდევ სხვა საკითხია.

ფაქტია, „ლიტერატურული აზრებიც“ ზუსტად (ან თითქმის) ისევე მომდის, როგორც ლექსის თემა-იდეა-სტრიქონი — ანუ ერთგვარი „შთაგონების“ მეშვეობით. მერე შეიძლება, ცხოვრებაში ერთხელაც აღარ გამახსენდეს, რას ვფიქრობდი მაშინ ლიტერატურაზე.

*

რაღაც გადაცემას „ვუყურებ“ ტელევიზორში. სტუმრები არიან თბილისიფეშენ-ვიკიდან... წარმოვიდგინე მათ ადგილზე პოეტები, შემდეგ — სხვებიც. მაგრამ ყველაზე უცნაურებად, ყველაზე დინოზავრებად, უადგილო სტუმრებად პოეტები დავ-

ინახე. ახლა რომ პოეტები შემოსულიყვნენ და დამსხდარიყვნენ, თითქმის სასაცილო იქნებოდა. მეჩვენება? ვაჭარბებ? სულ ცოტა, ამის საფუძველი ხომ მაქვს?

*

განა შესაძლებელია, რომელიმე ადამიანთან რაიმე ურთიერთობისას ბუნებრივი იყო და არ ითვალთმაქცო? ნებისმიერი სიტყვა და ჟესტი რიტუალს ჰგავს. არა მგონია, ჩემი ძალუმი გაველურება (უფრო სწორად, გასახლურება) იწვევდეს ამას. შეიძლება ის ამას, უბრალოდ, ამკაფიოებს, თვალსაჩინოს ხდის.

*

ამორალურობის ქვაკუთხედი თვალთმაქცობაა — როცა აღიარებ აღიარებულ მორალს, მაგრამ... აბა, ისე, თითოეულ ერსა და ქვეყანას კი არა, სოფელს შეიძლება ჰქონდეს თავისი მორალი.

ამას გარდა: ინდივიდუალური მორალის ქონა, ანუ ინდივიდის მიერ გარემოში აღიარებული მორალის არცნობა არ არის ამორალურობა. ეს მხოლოდ გარემოში აღიარებული მორალის არცნობაა. მაგრამ სხვა საქმეა, თუ ამას დაემატა თავხედობა, უარესი — უტიფრობა (რაც ამორალურობათა რიგში შეიძლება თვალთმაქცობას მოსდევდეს). გარემოში აღიარებული მორალის თავხედურად, უტიფრად, სხვების შეურაცხყოფით არცნობა უკვე ამორალურობაა.

*

თუ დამსახურებაზეა ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ხელოვნური სილამაზე უფრო დამსახურებულია, ვიდრე ბუნებრივი. და მეორე მხოლოდ იმით არის პირველთან შედარებით უპირატესი, რომ გენეტიკურად გადაცემის პერსპექტივა აქვს.

*

ბავშვის მძაფრი განცდები თითქოს სასაცილოა.

ამ დროს, თუკი საერთოდ შეიძლება ადამიანის დრამატული (უფრო „ტრაგიკულს“ რომ გულისხმობს) სენტიმენტები სერიოზულად განიხილო — სწორედ ბავშვისა. ყველაზე მეტად ბავშვის სენტიმენტებს აქვს „არსებობის უფლება“. რატომ? ისინი არანაკლებ წრფელია, ვიდრე ზრდასრული ადამიანის მსგავსი ემოციები (უფრო პირიქით); ამასთან, მათ ვერ აკნინებს, ეჭვის ჩრდილს ვერ აყენებს ცხოვრებისეული გამოცდილების ღრუბელი — ასე დიდი და მნიშვნელოვანი ფიგურა ზრდასრულ ასაკში. მე თუ მკითხავ, ადამიანის მძაფრ სენტიმენტებს და მათზე მწერლური თუ ყოფითი ყურადღების მეტისმეტად გამახვილებას სწორედ ამ ადამიანის ზრდასრულობა აძლევს კომიკურ ელფერს. მაგალითად? ბავშვს გულწრფელად სწამს, რომ მისი სიკვდილი უკიდურესი უბედურება იქნებოდა სამყაროსთვის. თუ იგივე სწამს ზრდასრულ ადამიანს, ის ყეყეჩია (აქ, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის დასაშვებ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივ თუ რელიგიურ შეხედულებაზე, რომელიც ერთი ადამიანის სიკვდილს სამყაროს აღსასრულად განიხილავს, სამყაროს მთავარ მოცემულობად ერთი კონკრეტული ადამიანის სიცოცხლეს მიიჩნევს და ასე შემდეგ)...

*

— ამდენი დაღუპული და ამდენი დაჭრილი, — როგორ არასწორად უყურებს ომი (კატასტროფა, სტიქიური უბედურება) სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. დაჭრილი ცოცხალია, მკვდარი — მკვდარი. დაჭრილი შეიძლება ხვალ გამომჯობინდეს, ერთ საათში უკეთესობა დაეტყოს, ან უარესობა. კი, ბატონო — შეიძლება, მოკვდეს კიდეც. მკვდარი მკვდარია.

სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ მსგავსი „არასწორი დამოკიდებულება“ შევამჩნიე ამას წინათ საკუთარ თავს. ვხედავდი მეგობრის დედას, რომელიც ისე ცუდად იყო, გამოკეთება რომ თითქმის სასწაული იქნებოდა. მაგრამ ცოცხალი იყო. და, სასწაულები თუ არა, თითქმის სასწაულებიც, ალბათ, ხდება. შესაბამისად, გამოკეთების ალბათობაც არსებობდა. როცა გარდაიცვალა, პერიოდულად „მეჩვენებოდა“, რომ სიკვდილიც მისი ერთი რიგითი და დროებითი მდგომარეობა იყო. შეიძლებოდა, ხვალ ისევ ცოცხალი ყოფილიყო, მერე — ოდნავ უკეთესად, მერე — ოდნავ უარესად, მერე — ისევ მომკვდარიყო...

*

რატომ არ იზრუნა ადამიანმა ამაზე, და თუ იზრუნა, რატომ ვერ შეძლო სიკვდილთან უფრო მეტად გაშინაურება; ისე გაშინაურება, რომ სიკვდილი დღესაც, ასეთი „ხანდაზმულობის“ მიუხედავად, ამხელა უბედურება არ იყოს?

შეიძლება, ადამიანს ამაში თვითგადარჩენის ინსტინქტმა შეუშალა ხელი.

*

სიზმრის ერთი თვისება გამახსენდა:

ვთქვათ, გძინავს და ცხადში ვიღაც დაგიძახებს. ხშირად ხდება, რომ ამ დროს სიზმარშიც დაგიძახებს ვიღაც — ან „სიზმრის სცენაზე“ უკვე მყოფი პერსონაჟი გეხმიანება, ან ახალი პერსონაჟი გაჩნდება საიდანმე და ის დაგიძახებს. თან დაგიძახებს არა უაზროდ და უმოტივაციოდ — ამისი წინაპირობა-სიტუაცია შეიქმნება და მხოლოდ ამის მერე დაგიძახებს.

აი, ვთქვათ, ცხადში გეუბნებიან, რომ „გაგვიანდება“. სიზმარშიც ამასვე გეუბნებიან. მაგრამ სიზმარში ვიდრე გეტყოდნენ — „გაგვიანდება“, ჯერ რაღაც ხდება, რაც ამ სიტყვა-მოწოდებას ლოგიკურს (სიზმრისთვის საკმარის ლოგიკას ვგულისხმობ) გახდის.

აქ საინტერესო ის არის, რომ მოვლენათა დროში თანამიმდევრობა ირევა: ჯერ ცხადში გეძახიან და ეს იწვევს სიზმრისეულ გამოძახილს. მაგრამ სიზმარი „ასწრებს“, თავის სიუჟეტში რაღაც ისეთი მოახდინოს, რომ ეს გამოძახილი შეამზადოს. ანუ გამოძახილის შემდეგ ხდება მისი შემზადება, ოღონდ იმ ილუზიით, თითქოს ყველაფერი რიგის მიხედვით მოხდა — ანუ ჯერ შემზადება იყო და მერე — გამოძახილი.

ეს — ისე, რა ვიცი.

*

ცხოვრება ისეთი მოკლეა, რამე მნიშვნელოვნის სწავლას ვერ ასწრებ. ყოველ შემთხვევაში — ვერ ვასწრებ.

*

ვინ გაცდის, ტკბილად დათვრე შენი სულიერი ტკივილებით...

*

როგორ შეიძლება, ბოროტსა სძლიოს კეთილმან? — როცა სიკეთე დანდობას, შენდობას, კრიტიკულ-საბედისწერო ვითარებაშიც კი ვერგამეტებას და მსგავს არასაბრძოლო თვისება-ქცევას გულისხმობს თავის თავში, ბოროტება კი — ყველაფერ საპირისპიროს; როცა ძლევას ძალა სჭირდება, ძალას კი თავისთავადი მიდრეკილება აქვს, ბოროტებად იქცეს.

მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ სიკეთეს ერთი დიდი მოკავშირე ჰყავს — ვითარების, ურთიერთობების დეკლარაციული ნაწილი. დეკლარაცია (თითქმის) ყოველთვის სიკეთის მხარესაა — თუ მაინცდამაინც რაიმე ბოროტების სექტასთან არ გვაქვს საქმე. თუმცა სამართლიანობის დროშაზე არც ასეთი სექტები ამბობენ უარს. სამართლიანობას კი სიკეთესთან უდავოდ მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ბოროტებასთან. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, მიზეზი იმისა, რომ დეკლარაციებში სიმართლეს ზურგზე ჰყავს დაგდებული ბოროტება, და რომ თანდათან ასეთი ბალანსი უფრო მკაფიო ხდება?

თუ შევთანხმდებით, რომ ადამიანის ღვთიური წარმოშობის ვერსია მთლად სერიოზულად არ უნდა განვიხილოთ, ამის მთავარი საფუძველი თვითგადარჩენის ინსტინქტი უნდა იყოს — ტოლერანტობის დედა, ისევე, როგორც არსი იურიდიული კანონებისა...

*

რელიგია, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას არ ეფუძნება, და საუკეთესო გამოგონება არ არის. მაგრამ ეს ის არის, რისი გამოგონებაც ადამიანმა შეძლო — იქნებ, უწინარესად, სიკვდილისგან შეძრწუნებულმა ადამიანმა — სიმშვიდის მოსაპოვებლად.

სიკვდილის თვალებში მაცქერალ ადამიანს სიმართლე არაფერში არგია.

*

საინტერესო ის არის, რომ ღმერთი, არსებობს თუ არა, მგონი, სულ ერთია.

რა თქმა უნდა, თუ ასეა.

*

სულ ტყუილად ვამბობთ, რომ არჩევანი არ არის და გარემოებებზე ვართ დამოკიდებულნი. იმდენი არჩევანია, ნაბიჯის გადადგმას ვერ შევძლებდით, ყველაზე რომ გვეფიქრა და თითოეული აგვეწონდაგვეწონა. რა თქმა უნდა, ზოგი მათგანის არსებობა თავში არც მოგვდის... მაგრამ უფრო ხშირად გვირჩევნია, „გარემოებებისგან გამოწვეულ გარდაუვალობებს“ მივეკედლოთ, როგორც გამოსავალს.

*

ლოგინს მიჯაჭვული მხნეობდე — ბევრი ვერაფერი მხნეობაა — არაფერი შეგიძლია და ლიტონი მხნეობაც მხნეობად გეთვლება. ფეხზე მყოფისა და ჯანმრთელის მხნეობაა ძნელი — როცა მხოლოდ მხნეობა სასაცილო ფახიფუხია — იმდენი რამ მოგეთხოვება...

*

მართლა საინტერესო იქნებოდა, ამ ყველაფრის შექმნა და მასზე დაკვირვება, მისი თვალთვალი ჩაურევლად, ან თუნდაც ეპიზოდური ჩარევებით.

მოკლედ, თუ ეს მართლაც ასეა, მე მესმის შენი, ღმერთო.

2012

*

შეიძლება, ვიმეორებდე: თანამედროვე პოეზიის უდიდესი ნაწილი (კრიტიკული, გადამწყვეტი ნაწილი) მკითხველისთვის არ იწერება — ყველაზე უარესი გაგებით, და არა იმ გაგებით, რომ იაფფასიან კომპრომისებზე ამბობს უარს და ასე შემდეგ. კარგია, ცუდია, ბუნებრივია თუ არაბუნებრივი, ეს ასეა. ამ შემოქმედებითმა კონვეიერმა ბოლო რგოლი მოიწყვიტა. რამდენად სრულფასოვანია ის უამრგოლოდ, ყველამ თვითონ განსაჯოს და დაასკვნას.

ჩემთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელია მოხელთება მოტივაციისა, რომელმაც მკითხველს ეს პოეზია უნდა წააკითხოს — ვგულისხმობ მკითხველს და არა — გარკვეული პროფესიის ადამიანებს.

*

ლიტერატურაც, ზოგადად ხელოვნებისა არ იყოს, „გულის სისხლს მოითხოვს საფასად“, ოღონდ არა — მკითხველისას.

*

არადა, იშვიათად როდი მოისმენთ/წაიკითხავთ ამა თუ იმ პოეტის მიგნებას — პოეზია მოკვდა, კვდება და ასე შემდეგ.

იქნებ ეს — დასავლურმა ვაცმა პოეზიისამ ისკუპა კბოდეზე. და ახლა „დანარჩენი პოეზიაც“ მიჰყვება მას, როგორც დანარჩენი ფარა.

*

მეგობრებისთვის არ ვწერ. ასე ხომ მხოლოდ ერთი-ორი წაიკითხავდა, ისიც — ჰა და ჰა.

*

ლუპა. ან მგრძნობიარე ხელსაწყო, რომლის ისარიც ავარდება სხვებისთვის შეუმჩნეველ იმპულსებზე. გნებავთ, მედიუმი. და არა მიმჩქმალავი...

მწერალი.

*

ყოველდღე გიხაროდეს, რომ ცოცხალი ხარ!

რა უბედური უნდა იყო.

*

რა სასაცილოა, რა სასაცილოა. ყოველ შემთხვევაში, გახსენება უკვე გამხიარულებს: ის, რისიც ასე გეშინია და რაზეც უკვე იმდენი გიფიქრია, რომ გგონია, შეეჩვიე და, შესაბამისად, ლამის გგონია, რომ აღარასოდეს მოხდება — ერთხელ აუცილებლად მოხდება.

*

რაც სასაცილო არ არის, ყველაფერი ძალიან სასაცილოა.

*

მოდი და ნუ გაგეცინება — უმნიშვნელოვანეს რამეზეც კი არ გვაქვს დამაჯერებელი პასუხი: არსებობს თუ არა ღმერთი?

*

სად დავიკარგე და — ყოფიერებაში.

თუმცა აქაც დაკარგვას თუ ვახერხებ.

*

სავარაუდოდ, ქვეშეცნეულად ვერ ველევი ბედნიერების შესაძლებლობის იდეას. ეტყობა, მწამდა, რომ ბედნიერებისთვის მოვდიოდი – სულ თავიდან. და ეს რწმენა მთლიანად ვერა და ვერ მოვინელე.

*

სექსი ორმხრივი სურვილითა და თანხმობით ლამის ყველაზე მაგარი მოვლენაა ამქვეყანაზე, ნაძალადევი სექსი კი — ლამის ყველაზე დიდი საშინელება.

და ეს მშვენიერი მოდელია სხვა ადამიანური ურთიერთობებისა. მთავარია, არა რა ხდება, არამედ ის, ამით ყველა კმაყოფილია თუ არა.

*

ჩემი მეგობარი ჭეშმარიტება გამუდმებით მაიძულებს, ჩემი ერთადერთი მეგობარი იყოს. არადა, რაღა დაგიმალოთ, ბევრი ვერაფერი მეგობარია.

2013

*

ლექსი და პროზა, სული და სხეული, თეორემა და მისი დამტკიცება.

*

პოეზია ერთადერთი არ არის, ღირებულებათა შკალაზე, მათი (გამუდმებული) გადაფასების შემდეგ, რისი ნულს ზემოთ შეკავებაც მიჭირს. მაგრამ, ეტყობა, ერთი იმათგანია, ნულს ქვემოთ ჩასაშვებად ყველაზე მეტად რაც არ მემეტება.

*

მგონი, არც ისე ცუდია, თუ ამ პოეზიას მკითხველი არ ჰყავს. ის ხომ ლექსის მანიაკებისთვის იწერება. მანიაკი კი, რაც ცოტაა — მით უკეთესი.

*

ადამიანი არასდროს არის ისეთი ხალასი, ნამდვილი ლიტერატურის მიღებას რომ სჭირდება.

*

როგორ ახერხებენ, რომ არც წიგნებიდან, არც ფილმებიდან არაფერს სწავლობენ. პირდაპირ ცხოვრებიდან, პირდაპირ ცხოვრებიდან!

*

...ხოლო თუ მწერლობა მაინც პროფესიაზე ცოტათი მეტია, მწერალმა, ალბათ, თავისთვის უნდა იცოდეს, რა არის ეს ცოტათი მეტი და არა ვინმეს — მაგალითად, მკითხველს, ან მთელ სამყაროს — აყვედრიდეს ამას.

*

ვთქვათ, არსებობს ქალი, რომელსაც არ იცნობ, მაგრამ რომელიც თითქმის გიყვარს და რომლის გაცნობაც უფრო არ გინდა, ვიდრე გინდა. შესაძლოა, შენი პოზიცია სულაც არ იყოს კატეგორიულად პასიური, არაპრაგმატული და მისთანანი. შეიძლება პირიქით, სრულიად პრაგმატული მოსაზრებით არ გინდა (იქნებ უფრო ზუსტი იყოს — არ ცდილობ), გაიცნო — სულ სხვა არ აღმოჩნდეს და მთლად არ დაკარგო.

*

შეხვდე? შეუძლებელია, წარმოსახულზე უკეთესი აღმოჩნდეს; მეტიც — წარმოსახულზე უარესი არ აღმოჩნდეს.

რა ხდება? ყოველთვის რატომ აღემატება ჩვენს მიერ წარმოსახული ღვთის (ბუნების...) ნამოქმედარს? ეს ჩვენი უპირატესობაა, თუ ის, რომ შექმნა უფრო რთულია, ვიდრე წარმოდგენა?

იქნებ ადამიანი, სამყაროც სრულყოფილი იყო ღვთის წარმოსახვაში; მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა...

*

პარადოქსსაც კი ჰგავს, მაგრამ სიყვარული თითქოს ბავშვობაში გვაბრუნებს: ჩვენ თავქარიანობა და თამაშები გვიბრუნდება, საგნებს და მოვლენებს — ძველებური, მძაფრი სუნი და გემო, სურვილებს — სიცხადე. ცხოვრობ, თუნდაც მხოლოდ პირქვე იწვე და დარდობდე.

რკალიდან „ARTეკლები“

ცხადში და სიზმარში

წუხელ სიზმრად ქაღალდის კვართს ვიზომებდი,
ტაშს მიკრავდნენ ზებრები და ბიზონები,
ვუყურებდი ტაშის დამკვრელ შიმპანზეებს
და ვშიშობდი — მისულიყვნენ სიბრაზემდე...
ტაშს მიკრავდნენ ცარგვალიდან ფრთოსნებიცდა
ტაშს მიკრავდნენ ყველა დიდი ოცნებიდან...
ტაშს მიკრავდნენ პეპლებიც და ფუტკრებიცკი,
დიდი ტანჯვით მოპოვებულ უფლებისთვის —
ქაღალდის კვართს ვიზომებდი უსარკებოდ
და მესმოდა: ჩემ სამოსელს ნუსარგებლობ! —
ხმა ვიცანი: ლექსს ვუსმენდი დაუწერელს,
ხმა კი ჰქონდა გასროლილი მაუზერის...
და ეცემა ჩემ ძილს ის ხმა მეხისებრად
და დივანზე ძველ პალტოში მეღვიძება,
სიზმარში კი — ქაღალდის კვართს ვიზომებდი,
ტაშს მიკრავდნენ ზებრები და ბიზონები.

სახსოვარი საღამო

გულწრფელად გირეკე, გულწრფელად გიმესიჯე
და შენთან გულწრფელად შევძელი იმისისჯა,
რომ ბედი მთავარობს იმ ქვეყნის კარიბჭემდე
და რომ ჯობს მანამდე ტკივილებს არვიმჩნევდეთ...
და რომ ჯობს ვფრთხილობდეთ ყველაფრის არჩევანთან —
ის თხელი საღამო სულ ჩემთან დარჩებადა
მას ხშირად შევხედავ, ივლისით სახემოსილს,
ყოველთვის მექნება ხათრი იმ საღამოსი.
ვიხსენებ: ლეკვივით მოგვდევს და არგვშორდება,
ჩვენ მივალთ პროსპექტზე — სიმშვიდის საშოვნელად,,,
ძალიან გიხდება ეს ჩანთა, ესთმებიდა,
თითქოსდა, გადმოხველ შენსავე ლექსებიდან...
მე კი რა! — მე მინდა გშვენოდეს ქალობაშენ...
მე მინდა დაკარგვა შაშვების გალობაში
და შენ სულ ფრთაშესხმულს მპოვებდე რუსთაველზე,
იქ, სადაც სულ თოვლს და სიშორის სულსდავეძებ...
მე მინდა ჩემ ცხედარს, საფლავთან, დაათოვოს
და როცა წითელ კვერცხს მომიტან სააღდგომოს,
ნახავ თოვლს ამოსულს ჩემ ღარიბ საფლავზედა
იტირებ, რომ მარტო თოვლი არ მაბრაზებდა...

აითუნდაც

ბევრი რამე საკითხავი არი სულდა —
რატომ სურდა ქარის მძლევი ჯარი სულთანს?
პოეტებიც რატომ ბჭობენ ქარის სულთან?
რად არის რომ აწმყო წარსულს ნაგავს აყრის?
თვითონაც ხომ უნდა გახდეს მაგასაკის?! —
საკითხავებს რა გამოლევს! აითუნდაც —
ჭირმა რატომ აირჩია ნაგასაკი?

სულებისთვის ცა ტომარა რატომარი?
უფრო ნაზი რად ჩანს ღამით ნათოვარი,
ან სიყვარულს რა უხდება სხვათომარი,
ან მამალი მტვერში რატომ იქექება,
ანდა ძაღლი ტყვილა რატომ იყეფება? —
გინდ ფელინი იყოს, გინდ ალმადოვარი,
ცისქვეშ ყველა ამ კითხვებით იკვებება.

აი, თუნდაც: კაცი ფიქრში რასაკეთებს? —
რატომ ეძებს იმ ქვეყნისკენ გასახედებს?
ხსოვნას რატომ ვერ უკეთებს ჩასაკეტებს?
ანდა ყური — სმენის მღვიმე რადარიდა
რატომ ავსებს ცეცხლის კვნესა ღადარიდან,
ან ზაფხულში ხე რად ხდება ვასაკეთი,
ანდა დიდ გზას რად ჩაგრავენ პატარითა?

აითუნდაც... აითუნდაც... აითუნდაც:
არვინ იცის, სულებს ფრენა საითუნდათ —
არ არსებობს კაი სტეპი, კაიტუნდრა...
არის ბედი, გულებში რომ ჩავიკარით,
არი ბედის შავი გზა და შავიკარი,
არის წყალქვეშ ჩაკეტილი კაიუტა,
საიდანაც სულსღა გააქვს თავიგარეთ.

მუზა

მშვენიერი ქალი მოდის, მოკოპწიობს,
მე კი ახლა ის მაწუხებს, როგორვძლიო
(როცა ირგვლივ დღე ბაღობს და მზეპიონობს),
როგორ დავხვდე უჩინმაჩინ ლეგიონებს —
ფიქრის ურიცხვ უნასსა და ქვეწარმავალს —
მე ხომ მხოლოდ სტრიქონების მეწარმევარ
და არა ვარ საბრძოლველად განსწავლული!
ვცდილობ, წერით მოვახდინო სასწაული,
მაგრამ ესეც არ ყოფილა ადვილიდა
მთლად უჭმელიც ხშირად ვდგები სადილიდან —
ველტვი შორეთს, მოსილს მელნის ლეჩაქებით
და ხან კედელს, ხან ფანჯარას ვეჯახები,
თითქოს უნდა შორს გავექცე ჟამისჭიას... —
ლექსისათვის თავი ბევრჯერ დამისჯია...

ახლაც, აგერ მოდის ქალი, მოკოპწიობს,
მე კი იმის ფიქრებში ვარ, როგორვძლიო
მას, რისთვისაც უცნობია შეცოდება
და სახელად რასაც მუზა ეწოდება...

მიმართვა

აი, ჩვენ გეძახით დღეს, ყოფილ რაიკომთან
და თქვენი „რა იყო!“ მოგვესმის. რა იყოდა:
ისედაც ირიბი ცხოვრება როცართულობს,
ჩვენ გვინდა, რაიმე დაუკრან მოცარტული —
ჰაერში შეირხეს ყლორტები რეკვიემის,
როდესაც ჭირისგან არყოფნას ვეპირებით...
დროს ხალხის მოთხოვნა თუ აღარ ევასება —
ხალხს დროის მადლისიც არ უნდა შეფასება...
ის მაინც როგორღა მოგწონთ თქვენ, მონსენიორ,
ზოგ-ზოგს რომ ულხინს და ცხოვრება კონსერვია!
ჩვენია სულ ფინჩხა, ზოგის კი — სულალაფი... —
ეტყობა ირწმუნეს, რომ ჩვენ ვართ სულელები.
ხომ ვამბობთ სიმართლეს! ეს მაინც გვითხარიდა
ღრიჭოდან მოსულნი — გავუშვათ დიდკარიდან,
თორემ ვერ გავუძლებთ ამოდენ ორომტრიალს... —
ვინც სუფთა გვეგონა — ისიც კი ბოროტია.
რა მოხდა, ბატონო, ან საქმე რაშიარი! —
ჩვენ ისევ შიმშილით გვიტირის ნაშიერი,
ჩვენ წელზე ფეხს ვიდგამთ ხემსების საშოვნელად,
ზოგთა კი მოისმის „რერო“ და „რაშოვრერა“,
ზოგისთვის ქვეყანა — სახლია, დრო — ეზოა,
მათ ფეხზე ჰკიდიათ კინო და პოეზია.
მათ ჩვენი არ უნდათ წიგნები, ფერწერები,
თუმც მათთვის ეშმაკთან საომრად ვეწერებით...
მაგათგან არ ვიღებთ სიკეთის არცერთდოზას,
ჩვენს ხსნას ურჩევნიათ, წამოწვნენ მხარ-თეძოზე
და გვერდი მათ ალაფს როგორღა ავუაროთ! —
ბერნიც კი კვირობსო მაგათი ავუარით...
და, აი გეძახით დღეს, ყოფილ რაიკომთან
და თქვენი „რა იყო?“ მოგვესმის. რაიყოდა:
ისედაც ირიბი ცხოვრება როცართულობს,
გთხოვთ, ჩვენთვის დაუკრან რაიმე მოცარტული!

უმაქნისი ძალები

ძე კაცისა რომ ჩნდებოდეს ქარისძალის —
აღარასდროს აღარაფერს არისწავლის,
თუმც ნიავის ძალის მქონეც აღარაფერს
არ სწავლობს და ტვინს აქვავებ-აქარაფებს.

მუზეგის რევიზორი

სარკეში ჯიუტი საყელო შევისწორე —
ამ მოდას თვითონვე სწადია, არიმეფოს.
მეც, თითქოს, მომაგნო მუზების რევიზორმა
და დიდხანს მომელის გადახდა ჯარიმების...

მე კიდევ ეს მინდა? — სულ გულზე ხელსვიკიდებ,
მომბეზრდა ფიქრებით თბობაც და შეფიფქებაც...
ლიამ რომ დარეკა აპრილში ჰელსინკიდან,
მას მერე ოჯახის შექმნაზე მეფიქრება.

არადა მომწყურდა „ტოსკა“ და „ტრავიატა“,
თანდათან ვედრები ერთადერთ მეტიარეს...
რამდენი წელია — ვერაფრით დავიადე
სიმშვიდე, რომელიც ყოფნაზე მეტიარის...

სასროლეთი ანუ რითმები სიტყვისა „ტირს“

დღეს ვესტუმრე სასროლეთს, სხვანაირად — ტირს.
ასი ტყვია ვიყიდე — განა ძვირი ღირს!
ვხედავ მოძრავ ფიგურებს, ვუმიზნებ და — „დირს!“
სროლა არის ადვილი, მოხვედრა კი — ჭირს...

საქართველოც ასეა — სულ უმიზნებს ჭირს
და ვინც უშლის მოხვედრას — ჩვენი ჯავრი სჭირს —
არ უნდა, რომ ვუკრავდეთ სალამურს და სტვირს,
უნდა, ვგავდეთ „ყველასგან მიტოვებულ“ ლირს...
ვაშა ჩვენს ქართველობას, ვისაც, როგორც ვირს,
ისე ექცევიან და — აღარ იცვლის ნირს...
ვისაც მიწას ართმევენ და აძლევენ „ჩირს“,
მაგრამ ღმერთი ჩვენს ყველა მტერს აადენს ბდღვირს,
ხოლო, როგორც რუსთველი ჩიტს ეძახის სირს,
როგორც მეფეს ფრანგები ეძახოდნენ სირს
და როგორც ყველს რუსები ეძახიან სირს,
ჩვენ ცუდს ისე ვეძახით დროს, მეზობელს, გმირს,
ვინც არ გადააბრუნებს სამშობლოსთვის ჩხირს,
ხოლო ის, ვინც გვიწუხებს ღებს, წეროვანს, სვირს...
და — ვისაც სურს არ ჰქონდეს ძალა ჩვენსას კირს
და — ვისაც სურს არ ჰყოფდნენ ჩვენში გარეთ ცხვირს
და — ვინც იღებს ჩვენს „ნაკლს“ და აპიარებს ფირს
და — ვინც ჩვენზე სულ ამბობს აუგსა და ძვირს
და — ვინც, რათა ჩაგვყლაპოს, ხშირად აღებს პირს,
ძირს ყველანი! ძირს!

ზღვა, მთვარე და მე

ზღვა გზა იყო, ლურჯი თოვლით მოთოვლილი
და, უთვალავ, აურაცხელ ფოთოლივით,
შრიალებდა თუ ქარს ჰქონდა მოთელვები!..

და ზღვა ასე საღამომდე მედუდუნა,
მერე მთვარე დააცქერდა მედიდურად
და გაყუჩდა... რა იყო ეს? — ბედითურა!

შენ ცად ხარ და ცა დიდია — ნეტავ სადხარ!
ნუთუ ციდან ამ ყველაფერს ხედავ ცხადად!
ამაზედაც ვფიქრობთ ახლა მედაზღვადა...

მე ისევე აღარ ვხარობ დიდი ოდით...
შენ კი, როცა იმ ქვეყნისკენ მიდიოდი,
დამცინოდა ის სიკვდილი — იდიოტი...

დღეს მინდება ზღვა მიძღვნიდეს ქვევით რიფებს,
თან სულ მინდა, ცას მივადგა ჩემი კიბე,
რაზეც მე და ზღვა და მთვარე შევიკრიბეთ...

არ იციან

რამდენჯერ მომკლეს და ისევე აგრძელებენ... —
ჩემთან რად მოუნდათ ბრძოლა და „მხარგრძელობა“? —
ნამდვილად „ხმალ-შუბებს“ რა უყონ — არიციან,
არც ის, რომ საფრთხო და საშიში — მკვდარიცკია...
და არც ის იციან, რომ ღლიან არსებობას,
არც ის, რომ „დინამოს“ მოუგებს „ბარსელონა“,
არც ის, რომ ფეხბურთი არაა უბურთებოდ,
არც ის, რომ ცოდვები — ჩამდენებს უბრუნდებათ...
მე კი ვწერ და ვყნოსავ სტრიქონთა კორჩიოტებს,
თუმც მკლავენ და სწუხან, როდისღა მოვრჩებითო!

ისევ

მზე ისევ ჩადის და საიდანღაც
მოისმის ღამის ნაბიჯების ხმა,
რომელსაც შიშით აყურადებენ
ჩემი ტერფები, რადგანაც უნდათ
მისწრება მზისა, ნება რომ არ აქვს
უკან ყურების, რაც მკვდარსაც ძალუძს,
როდესაც მიდის მრავალი ფეხით...

მზე ისევ ჩადის და დასავლეთი
ისევ გვაწონებს თავს, როგორც ბაღი
ბავშვებს ერთადერთ წითელი ვაშლით...
და ხეებიდან ყორნები, როგორც
შავ ვარდებს, ისევ წყვეტენ თავიანთ
თავს აფრენისას და გამოსცემენ
გარშემო სურნელს არამქვეყნიურს...

გზად დაგდებული კარი

ოჯახის სხეული — სახლია, კარი არის —
სული და უსახლო კარია — მკვდარისული.
და ეგდო გზად კარი, ანგრევდა ქარი არეს —
გიჟივით ბრუნავდა ჰაერის კარუსელი...

სულს, ცაში დაგდებულს უსახლო ამკარივით,
ღმერთისკენ დაღალულ ფრთებს რაღა აუზიდავს,
ან თუ არ ეყოლა ერთგული ამქარები —
წყალს ვიღა მიაწვდის სამოთხის აუზიდან?!

კარი კი, გდია გზად. მე ამ კარს რაღავუყო?!
რომელ სახლს დავკიდო? სად ნახავ უკაროსახლს?!
მითისკენ მისროლა ამ კარის რახარუხმა —
ფრთასა ჰგავს, ზღუაში ჩავარდნილ იკაროსის...

პოეტი და მსოფლიო

რა კარგი იყო წარსულის ატმოსფერო,
რომელშიც ყოფნას ლექსებით ვარწყულებდით!
იქიდან, ღმერთო, როგორღა გადმოვწეროთ
პოეტის ეტლში შებმული ქალწულები?!

სითეთრე მათი, აკაკის თეთრობიდან,
სამჩნევი იყო ეტლისღა სხვაფერობით...
ხალხს მათი ცქერით თვალები შეთრობოდა
და რიონს ვეღარ იჭერდნენ ნაპირები...

კენჭებსაც სურდათ პოეტის დანახვადა...
წავიდა ის დრო, ვერავინ შეაბრუნებს,
ეს დრო კი, ყველგან, დევების დანაქადად,
გვიკითხავს რაღაც აქტებს და პრეამბულებს...

მსოფლიოს, ლექსის გარეშე, თრომბიუტევს.
ულექსოდ, ხშირად, ეხშობა სასულედა...
მსოფლიო მაინც აღმერთებს კომპიუტერს,
ვინ იცის, იქნებ, ცოტათი გასულელდა!

მაღლნი ოცნებისანი

რამდენჯერ დავმდგარვარ ოცნების ამაზონთან,
რომელშიც ქალთევზა ჩემგამო ლამაზობდა
და ვეღარ მიძლებდნენ საზღვრები წარმოსახვის
და ფსკრიდან ვისმენდი მისი ხმის გამოძახილს,
თითქოსდა მზად ჰქონდა წყალქვეშა ბუდუარი,
ძალიან სანდო და ძალიან უტყუარი... —
ისეთი ლანდი და სიზმარი ნუთუარი!

ძლიერ რომ ვუყვარვართ, ისევე მარწმუნებენ
ოცნების ნილოსში მცურავი ქალწულები,
რაც იმას ნიშნავს, რომ ბებერი არავარჯერ
და ჯერაც ჯეელი ვარ, როგორც კარავაჯო
დამდეგს იმ თავისი ახალი საუკუნის...
დროს ჯერაც არ ძალუძს მაქროს და მაუკუნოს,
ჯერ ძალმიძს ვუსმინო ყურისთვის გაუგონარს...

გადასვლა

ქარში ვარ და უდაბნოა გარშემო,
უკვე სტვირსაც ვერ ვატირებ გუდამოშლილს,
ხნოვანი ვარ, მაგრამ მიკვირს ბავშვივით,
თუ რად ჩავრჩი წუთისოფლის უდაბნოში.

აქ სულ იყო აფთარი და მგელ-ტურა —
ხმლები მათთან საბრძოლველად მიფერია...
ფრანგს, არ ვიცი, რა აქვს გალურ-კელტური,
ჩემში ისევ კოლხია და იბერია.

ჩემი შარა ბევრჯერ გვერდზე გადადეს...
ჩემი ლტოლვა, სანავარდოდ, ქარსეყოფა,
ვერ ვღალატობ ძველ წესებს და ადათებს,
ან — უმათოდ როგორ შევძლო არსებობა:

შორს — აქლემთა სინდიყივით ხაზია,
სხვას რას ნახავ ამ უდაბნოს გადამკიდე!
ჭირს — ზურგსუკან დაგრჩეს მთელი აზია
და ევროპის ფანტომებში გადახვიდე...

პოეზიის შესახებ

თოვლი ხეებს მიეზვინა-მოეზვინა,
რომ თავისი სილამაზე მოესმინა —
ასე გაჩნდა ქვეყანაზე პოეზია...

და მოჩანან წლები დროის აივნებად,
სადაც ცრემლი პოეზიით გაივლება...
და თუ ეშმა გაშმაგებულ ბრბოსახელებს,
პოეზია ხდება ღმერთის მოსახელე
და იღვრება პოეტების ბაგებიდან,
ვიდრე გონი სიავისგან დაგვებინდა...
და სულისთვის სიცოცხლეში პოეზია
სხეულზე და სისხლზე უახლოესია...
და სადაც კი ბედისწერა გვაზამთარებს,
პოეზია იქ შობს სითბოს საზანდარებს.
პოეზია არ აქვს ყმიან-ფარეშიანს
და ბოროტიც პოეზიის გარეშეა.
პოეზიით ზოგჯერ მხარზე მარსი მიზის
და მძლეობის ნიშანია არსი მისი...

ნათოვლარზე შეებრალათ ხბოებსია.
ნათიბვარზე მინდორს მოლი მოესია —
ასე ჩნდება ქვეყანაზე პოეზია...

სვანეთში

აქ, სადაც ჯიხვებიც უმღერენ მზისამოსვლას.
აქ, სადაც ეშმაკებს უშლიან აუდიტებს...
აქ, სადაც ნისლები მიფრენენ ღვთისამოსად —
ქვასაც კი რაიმე არ უნდა აუტკივდეს!

აქ, სადაც ქედები მზესაც კი აგრილებენ
და მთვარე ედრება მითიურ დანაიას —
უფალო, მოხედე უდროოდ დაქვრივებულ
კაკაბს, ორ ბარტყიანს — ელენე განაიას!

უმომავლო ოპერა

მინდოდა საბაზეც დაწერილიყო
ოპერა — მესმინა საბას არია!
სამღერიც შემყროდა გზაზე ლირიკა,
რაც მშიერ სულისთვის — „ტაფამწვარია“.
ცხოვრებავ, შენ დროში აზელილიხარ,
დრომ შენი ბაღიც და ჯაფაც არია...
მინდოდა საბაზეც დაწერილიყო
ოპერა — მესმინა საბას არია!
ოპერა სრულიად სხვაბაზარია...

ვსაუბრობ ჩემთან

ჩემთან ჩემ ბაასს ვთვლი ჩემგანვე მოსმენის ღირსად.
მე ჩემთან უფრო განვიხილავ ლხინსაც და ჭირსაც...
ვსაუბრობ ჩემთან — ვიფართოებ დღის შუქზეც
გუგებს,
ანუ ვსაუბრობთ მე და მე და ერთმანეთს ვუგებთ.
ჩვენ ისიც ვიცით, რომ უამრავ ყურს სმენა უყარს...
და ვამბობთ მათი მისამართით: ნუ გვისმენთ! ნუღარ!
ის სმენები კი, დიდმხარიან-ბეჭიანები,
თურმე მე და მეს საუბარზეც ეჭვიანობენ...

მოსე ფიქრის ტყეში

შეეფეთა მოსე ირმებს,
ფიქრის ტყეში მოსეირნე

და, გამჩენის მუდამ მოშიშს,
ხმა მოესმის უდაბნოში:

„მე მეგონა, მოსევ, რიდით,
მაგ ფურირმებს მოწველიდი

და, ხის ვედროს ციურ ლანდით,
რძეს მშიერ ხალხს მიუტანდი!“ —

შემკრთალ მოსეს საგოდებლად
ექცა საქმე — აგონდება

ის ირმები, ცურებირომ
დაებერათ უნებურად...

ოცნებიდან

ზოგჯერ დროც კი შეეცდება — მეალუბლოს,
როცა შვებად არყოფნის გზას მოვძებნიდა...
დროც კი მშველის — საშინელი რეალობის
ბარიერი გავანგრიო ოცნებიდან...

ოცნებაში — კუნძულებზე დეფო დადის,
მე — ვუსხლტები სიღატაკის მეოცე ბალს...
არსად ფიქრობს მინისტრი და დეპუტატი —
ბედმა ერთხელ გაუღიმოს მეოცნებეს...

შეკითხვა ღმერთს მოცარტზე

შენგან არ ვითხოვ ჯილდოს მიღებას,
აღარც სასახლეს, აღარც ბიუჯეტს,
მაინტერესებს, რაკი იმქვეყნად
შენ ყველას თავის ადგილს მიუჩენ —

მოცარტს რა უყავ? ღმერთო, მოცარტი
(თუ ყველას თვისი უნდა მიეზღოს),
სული მესაზე რომ მოუცურდა,
ხომ მოუჯინე გვერდით იესოს?!

ის გემი

მე ჯერაც ვთამაშობ ჩემთამაშს —
როლს ვიცდენ გუნდრუკის მკმეველის
და მერე საქმე იმ გემთანმაქვს,
რომელიც მარტოკა მემელის

და ჰქვია „მეორე სიცოცხლე“,
აქ კი დრო — მტერიც და ძმაცარი,
აქ, დღემდე, იმდენი ვიცეცხლე —
მსოფლიოს ეყოფა ნაცარი...

მაინც ჯობს ამ ცეცხლის გავზარდო
ალი და მაღალი რისკები...
ერთხელ კი მივუვალ ნავთსადგურს,
რომელზეც დამხვდება ისგემი...

ის გემი სადაც არ წავიდეს —
დამატკბობს კრუიზით მარადით...
აღარსად შემხვდება შავიდღე,
რობესპიერი და მარატი...

რკალიდან „უგალობელი საგალობლები“

ჩვენ და „ჩვენ“ მეტროში

„მე“-ს და „შენ“-ს

როცა ჯერ კიდევ ზემოთ ვიდექით
თუმც ესკალატორს ქვემოთ ჩავყავდით
როგორც ჩანჩქერს თავისი ხმები
მე მომეჩვენა თუ დავინახე
რომ ქვემოთაც ზემოთ მავალ ესკალატორზეც
„ჩვენ“ ვიდექით და ამოვდიოდით
ოღონდ ის „მე“ შენი ხნის იყო
ხოლო ის „შენ“ ჩემი ხნისა
ის „შენ“ ჩემი სიმაღლის იყო
ის „მე“ შენი სიმაღლისა
ჩანთაც ზურგზე იმ „მეს“-ს ეკიდა
ის „შენ“ კი იდგა
და იმ „შენ“-ს ჩვენზე ანიშნებდა
ჩავდიოდით და ამოდიოდნენ
და როდესაც ჩვენ გაგვისწორდნენ
ორივენი გვიყურებდნენ გაოცებულნი
და როცა გაგვცდნენ
ორივემ ხელის ქნევა დაგვიწყო
როგორც უხდება დამშვიდობებას
თუმცა შენთვის უხილავი იყო ორივე
მე კი ვხედავდი ორივეს და
მსურდა შენთვისაც მეჩვენებინა
მაგრამ უცებ გადავიფიქრე
რადგან ის „შენ“ ჩემი ხნის იყო
და როცა მათი ხელების ქნევა დავკარგე
ჩვენც ჩამოვედით გავეშურეთ მატარებლისკენ
შენ ზურგს გეკიდა პატარა ჩანთა
რომელიც იყო ძალიან დიდი
და მე მომინდა იმ ჩანთაში ჩავვარდნილიყავ
როგორც კალათში ბურთი ხელებით
ყველაზე მაღალ კალათბურთელის
რომ აღარც ციყვი აღარც კურდღელი
არ ვყოფილიყავ დრო-მგელთან აწი
და როდესაც შეხველ ვაგონში
ჩემი სუნთქვა შეგყვა შრიალით
ხელში მილიარდ კოცნით ალერსით
მე კი დავრჩი ვერ გაცილებდი
სამაგიეროდ ის მახარებდა
რომ მარტოობის ნესტოებისთვის
გამომყვა შენი მზერის სურნელი

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო ეს ჯიბეები
სიცარიელის ადგილებად არ მექცეოდნენ
თუმცაღა სიცარიელესაც
აქვს თავისი ფერი გემო და სურნელება
რომლებიც სხვა ფერ-გემოში და სურნელებაში
არასოდეს არ აგვერევა

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო
სიმდიდრე თავად მომძებნიდა
მეძებარი ძაღლივითა და
უდარდელობა-არხეინობას
ერთმანეთზე ფეხებივით გადავიდებდი
და ბუსავით ვიცხოვრებდი
თეთრი ქაღალდის ფუღუროში

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო
ამდენ ხანს ცოლად მარტოობა არ მეყოლება
ნამდვილს ცოლს თუკი ეყრებიან
უჭკუონი დაუბრკოლებლად
სიმბოლურ ცოლთან ჭკვიანისთვის გაყრას რა უნდა

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო
სიყვარულს არ გადავყვებოდი
ცოლად დევის ასულს ვითხოვდი
ანდა სულაც ბაყბაყდევის ნაცოლარსა და
ბაყბაყდევთანაც ურთიერთობა
გადასარევი მექნებოდა

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო
ჩემი ბედის ყრუ კედლებზე გავჭრიდი ფანჯრებს
სადაც ღმერთის ფოსტალიონი
მტრედებიღა შემოსხდებოდნენ
და „ფანჯარაში მტრედია“-ს მოსმენით დღემდე
ყურებს აღარ გამოვიჭედდი

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო
სიბრმავესა და ყრუ-მუნჯობას მოვიგონებდი
და თვალ-ყური ორ-ორის ნაცვლად ას-ასი რომ მაქვს
ამას კატასაც დავუმალავდი

მე რომ ჭკვიანი კაცი ვიყო
აი ამ ლექსსაც სიკვდილის შემდეგ დავწერდი

გამოძახება

გარიჟრაჟზე, უსახური საბჭოთა უბნის ოთხკუთხა ეზოში, ნარინჯისფერქურთუკიანი მეეზოვე ქალი, ცოცხის მონოტონური შრიალით, ბრინჯაოს ბარელიეფურ ბრტყელ თავებს და მემორიალურ დაფებს მიადგა. უცნაური აღმოჩენით აღფრთოვანებულმა და დაბნეულმა ცარიელ ქუჩაში გამოვლილი პატრულის მანქანა გააჩერა. მეეზოვემ პოლიციელები ეზოში შეიყვანა და ჟანგიან ავტოფარეხებს შორის დაყრილი ორმოცდაათამდე ბრტყელი თავი აჩვენა. ვინაიდან ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში არასდროს ჰქონიათ, პატრულის თანამშრომლები ჯერ დაიბნენ, შემდეგ კი პოლიციის ქვეგანყოფილებაში დარეკეს და მორიგეს ამ უცნაური თავების აღმოჩენის შესახებ ამცნეს. ძილბურანიდან ძლივს გამორკვეულმა მორიგემ, აქაოდა, ფხიზელი ვარო, სხაპასხუპით მისცა დავალება: მისამართები ჩაიწერეთო. პატრულის თანამშრომელმა გაუმეორა, რკინის თავებია, რა უნდა თქვანო. მორიგე სულ გამოფხიზლდა და გაბრაზებულმა, მპოვნელი რას ამბობს, თორემ მარტო თავები რომ არ ლაპარაკობენ, მეც ვიციო. მპოვნელი მეეზოვეა, თუ გინდათ, დაგალაპარაკებთო, და იქვე, ცოცხზე დაყრდნობილ ნარინჯისფერქურთუკიან ქალს გამოხედა, რომელიც თავის აღმოჩენილ თავებს შლიმანივით გამარჯვებული დასცქეროდა. მორიგემ,არა, რომელიმე თავს დამალაპარაკეო, წეღანდელი უხერხულობის პასუხად დაუბრუნა პატრულს, უბრალოდ მისი ვინაობა და მისამართი ჩაიწერეთო. თავებს ხელი არ ახლოთ, მოკვლევის ჯგუფს ვაგზავნიო, და ყურმილი დაკიდა.

ჟანგიანი ავტოფარეხების უკან ერთ დროს გამოჩენილი, პატივსაცემი ადამიანების თავები ეყარა. ეჭვი არ იყო, სადღაც სასაფლაოდან ან სადარბაზოების გარშემო სახლის კედლებიდან მოპარულ ბარელიეფებს აქამდე გვარები და სახელები ექნებოდათ, ახლა კი ჟანგიანი ცხაურის ქვეშ, სიგარეტების ნამწვებს და ერთჯერად შპრიცებს შორის ბრინჯაოს ქანდაკებები ეწყო. ყველა — უხერხულ პოზაში, ცხვირით ასფალტს დახეთქებული, რამდენიმე — კეფით, ზოგი ყურით, პროფილში და, ერთი სიტყვით, ყველანი — სრულიად უპატივცემულოდ. მეეზოვემ დაგვა განაგრძო, ცდილობდა, თავებს შორის ისე გამოესვა ცოცხი, რომ რაც შეიძლება ნაკლებად შეხებოდა პატივცემულ ადამიანებს.

ცოცხის შრიალის გაგონებაზე პატრულის მანქანიდან თანამშრომელი გადმოვიდა, შენი მონაცემები ჩამაწერინეო, მეეზოვეს მიმართა, და ბლოკნოტი მოიმარჯვა, რომელშიც დღეს ღამით ჩემპიონთა ლიგის გასამართი ფეხბურთის მატჩების სავარაუდო ანგარიშები და ნაირნაირი პასუხები ეწერა. ვინაობის და მისამართის ჩაწერის შემდეგ, დაგიკავშირდებითო, მოთელვაზე გამოსული ჰოლანდიელი ფეხბურთელივით მიაძახა უსახელო ნარინჯისფერქურთუკიან მეეზოვეს. მეორე, სოფელში გაზრდილი, პატრულის თანამშრომლის ასოციაციით, მეეზოვე ოსტატურად თიბავდა სიგარეტის ნამწვებს და ერთჯერად წითელთავიან შპრიცებს.

პრესტიჟული სახლებიდან მოქალაქეები გამოდიოდნენ, სამსახურებრივ ან საკუთარ მანქანებში სხდებოდნენ და სადარბაზოების გარშემო ფასადიდან ახეულ, აწ გარდაცვლილ თავიანთი ოჯახის სახელგანთქმული წევრების ბარელიეფებს ან გორელიეფებს ვერ ამჩნევდნენ. არადა, თითქმის ყველა სადარბაზოსთან იყო მიკრული, ზოგიერთთან რამდენიმეც ეკიდა, ადგილიც არ დაუტოვებიათ ჯერ კიდევ ცოცხალი საზოგადო მოღვაწეებისათვის, რომლებიც სასტიკად განიცდიდნენ ამ დაუდევრობას თუ დანაშაულს ქვეყნის წინაშე.

ახალგაზრდა პოეტი

ესენი ერთად რომ გადაადნო, ჩემი ერთი სტროფის ფასი არ ღირანო, ფიქრობდა თავადაც მემორიალურ დაფაზე მეოცნებე, აკადემიკოს სიმამრთან ჩასახლებული ახალგაზრდა პოეტი. პატარა ადგილი ეგულებოდა ბუნკერთან, აკადემიკოსი სიმამრის გვერდით, და ამ ადგილს ნამდვილად აღარ დათმობდა, სულ რომ სიცოცხლის ფასად... და აქ გაუნათდა, რითმა უნდა ჩაეწერა სასწრაფოდ. „სისხლის ფასად, სახლის ფასადს“. გენიალურიაააო, გაიფიქრა, და სანამ ლიფტი მოვიდოდა, პატარა ბლოკნოტში ჩაწერა, „ფასად — ფასად, ბროლის თასად, ხან სად — ხან სად, ალბათ არსად, დასვეს ხასად, დასად, თეატრის ან ოპერის. ხალხის მასად, ქართლის რასად.“ ლიფტის გრუხუნმა გამოარკვია — მესამე-მეოთხე სართულებს შორის დეფორმირებულ ჩარჩოს ედებოდა. ფაქტობრივად, ლექსი მზად იყო, სათაურად „ლიფტის მოლოდინში“ დაარქვა იქვე, და ამას წყალი აღარ გაუვიდოდა. რითმები იმდენი მოაგროვა, პოემას ეყოფოდა, არათუ მოკლე ლექსს. საიდღაც გაეგონა, უნიჭოები სათქმელს ვერ ამთავრებენ და იმიტომ გამოსდით გრძელი ლექსებიო, და მას შემდეგ, შეძლებისდაგვარად, მოკლე ლექსების წერას ცდილობდა. სხვებს ეკითხათ, თორემ მისთვის სულ ერთი იყო ფორმაც, ზომაც და ჟანრიც კი, ერთნაირად ძლიერი იყო ტრადიციულშიც და ვერლიბრშიც, მოთხრობაშიც, რომანშიც, პიესაშიც, ესსეში და სცენარშიც კი. მოკლედ, კალმით, დღეს კი კომპით, ესეც ჩასაწერი მიგნებააო, გაიფიქრა. რასაც უნდოდა, იმას გააკეთებდა, მაქვს მკერდს მიდებული კომპი, როგორც მინდა — ესეც გენიალურია, უნდა გამოვიყენოო. ფასად, ფასად, და სად? და სად? ქართულ რასად უკვე თრთოდა, ერთი სული ჰქონდა, კომპს მისჯდომოდა. „ლიფტის მოლოდინში“, ასე ერქმევა ლექსს, რომელშიც თანამედროვე სალიტერატურო ენის გამრავალფეროვნება, ინოვაცია, ტექნოლოგიების ეპოქის და ქართული ეთნოგენეზისის კვლევის მისეულ თეორიასაც შეურევდა. ახალი ლექსით აღფრთოვანებული ავისმომასწავლებელი ღრჭიალით მოხრიგინე, თითქმის ჩამოღწეულ ლიფტს აღარ დაელოდა, შორი გზიდან მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო — ეს ქართული ანდაზაც გაიხსენა და ფეხით აუყვა მეცხრე სართულისაკენ.

ცხრათითა ვაჟა

ლიფტს თავისი ისტორია ჰქონდა. მის შესანახად არასდროს ფული არ იკრიბებოდა და მეზობლებს შორის დიდი დაპირისპირების მიზეზი გახლდათ. ამაზე მთელი ეპოსი შეიქმნებოდა. ცხრათითა ხეღოსანი ვაჟა, რომელსაც ფრთიანი, ფილოსოფიური ფრაზების თქმა უყვარდა, ქველმოქმედების ასაკიდან გამოვედიო, იმეორებდა. ტექნიკას გული არა აქვსო, ამასაც ხშირად ამბობდა. ეს სენტენციები პოეტს ისე მოსწონდა, რომ ძლივს იკავებდა თავს, ისე გიჟურად უნდოდა გამოყენება. ვაჟას ერთი თითიც ამ საქმისთვის ჰქონდა შეწირული, კიდევ კარგად მოუსწრია ხელის ამოღება და მხოლოდ ერთი თითი შეუტოვებია დაჟანგებული, მოუვლელობით და უზეთობით გაბოროტებული, უზარმაზარი, ავად მოღრჭიალე ფოლადის ბორბლისთვის, თორემ მთელ ხელს ჩაიყოლებდაო, ასე ჰყვებოდნენ მისი შემცვლელი,ამაოდ დამშვრალი ლიფტიორები, რომლებიც მთელი დღე ჯახირობდნენ და საქმეს ვერ აკეთებდნენ. მუნჯის ენა დედამ იცისო, და მაღალი სართულის მობინადრე კეთილსინდისიერ გადამხდელებს ისევ ცხრათითა ვაჟას ძებნა უხდებოდათ, და მათ შორის იყო ჩვენი ახალგაზრდა პოეტიც, თუმცა, რაღა ახალგაზრდა, მაგრამ ესეც ბოროტი, შურიანი მწერლების ძველი ილეთი იყო, თავიანთ რიგებში არ იღებდნენ. აკადემიკოსი სიმამრი გარდაიცვალა უდროოდ, თორემ ახალგაზრდა, რა ხანია, აღარ იქნებოდა, პირდაპირ პოეტს დაარქმევდნენ. თოთხმეტსართულიანი კორპუსის მეექვსე სართულის ბინადარნი უფულობით, უმთავრესად კი, ერთმანეთის ჯიბრით მაზოხისტებად ქცეულნი, ფულს არ დებდნენ. მეხუთე და მეექვსე სართულის მაცხოვრებლები კიდევ როგორღაც ახერხებდნენ ფეხით სიარულს. თავად ლიფტი ძალიან სახიფათო რამე გახლდათ, სართულებს შორის ეხეთქებოდა რკინის ჩარჩოს, და პირველად ვისაც უწევდა მგზავრობა, თავბედს იწყევლიდა, რამ შემომიყვანა ამ მოძრავ კუბოშიო. უკან აუცილებლად ფეხით ჩამოდიოდნენ. ამ და, ზოგადად, თბილისის საბჭოთა ლიფტიანი კორპუსის მაცხოვრებლები კლაუსტროფობიისგან ყოველგვარი ფსიქოთერაპიის გარეშე იკურნებოდნენ. ისეთ სტრესს იღებდნენ, ის ფობია საერთოდ ავიწყდებოდათ. უმეტესობა, ფაქტობრივად, ექსტრემალად ჩამოყალიბდა — განსაკუთრებით, შევარდნაძის მეორედ მოსვლის ეპოქაში, როდესაც ბედისწერასავით მოსული დენი ასევე ბედისწერასავით მიდიოდა, სართულებს შორის ცუდ ადგილას გაჭედილი ადამიანები ღამეებს ათევდნენ ბნელ, ძალიან მყრალ, ჩაბნელებულ კაბინაში. გარედან ოჯახის წევრები ან მეზობლები გულშემატკივრობდნენ, მაგრამ ყველა კორპუსს არ ჰყავდა რუსულ ლიფტებთან მებრძოლი ცხრათითა ვაჟა, რომელსაც რაღაც უზარმაზარი ქანჩით უნდა დაეტრიალებინა ის ბოროტი ბორბალი, თითი რომ მართებდა მისი, და კაბინა ისეთ ადგილას გაეჩერებინა, საიდანაც უკვე გაწაფული ოჯახის წევრი ან მეზობელი ზამბარებიან კარს აღებდა და ისე გამოჰყავდა თავისუფლებაზე წყევლა-კრულვით ან გინებით გადაღლილი ადამიანები. უმეტესად, ხალხი თავად აღებდა გახევებულ კარს და ისე ძვრებოდა სულ მცირე ღრიჭოებში. ექსტრემალური სპორტის მოყვარულებსაც შეშურდებოდათ ეს ტრიუკი, ხანშიშესული ქალბატონის მიერ შესრულებული, თან მთავარი ის კი არ არის, ზამბარიან კარს ფეხით რომ აკავებდა და თან უწვრილეს ხვრელში ძვრებოდა, ნებისმიერ წამს შეიძლება მოსულიყო ის, უხსენებელი, ამ შემთხვევაში მიქელ გაბრიელივით დენი და გილიოტინის ფუნქციას შეასრულებდა.

უტრირებად მოეჩვენება მკითხველსო, ფიქრობდა პოეტი, მაგრამ ქართველი მკითხველი დაიჯერებდა და უცხოელებისათვის ფანტასტიკის ჟანრისთვის შეიძლება გამოეკრა ხელი, რომელიც უაღრესად პოპულარული ხდებოდა და მისი შვილები მამის ტექსტებს ამჯობინებდნენ, და ერთხელ საკუთარი თავი საშინელ აზრში გამოიჭირა — შაინინგის გმირ ნიკოლსონივით უფროსი გოგოს მოშთობა მოუნდა. მისი წიგნის სუპერი ჰქონდა გადაკრული ქართველი გრაფომანი მწერლის დეტექტიურ წიგნზე, რომელიც ასევე უაღრესად პოპულარული ხდებოდა თვალს და ხელს შუა, და უცხოელის წიგნი მაინც სჭეროდა, და არა მაინც და მაინც ის! გვარის ხსენებაც არ უნდოდა, ისე სძულდა ეს ძალად სტოიკოსი ნაძირალა. ეს საზარელი ფიქრი-გაელვება მეორე დილასვე მოძღვარს მოუყვა, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ძალიან კარგიაო, უთხრა, ანუ შენ ეს ცოდვა უკვე ჩადენილი გაქვს და მეორედ ხომ ვეღარ მოკლავ ვერცერთ ვარიანტშიო.

ბავშვებს რაც შეეხება: უფროსები თხოვდნენ და აკონტროლებდნენ, ლიფტში არ ჩამსხდარიყვნენ. უფროსებიც ზემოდან ფეხით ეშვებოდნენ, ხანშიშესული ადამიანები მაინც სხდებოდნენ, პირჯვარს იწერდნენ და... ლიფტში სარკე ეკიდა, ეს, ალბათ, იმ შემთხვევისათვის, თუ თავისუფალი ვარდნით წავიდოდა კაბინა, როგორც სუპერექსტრემალურ ატრაქციონებზე შეშინებულ ფოტოებს უღებენ ვიზიტორებს, ასევე შეიძლება საკუთარ შიშზე ან გამომეტყველებაზე გასცინებოდა ან სიმამაცე მოეკრიბა უკანასკნელ გზაზე, ადვილად გადაეტანა ცხოვრების ბოლო წამები მგზავრს. ძალიან საინტერესო კი იქნებოდა ეს ექსპერიმენტი, რომელიც, მგონი, არავის უწარმოებია. ვიღაცას, უფრო სწორედ კი, ცხრათითა ვაჟას, ეფიქრა ამ ფილოსოფიურ საკითხზე, ვინაიდან ეს სარკე აშკარად მუდმივად მთელი იყო ამ მუდმივი ნგრევის,

მოპარვისა და გაფუჭების ეპოქაში.

როგორც აღვნიშნეთ, პოეტი ძალიან ბევრს ფიქრობდა, ლიფტზე რამე დაეწერა, ჟანრს არჩევდა, ახლა კი ყველაფერი თავისით მოხდა. „ლიფტის მოლოდინში“ — ასე ერქვა ლექსს, ახლა კი — უკვე პოემას, რომელსაც წყალი არ გაუვიდოდა — სახლის ფასად, ჩალის ფასად, ალბათ, არსად, ბროლის ფასად, ვყალიბდებით ისევ რასად?.. თოჯინების დადგმის დასად, თუ ნივრის, ხახვისპრასად... ეს არა, არა, გოიმობის ეშინოდა ყველაზე მეტად, არადა, თავისით წამოსცდებოდა ხოლმე. ძალიან პატარა წამოვიდა, მშობლები იყვნენ რაიონიდან, იმათაც საგულდაგულოდ უმალავდა სტუმრებს, იქამდე, რომ ცოლის თანდასწრებითაც არ ელაპარაკებოდა დედ-მამას, ერიდებოდა მათი ლას-ის დეფექტის, უცნაური სიტყვების: უჯიკა, მეისპო, გადახტენდა, წარმეიდგინეთ... „რეამინაცია“ იხმარებოდა ხშირად, ვინაიდან უმეტესად ვინმე ახლობლის ავადმყოფობის გამო ჩამოდიოდნენ ქალაქში. და მაინც, მოულოდნელად ეიფორიულ კამათში გართულს, რაღაც სიტყვა წამოსცდებოდა და ვითომ ხუმრობდა, ბიძიკოს დაამატებდა ხოლმე.

ექსტრემალური ლიფტის შესახებ რამე უნდა შეექმნა. კედლებზე ამოკაწრული თუ სპეციალური პასტელით დაჯღაბნილ სისულელეებს ერთხელ თავისი ლექსი მიაწერა ცხოვრების ამაოებაზე და სხვებსაც მიუთითა, რამე სერიოზული, მათთვის საყვარელი სტრიქონები მიემატებინათ კლასიკური ნაწარმოებებიდან. ლიფტი ძალიან ნელა მოძრაობდა, ისე რომ, ერთ სტროფს თავისუფლად მოასწრებდა ვინმე პოეზიის მოყვარული. დასაშვები იყო აფორიზმებიც, მაქსიმებიც, და ციტატები — თავისთავად. ეს შეთავაზება მეზობლებმა აიტაცეს და ოთხივე კედელი ლექსებით აჭრელდა. მისი ლექსის და მოწოდების შემდეგ პირველი გალაკტიონის „მესაფლავე“ გაჩნდა. ეტყობოდა, კარგად უსეირნია ზევით ქვევით ამის დამწერს. დიდი ადგილი მიჰქონდა მთელ ლექსს. იდიოტი. მაშინ მეც მთლიანად დავწერდი ჩემს „პეტროგრადსო“. პოეტმა დიდის პატივისცემით მიუთითა, ეს, რა თქმა უნდა, შედევრია, მაგრამ სხვებსაც რომ დარჩეთ ადგილი, თქვენი საყვარელი ლექსებიდან თითო სტროფი, აფორიზმები ან ბრძნული გამონათქვამები დაწერეთ და ყველაზე კარგი ის იქნება, საკუთარ ლექსებს თუ დაწერთ, ხომ ვიცი, ლექსების ერთი საერთო რვეული ყველას გაქვთ, ქართველები არ ვართო?! მეორე დღეს ლაიქი მიახატა ვიღაცამ მის პოსტს.

ასე დაიწყო და გაგრძელდა, ნელ-ნელა ივსებოდა ყავისფერი ლაქით დაფარული დიქტის კედლები ლექსებით, ციტატებით, აფორიზმებით და, რა თქმა უნდა, ლაიქებით, რომლის თვლაც უკვე დაიწყო, და შეჯიბრიც გაჩაღდა. პოეტი ამბობდა, რომ სახიფათო მოგზაურობა უიოლდებოდათ მგზავრებს, წასაკითხი ბევრი იყო. კედლები რომ გაივსო, ჭერზე ავიდნენ, აქა-იქ ნახატებიც გაჩნდა, პოეზიის რომანტიკულ გარემოს ვიღაც პირველყოფილი ადამიანის მინაწერი შეაზანზარებდა ჩარჩოს მიჯახებასთან ერთად და გამოაფხიზლებდა ლიტერატურით დაბანგულებს უხეში ქართლური შაირი: „ეგ არ არის მაგისაო, ვირმა დაგისადგისაო.“ უმალ ახსენდებოდათ, რა ტრანსპორტში ისხდნენ, რომელ ეპოქაში, და რა ქვეყანაში ცხოვრობდნენ. პოეტი ძალიან ბრაზდებოდა, ვინაიდან თავის სალიტერატურო ჟურნალად მიიჩნევდა უკვე ამ კაბინას — ექსტრემალურ, თითქმის კოსმიური ხომალდის რისკს გათანაბრებულ მგზავრობას. ისიც უფიქრია — წესით, რკინის ტროსით დამაგრებული ჩაფხუტებიც უნდა ეკიდოს, თორემ ვიღაც აუცილებლად მოიპარავს და დააგდებს სადმე, სახლში ან სარდაფშიო.

ლიფტში ცხრათითა ვაჟამ ხურდების რკინის ყულაბა ჩამოკიდა — უსქელესი, უჟანგავი მეტალის ყუთი უზარმაზარი ბოქლომით. პოეტი ამას შავ ყუთს ეძახდა. ის უეჭველი გაუძლებდა ნებისმიერ კატასტროფას და მისი გახსნის შედეგად, ხურდების მიხედვით, ბევრი რამის დადგენა გახდებოდა შესაძლებელი. ცხრათითას პოეტთან უყვარდა გამოლაპარაკება — ძველ, საბჭოთა ხურდებს ყრიან, ბატონო ჩემოო, სულ მგონია, გაუთავდებათ, მაგრამ ჯერჯერობით ვპოულობო. კიდევ ასეთი ილეთი ჰქონიათ — გახვრეტილ რკინის ჟეტონს ძუას აბამენ, ხურდის ჩასაშვებში ჩაჰყოფენ და ჩაარტყამენ მექანიზმს და უკან იღებენო. ჩვენებმა ახალი დაზღვევა მოიგონეს: რკინის ფირფიტას ადუღებენ, რომ ანკესი ვეღარ გამოიყენონო. ერთი, მაგათ ტვინებზე დამაყენებინა ეგ „მოქლომიო“, და ამას ისე საყვარლად ამბობდა, სოფლის ეზოში თავისი ჭიშკარი ახსენდებოდა პოეტს — ვაჟაც დასავლეთ საქართველოდან იყო, ეტყობოდა.

ზუსტად ასე იყო. გენიოსი ვარ, ამათი შურიანი დედებს შემოვევლეო, გაიფიქრა. ბილწსიტყვაობა აკრძალული ჰქონდა თავისთვის, პლებეებს ახასიათებთო — ესეც სადღაც ამოიკითხა და მას შემდეგ აღარ იგინებოდა.

და ჭრიალით გაიღო ლიფტის კარი.

ლაიქემია

სადარბაზოში შესვლისას ხანდახან ასეთი აზრიც გაუნათებდა გონებას: წინასწარ ხომ არ გავაკეთებინო დაფა, ჯერჯერობით გვარ-სახელის გარეშე და ეს ადგილი დავიბევოო. ვინაიდან მათ კორპუსში, სულ ცოტა, 5-6 საზოგადო მოღვაწე თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა — და ეს ის შემთხვევა იყო, როცა სიამოვნებით დაასწრებდა სიკვდილს ყველა მეზობელს, სავარაუდო კონკურენტს — მაგრამ დაფა რომ ვერ გაეკეთებინათ მის ბოთე შვილებს, რომლებიც საერთოდ აზრზე არ იყვნენ, რას ნიშნავდა მამისთვის ეს დაფა?! და საერთოდ, დღესვე მოსულიყო მიქელა?! ამათ იმედზე ჩემი მტერი ყოფილიყო, ინტერნეტში საკუთარი ლექსების დამატებას სთხოვდა ხოლმე, ან მისი გვერდი დღეში ორ-სამჯერ გაეხსნათ, სამ-სამი წუთით. დათვლილი ჰქონდა: მის ხუთ შვილს დღეში, სულ ცოტა, სამ-სამჯერ რომ გაეხსნა მამის ბოლო პუბლიცისტური წერილი და სამი წუთი გაეჩერებინა, 1500 თვალი ანუ ნახვა დაემატებოდა იმ 158-ს, და ჯიგრიანები რომ ყოფილიყვნენ, 15 ათასამდეც აიყვანდნენ, როგორც მისი მეგობარი ედიშერის შვილები აკეთებდნენ ამას. ისინი ლაიქებსაც ამრავლებდნენ, შეარებსაც და, თავადაც წამოსცდა თამილას, ედიშერის ცოლს, ჩვენი ბავშვები ჩვეულებრივი ჰაკერები არიანო. ბედი არ გინდა?! მე კიდევ გრძელფეხება რედაქტორი მიშლის ლაიქებს და შვილების დახმარება მაგაში მჭირდება, რომ ის აღადგინონ, რაც რედაქტრისას ბოროტ ხელამდე იყოო. პოეტს უტყუარი ცნობები ჰქონდა, როგორ ჩადიოდა ღამე გრძელფეხა რედაქტრისა სერვერების ოთახში და თავისი სიმპატიანტიპატიის მიხედვით ზოგს უშლიდა ლაიქებს, ზოგს — უმატებდა. მაგრამ ეს ყველაფერი მანამდე იყო, სანამ თავად ისწავლიდა კომპის ხმარებას, შემდეგ ფეისბუქელიც გახდებოდა და ლაიქკონტაქტ კონტრაქტებს ააწყობდა. ახლა აღარავინ სჭირდებოდა, თუმცა რედაქტრისამაც, შესაბამისად, ასეულობით წაშლა დაიწყო, ანუ დაახლოებით 1500 ლაიქი იშლებოდა. მნახველთა რიცხვს კი ვერაფერს უხერხებდნენ, სპეციალური პროგრამა ჩააწერინა თავის ახლადდამეგობრებულ კომპის ხელოსან ვალოდას. ჩართული კომპი თავისით კითხულობდა და კითხულობდა, ემატებოდა და ემატებოდა წამწამებიანი თვალის ნახატი. ღამე დატოვებული კომპი დილაუთენია უკვე სამ ათას ან ოთხს ან მეტს იმატებდა, ტექსტის სიდიდეს გააჩნდა და ფოტოს უღებდა, რომ არ წაეშალათ.

პოეტის ფიცხი ხასიათი რედაქტრისას და მის მონებს უკვე გამოცდილი ჰქონდათ: კორექტორმა მძიმეები დაუსვა, როგორც თვითონ ამბობდა, 1800 წელს გამოცემული მართლწერის სახელმძღვანელოს მიხედვით. იქ ამბავი მოხდა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. პოეტი ხაოდა, როგორ გაბედეთ მძიმეს დასმა, დაირღვა მთელი ჰარმონიაო. ლეკას, ედოს, პედოს, ჭეკას, ცეკას და ტეკას ხომ ვერ გაუბედავდითო. მერე დაცვის თანამშრომლები შემოვიდნენ.

ის ამბავი, რომელსაც გულწრფელად აღფრთოვანებულმა ლექსიც მიუძღვნა, ვალოდას სახელოსნოში კედელზე ეკიდა: გაზეთიდან ამოჭრილი ლექსი ავტორთან გადაღებული სელფით. ლექსში ვალოდა სტივ ჯობსის სულიერ ვირტუალურ მეგობრად და მისი საქმის გამგრძელებლად ჰყავდა გამოყვანილი, რომელიც ასევე ვირტუალურად, ფოტოშოპის გამოყენებით ღვინოს უქცევდა მის საფლავს, გარეგნობითაც ჰყავდა შედარებული ლამბერსექსულივით ოდნავ გაუპარსავი წვერით, და ლექსი-მიძღვნა ასე მთავრდებოდა: „ჯვარი ეწეროს ვალოდას, სტივ ჯობსი უხდის მადლობას“.

ჯ. კ. ც. საზ. მოღ.

ელიტური კორპუსის მემორიალური დაფებით მოპირკეთებული ფასადი ხელუხლებელი იყო ერთი მარტივი მიზეზით: აქ ფერადი ლითონი ან თუჯი გამოყენებული არ ყოფილა, მარმარილოს ან ბაზალტის ქვებზე ამოტვიფრული იყო ძალიან საინტერესო ინფორმაცია — საზოგადო მოღვაწის დაბად. და გარდ. თარიღები და პროფესია, რეგალიები. ზოგიერთის, უფრო პოეტ-მწერალთა, ფილოსოფიური ციტატები, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებზე კი ციტატები მათდამი მიძღვნილი ნეკროლოგებიდან. სწორედ ამის გამო აღარ იყო დარჩენილი ადგილი და ახალგაზრდა პოეტი ფიქრობდა, სადარბაზოს კრება მოეწვია და საკითხი ასე დაეყენებინა: შემოკლებულიყო ტექსტები მემორიალურ დაფებზე და რაც შეიძლება მეტი აბრევიატურა გამოყენებულიყო. როგორც მაგალ. ბატონ დ. ა. ს და საკუთარი სიმამრის შემთხვევაში, სადაც დაბ. და გარდ. თარიღები, რომელთა შეკვეცაც შეიძლებოდა, და ეს მყარი თეორია დიდ მუყაოზე გადაკრულ პერგამენტზე ჰქონდა გამოხაზული, პრეზენტაციისათვის. ესკიზზე სკრუპულოზურად ჰქონდა დატანილი ყველა აწ. გარდ. საზ. მოღ. მემ.დაფები. ამ პროექტზე მუშაობისას აღმოაჩინა, რომ უამრავი სიტყვის და აზრის შემოკლება შეიძლებოდა, და რომ ჩვენ, ქართველები, როგორც ყველაფერში, აქაც არაპრაქტიკული, უყაირათო ხალხი ვართ. ეს დაწერა აბრევიატურის გამოყენებით, ერთი ლექსიც მიუძღვნა და მცირე ბროშურაც. ამას რევოლუციური გადატრიალება უნდა გამოეწვია. ბროშურას ერთმა ცნობილმა აკადემიკოსმა ძალიან დიდი აღმოჩენა უწოდა და სთხოვა, აუცილებლად გაეგრძელებინა მუშაობა ამ მიმართულებით. გაზეთმა — „ალავერდი“ — უზარმაზარი სადღეგრძელო მიუძღვნა მის ნაშრომს, აბრევიატურით დაწერილი ლექსი ჯორჯ ორუელის „1984“-თან ალუზიას იწვევსო, წერდა სტატიის ავტორი. პოეტს პირკატა ეცა: ნუთუ მისი აღმოჩენა შეიძლებოდა, ვინმეს ჰქონოდა... პლაგიატზე თუ გადაჰკრა ავტორმა? სასწრაფოდ გაიგო მობ. ტელ. ნომერი და დაურეკა წერილის ავტორს, რომელმაც უხვად დააყარა ქება მისი ლექსის გამო. უამრავ არგუმენტს შორის იაპონური დამწერლობა და პოეზიის ფორმებიც ერია. ახლა გეგმავდა დიდი, 300 გვერდიანი წიგნის „დადებას“ — როგორც თვითონ უყვარდა გამოთქმით გამოთქმა. ზოგადად, სიტყვათა წარმოშობამ, ერთი სიტყვით, ვერსიფიკაციამ ისე გაიტაცა, რომ ყველა სიტყვას შლიდა, ამოკლებდა და სადაც ვიღაც სიტყ. მფლანგ. ერთ გვერდს მოანდომებდა, ის ახ. ქარ.ენ.-ზე ერთ აბზაცში მოაქცევდა. წმინდა სემანტიკურ ვერსიფიკატორულ გრამატიკულ არგუმენტებს გარდა, სრულიად პრაგმატული ეკონომიკური მოგება, ქაღალდის შესაბამისად, ხე-ტყის ეკოლოგიური ეფექტი დათვლილი ჰქონდა — რა რაოდენობით ხე იჭრებოდა მსოფლიოში საწ. ქაღ.-ის გამო და მისი ახ. ქარ. ენის კაცობრიობის ყველა ენაზე ამ თეორიის გამარჯვების შედეგად, რა რაოდენობით ხე გადაურჩებოდა ბარბაროს ქაღალდის მწარმოებლებს. გლობალური დათბობის პრობლემაც იჭრებოდა და ნობელის პრემია, მისი გამოთვლით, მესამე ნომინაციაშიც გარანტირებული ჰქონდა.

გაკეთებული ჰქონდა მაკეტი — სახლის ფასადის არსებული ვერსია და მისი ახალი იდეის მიხედვით შესრულებული ვერსია გარითმული აბრევიატურებით, რომელსაც დამატებული ჰქონდა ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ ცალი ფეხით გაღმა გასულთა დაფები, მათი, ვინც კარგა ხანია, აღარ უნახავს გარეთ, ასეთები კი თითქმის იმდენივე გამოდიოდა, რამდენიც უკვე გარდაცვლილები, ანუ დაფიან საზ. მოღ.-ებს გარჩევის შემთხვევაში ჯ. კ. ც. საზ. მოღ.-ები ჯერ მარტო ქვორუმით მოუგებდნენ მემ. დაფ.-იან აწ გარდ. საზ. მოღ.-ებს.

ნათეგა

უკვე კომპთან იჯდა, ახალი იდეით შეპყრობილი და აცახცახებული. 1265 თვალი. დიდი მადლობა ძვირფას ვალოდას! გული ხარობდა, კომპი გალობდა. ისიც გალოთდა, ისიც გალოთდა... სხვებს ეკითხათ, თორემ მისთვის, ახალგაზრდა პოეტისთვის, სულ ერთი იყო ფორმაც, ზომაც და ჟანრიც კი, ერთნაირად ძლიერი იყო ტრადიციულშიც და ვერლიბრშიც, მოთხრობაშიც, რომანშიც, პიესაშიც, ესსეში და სცენარშიც კი. მოკლედ, კალმით, დღეს კი — კომპით. სადარბაზოს მაკეტზე სასწრაფოდ უნდა შეესწორებინა თავის ბარელიეფის გამოსახულებაც და ტექსტიც — მაქვს მკერდს მიდებული კომპი როგორც მინდა... პოეტი ლეპტოპით თავის სტროფს შესცქერის.

მაგრამ ჯერ — ამბავი. მოკლე და საყოველთაო. ის, რასაც ბოროტი რედაქტორები და საზ. მოღ.-ების ხსოვნა და ჯართი თავები ვერას დააკლებენ. მაგალითად, პიესა, რომელზეც სულ ანშლაგი იქნება და ბილეთების გაყიდვა დიდ სკანდალს გამოიწვევს, პიესა, რომელიც იქცევა სცენარად, რომელსაც გადაიღებს ჰოლივუდიც და ბოლივუდიც, და სრულიად სამყარო უკვდავყოფს სახელს ახალგაზრდა პოეტისას, და არამარტო მის სადარბაზოსთან, არამედ ყველა, უკლებლივ ყველა ქალაქში აღიმართება კომპიანი ახალგაზრდა პოეტის ძეგლი.

აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი,
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება
და შენ ამქვეყნად მაინც იქნები!

ახალგაზრდა პოეტის ლეპტოპში აღმოჩენილი ფაილებიდან

მეეზოვე — ნარინჯისფერი ქურთუკით. პოლიციელი — ვან ბასტენს, ექსპერტი ჩინოვნიკი შლიმანს შეარქმევს.

პოლიციელები — ახალგაზრდა ფორმიანი ბიჭები, ოდნავ დაბნეულები.

ექსპერტ-კრიმინალისტი — ახალგაზრდა კაცი, ლურჯი პლასტიკატის სპეციალური კეისით, უცნაური ხელსაწყოებით, უცხო ტერმინებით საუბრობს.

ხელოვნებათმცოდნე ექსპერტი — მაღალ ქუსლებზე. ოდნავ მოკლე კაბით, ასაკთან მებრძოლი, წითელი პომადით, სექსუალური მიმოხვრებით, ფეხის ფეხზე მანერული გადადებით, ხელზე უზარმაზარი სამაჯურით, სიგარეტს ეწევა მანერულად.

დაზარალებული ქალი — ერთ-ერთი ბრინჯაოს თავის შვილიშვილი, პუტკუნა, უმიზეზოდ გაბრაზებული.

დაზარალებული მამაკაცი — სათვალიანი პროფესორი, ანტიგლობალისტი. ცელოფნის პარკებით, სანოვაგით და ტუალეტის ქაღალდებით, ისტერიული მონოლოგებით საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე შეთქმულების გამოვლინებად განიხილავს ამ ვანდალიზმს.

დაზარალებული ბიჭი — ოდნავ ნასვამი, წვერგაუპარსავი, გორელიეფის შვილიშვილი, სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს.

დაზარალებული თინეიჯერი გოგონა — მესიჯებს აგზავნის და პასუხებზე სიცილი უტყდება.

პარლამენტარი — ჭაღარა, თეთრი პერანგით, წითელი სვიტრით და პიჯაკით, შეუსაბამოდ ხმარობს ინგლისურ სიტყვებს.

ქორო — საზ. მოღ.-ების ბრინჯაოს თავები, რომლებიც ერთხმად ამტკიცებენ და ღრიალებენ, რომ შუაში არიან გაჩხერილები, ვინაიდან ამ დაფებს შეცდომაში შეყავთ მომავალი თაობები და ამიტომ საზვერეებში განსახილველადაც არ ჩასულა მათი საკითხი, მანიაკი შთამომავლების გამო წესიერად ვერ მოკვდნენ და აქაც, დედამიწაზე, საკუთარ სადარბაზოშიც კი, კაცმა არ იცის, ვინ იყვნენ და რა საქმეზე.

ქორო — ჯართის ქურდები.

გაგრძელება იქნება



ივანე ამირხანაშვილი

ივლისისფერი ტრიპტიქი



1. მუსიკა არსებობს!

კახა ჯამბურიას რომანი „ღმერთი არსებობს, იცი?“

მოულოდნელი წიგნი მოსალოდნელი ხარისხით, დონით, სტილით. კამერტონად აღებული აქვს ვონეგუტის მოტივი, შესრულება თავისია. პროფესიონალი ლიტერატორის ხელი ეტყობა ტექსტს. ჩანს ავტორის მაღალი გემოვნება, თვითკრიტიკული განწყობა, ცოტა სიფრთხილეც, რის გამოც წიგნი არ არის იოლი საკითხავი. გადმოცემის მანერა (მხოლოდ მანერა) რატომღაც ანდრე ჟიდის „ყალბი ფულის მჭრელებს“ მაგონებს. ეს შეიძლება არც იყოს მთლად შემთხვევითი პარალელი. ამორფული სიუჟეტის სტიქიური განვითარებით ჟიდი ბახის ფუგების ლიტერატურულ ეკვივალენტს ქმნის. კახა ჯამბურიას რომანიც მუსიკოსებზეა, როკმენებზე, დონკიხოტურად აღტკინებულ მეამბოხეებზე... და მთავარზე, რომლის შესახებ ქვემოთ, დასასრულს ითქმება ორიოდ სიტყვა.



ვისაც არ მოუსმენია კახას საუბარი როკის ისტორიაზე, მან არ იცის, რას ნიშნავს გიყვარდეს, გწამდეს და იცოდე. ჩვენში, როგორც წესი, უყვართ ან სწამთ, მაგრამ ცოდნამდე არ მიდიან, საჭიროდ არ თვლიან ან ეზარებათ. იმას, როგორც კახამ პოპ-მუსიკის ისტორია იცის, ნათელხილვას ვუწოდებდი, რადგან ეს ცოდნა სიყვარულისა და რწმენის ნიადაგზე არის აღმოცენებული.

მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, ეს წიგნი არის მელომანის ეპიფანია ანუ გამოცხადება, ნათელხილვის უმაღლესი ფორმა.

ხშირად მახსენდება 1980 წლის 9 დეკემბრის სუსხიანი დილა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი. 98-ე აუდიტორიის წინ, ფანჯარასთან, კახა მოვიდა და მითხრა: „იცი, გუშინ ჯონ ლენონი მოკლეს...“

რაღაცით ხომ ჰგავს ეს ფრაზა ოცდათოთხმეტი წლის შემდეგ „ქარჩხაძის გამომცემლობის“ მიერ დასტამბული რომანის სათაურს: „ღმერთი არსებობს, იცი?“

მაშინ არ ვიცოდით, რომ მარკ დევიდ ჩეპმენს, როდესაც ლენონს ტყვიას ესროდა, პალტოს ჯიბეში ედო სელინჯერის რომანი „თამაში ჭვავის ყანაში“. აშკარაა, რაღაც გაგებით, წიგნი კლავს კერპს და შეიძლება მკვლელისთვის ეს იყოს „გამოცხადება“.

მკვლელობა სიყვარულის გამოხატვის ისტერიული ფორმაა. მაგალითად, ფრანსუა ტრიუფოს შემოქმედების ანი და ჰოე ეს იდეაა: „ნაზი კანით“ იწყებს, „მეზობელი ქალით“ ამთავრებს.

კახა ჯამბურიას რომანში ყველაფერი გაზაფხულზე მთავრდება, 2014 წლის 29 აპრილს, ლონდონში, ოქსფორდ სტრიტზე, კლავენ მთავარ გმირს, კასპარ ჰაუზერს. ამ დღეს კიდევ ბევრი რამ ხდება მსოფლიოში, მაგრამ აქ ეს არის მთავარი, ავტომატური პისტოლეტიდან გასროლილი ტყვია და კითხვა: ვინ იყო კასპარ ჰაუზერი, „ბომჟი“ თუ გენიოსი? იქნებ არც ერთი ან ორივე ერთად. ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია ამბავი, სიცოცხლის ფაბულა.

ფატალური დამთხვევები ლიტერატურაში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მაინც საინტერესოა – კასპარ ჰაუზერს ლონდონის ოქსფორდ სტრიტზე კლავენ, ჯონ ლენონი კი დაიბადა ლივერპულის ოქსფორდ სტრიტზე.

კახა ჯამბურიას თხრობის რთული ფორმა აქვს არჩეული – მონოლოგი, უფრო სწორად, მონოლოგი დიალოგებით. პროზაში ეს ბეწვის ხიდზე სიარულს ნიშნავს. მცირე უყურადღებობაც კი შეიძლება ძვირად დაუჯდეს ავტორს. ერთმა მოუზომავმა ნოტმა შეიძლება ტექსტი ისე გააფუჭოს, რომ შეუძლებელი გახდეს მკითხველის განწყობის შემობრუნება.

ამიტომ პირველი, რაც უნდა აღინიშნოს ამ რომანში, ეს არის თხრობის სიმწყობრე და თანმიმდევრულობა. მაინც სადებიუტო პროზაა და, გინდა-არგინდა, ეჭვის თვალით კითხულობ ყველა ფრაზას, ყველა ეპიზოდს, ყველა კონტექსტს, მაგრამ ეჭვი მალევე იფანტება, რადგან აქ ყველაფერი რიგზეა. ბუნებრიობა, რაც ტექსტს სამარკო ნიშანივით ახასიათებს, წარმოსახვისა და შთაგონების ურთიერთქმედების შედეგია. შესაშურ ფანტაზიას ავლენს კახა ჯამბურია ყოფით თემატიკასთან მიმართებით – მონოლოგები, დიალოგები და პოლილოგები დალაგებულია ერთ მთლიან, დიალექტიკურ ხაზად, რომელიც არსად არ წყდება, განუწყვეტლივ მიმდინარეობს და თითქოს გრძელდება იქაც კი, სადაც მთავრდება.

საერთოდ, ცუდი ჩვევაა სათაურის მიხედვით წიგნის იდეის ძებნა, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. მეექვსე თავის ბოლოში არის ასეთი ფრაზა: „— იცი, ღმერთი არსებობს! მე კიდე დღეს ვონეგუტის კითხვას დავიწყებ“ (გვ.118).

წიგნს რომ ჩაამთავრებ, ხვდები, რომ პირველი ფრაზა, მიამიტური ტონალობით რომ არის შეფერილი, თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს კიდევ უფრო მიამიტური ფრაზით: „იცი, მუსიკა არსებობს!“

კახა ჯამბურიას რომანის პერსონაჟთა გალერეაში ბევრი საინტერესო პირია, მაგრამ არის მათში კიდევ ერთი, ცალკე მდგომი და მთავარი – მუსიკა. ეს არის გაპიროვნებული სტიქია, ძალა, რომელიც ყველას და ყველაფერს მსჭვალავს. რომანის გმირები ერთმანეთს მუსიკის ენაზე ესაუბრებიან ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. და გრძნობ, ხვდები, კითხულობ ავტორის ჩანაფიქრს: მუსიკა არის ღვთის არსებობის დასაბუთება.

მუსიკა არსებობს!

2. სიცოცხლის ჰიმნი

მუსიკა არსებობს იქ, სადაც ის ესმით, სადაც მას ასრულებენ, სადაც მღერიან.

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“. გალაკტიონის ლექსის ეს სიტყვები უძღვის ეპიგრაფად ელგუჯა ბერძენიშვილის მოთხრობას „ხასანბეგურა“, რომელიც ამ ცნობილი სიმღერის აპოლოგიას წარმოადგენს.

2014 წელს გამოიცა ელგუჯა ბერძენიშვილის მოთხრობების კრებული, ცარცის ქაღალდზე დაბეჭდილი ოცდახუთი მოთხრობა, ფერწერული გარეკანით, რომელსაც ამშვენებს ოკამის ღვინის ქარხნის სადეგუსტაციო დარბაზის ფრესკის ფრაგმენტი, რაღა თქმა უნდა, მისივე შემოქმედების ნაყოფი.

შთამბეჭდავი წიგნია თემებისა და მოტივების პოლიფონიური ერთიანობით.

ყველა მოთხრობას აქვს თავისი, განსხვავებული იდეა, ფორმა და შინაარსი, მაგრამ „ხასანბეგურა“ მაინც გამოირჩევა, განსხვავებულია, განსაკუთრებულია, თავისებურია, ცალკე დგას, როგორც დიდების მონუმენტი.

ასეთი მოთხრობა ქართულ სიმღერაზე არ დაწერილა. უნიკალური ნაწარმოებია როგორც მხატვრული, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ტექსტი აგებულია მიზანდასახული ესთეტიზმისა და მაღალი მგრძნობელობის ნოტებზე. აქ ერთად არის შენაწევრებული თხრობა, შთაგონება და იდეა.

მოთხრობის გმირი ანუ მთხრობელი არის პროტაგონისტი, რომელსაც სიმღერის შეუცნობელ სამყაროში შევყავართ ისე, რომ ამ სამყაროს მშვენიერებას, ჩვენთან ერთად, ისიც პირველად ეზიარება.

სოფლის კლუბში შემთხვევით მოსმენილი „ხასანბეგურა“ ისე აღაფრთოვანებს, რომ მთლიანად ემორჩილება სიმღერის სტიქიას და იწყებს სულიერ ზეაღსვლას იქამდე, სანამ თვითონაც არ იმღერებს.

ჯიუტად, თავდავიწყებით, თავდადებით ეძებს სიმღერასთან მისასვლელ გზას. იცის, რომ ბოლოს მაინც იმღერებს „ხასანბეგურას“ რომელიც მისთვის სიცოცხლის წყაროც იქნება და თვითიგივეობის დასტურიც. ჯერ მხოლოდ სიზმარში მღერის:

„შემიპყრო ამ სიმღერამ. შემიყვარდა, როგორც ფეხშიშველი, წვივებდაკაწრული სოფლელი გოგო შეგიყვარდება სიჭაბუკისას. ხასანბეგურა მხოლოდ სიმღერა არ იყო ჩემთვის, არამედ ჰანგებში ჩაძირული საოცნებო ქვეყანა, უჩვეულო და მომხიბვლელი ქვეყანა, დასახლებული მამაცი ხალხით, სტუმართმოყვარე, ხალისიანი, გულადი, მხიარული და მოსიმღერე ხალხით; ქალები – ენატკბილნი, მოყვასნი, კაცები – ვეფხვთაგან უფიცხესნი, ამაყნი, მრისხანე მხედრები, უებრო მოჯირითენი, ტყვიას ტყვიაში რომ სვამენ სროლით და გაჭენებულ ცხენზე გადმოკიდებულნი, გულაღმა, მინდორზე იას რომ მოგიწყვეტდნენ და მოგართმევდნენ, თუ ისურვებდით, რა თქმა უნდა... ასე ამბობდა მამაჩემი. ხასანბეგურა მათი მჩქეფარე სისხლი იყო ჰანგად ქცეული, გურიის სულის სიმღერა. ყველა გურული მღერის, ყველას თავი მოჰქონდა სიმღერით. მეც გურული ვიყავი (არაფრით სხვაზე ნაკლები) და მეც მინდოდა მხრებში გავშლილიყავი, ამაყად მევლო ქვეყანაზე. ყოვლად შეუძლებელი იყო, სიზმარი ცხადად რომ არ მექცია და ხმამაღლა არ შემომეძახა ხასანბეგურა.“

შემდეგ ოსტატურად არის აღწერილი გმირის მელოსური ოდისეა: როგორ იღვიძებს მასში სიმღერის სული, როგორ უახლოვდება ხმებს, როგორ ეხება მათ, როგორ პოულობს თავის როიას სამხმოვან დინებაში, როგორ ეზიარება ჰარმონიას და კიდევ რაღაც იდუმალს, რომელიც სიტყვებით აღარ გადმოიცემა. თუმცა სრულიად გასაგებია მოთხრობის ბოლო ფრაზა: „მე ვარსებობ, როცა გაისმის ხასანბეგურა.“

რევაზ ინანიშვილი წერდა, ელგუჯა ბერძენიშვილის მიერ აღქმული და დახატული გარემო მაინც სხვა არის, აქ ყველგან რაღაც ბიბლიური, აუმღვრეველი სინათლეა გამეფებულიო. საინტერესო დაკვირვებაა. მართლაც არის ამ მოთხრობებში, ასე ვთქვათ, მშვინვიერი საწყისი, მაგრამ, ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ელგუჯა ბერძენიშვილის პროზა – ეს არის მხატვრის ფერწერულ-გრაფიკული შემოქმედების ბუნებრივი გაგრძელება, რომელიც სიტყვის მეშვეობით გამოხატავს იმას, რაც ფერითა და შტრიხით არ იხატება, მაგრამ იმავდროულად, სიტყვა ინარჩუნებს კავშირს სახვითი ხელოვნების გენიასთან და ქმნის რაღაც მოუხელთებელ მთლიანობას, რომელიც ალბათ სხვა არაფერია, თუ არა პლასტიკის უნივერსალური ენა.

3. განსაწმენდელის იქით

კუბის მწერლობას ჩვენთვის ორი სახელი წარმოადგენდა: ნიკოლას გილიენი და ალეხო კარპენტიერი. „თავისუფლების კუნძულის“ პოეზია ისეთი იყო, როგორიც ნიკოლას გილიენის ლექსები; პროზა ისეთი გვეგონა, როგორიც იყო ალეხო კარპენტიერის რომანები.

ჩვენთვის ამ ორ სახელზე ტრიალებდა მთელი კუბური მწერლობა. ამათ ათი ან ოცი ავტორიც რომ დამატებოდა, მაინც ორი რჩებოდა, ნორმირებული და კონიუნქტურიზებული წყვილი, არც მეტი, არც ნაკლები.

ამ დროს თურმე რამდენი კარგი მწერალი ჰყოლიათ, „ინოსტრანკის“ 2015 წლის 1-ლი ნომერი სპეციალურად კუბის თანამედროვე ლიტერატურას ეძღვნება. თექვსმეტი ავტორია დაბეჭდილი, ჩემთვის ყველა უცნობი, თითქმის ყველა დევნილი, აკრძალული და ტაბუირებული, მაგრამ, ამას ვინღა დაეძებს, ყველა საინტერესო, რაღაცნაირად ხაოიანი პროზისა და ღრმად სევდიანი პოეზიის შემქმნელნი.

ჩამოთვლას რა აზრი აქვს. მხოლოდ ერთს დავასახელებ: ელისეო ალბერტო – პროზაიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი, სცენარისტი. კრიტიკის ეროვნული პრემიის ლაურეატი. დაიბადა 1951 წელს. 1989 წლიდან ცხოვრობდა მექსიკაში. გარდაიცვალა 2011 წელს.

ჟურნალი აქვეყნებს ელისეო ალბერტოს რომანს „ესთერი სადღაც იქ არის“ (მთარგმნელი დარია სინიცინა). ერთია, რომ მწერალს გამოყენებული აქვს მოდერნიზმისა თუ პოსტმოდერნიზმის საუკეთესო მიღწევები და ბევრი რამ, ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა, მაგრამ მეორე და მთავარი, ჩემი აზრით, არის ის, თუ როგორ წარმოგვიდგება, როგორ იხატება კუნძულის სინამდვილე.

რომანის დრო – ეს ის პერიოდია, როდესაც ფიდელ კასტროს ჩაუვარდა ათი მილიონი ტონა შაქრის მოსავალი, როდესაც მასობრივად ასამართლებენ სხვაგვარად მოაზროვნეებსა და მათ ოჯახებს, როდესაც მოხალისეები აყალიბებენ სწრაფი რეაგირების რაზმებს მანიფესტაციებისა და საპროტესტო აქციების გასაკონტროლებლად, როდესაც ჰავანა ემსგავსება აბსურდის თეატრს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მწერალი სინამდვილეს პირდაპირ კი არ გვიჩვენებს, არამედ პერსონაჟთა ყოფით – ფსიქოლოგიურ პლანში გარდატეხავს.

რთული რომანია. მასში ყველაფერი მოძრაობს, არაფერს და არავის არ აქვს მუდმივი ადგილი, საგნებს ადამიანები ცვლიან, ადამიანებს – მოვლენები, ავტორი პერსონაჟად გვევლინება, პერსონაჟები – ავტორებად და ასე მიმდინარეობს მოქმედება დიდ, საზოგადო თეატრში, რომელიც არის კუბა – მრისხანე და სამართლიანი, ძლიერი და საცოდავი, უბიწო და გახრწნილი, მამაცი და მშიშარა, საერთო და უპატრონო მიწა.

ერთ-ერთი პერსონაჟი, სტუდენტი ისმაელ მენდეს ანტუნესი წერს თავის დღიურში: „ყოველთვის მაღიზიანებდა, გული მერეოდა სიტყვა „სამშობლოს“ გაგონებაზე. დიდხანს მძულდა კუნძული და არავის ვენდობოდი. გადავწყვიტე ქვეყნიდან გავქცეულიყავი, რითაც მომიხერხდებოდა – ცურვით ან თუნდაც ფრანით.“

მაგრამ ისინი არსად მიდიან, რადგან ეძებენ კეთილშობილ, მშვენიერ დიასახლისს. ის სადღაც იქ არის, ამ განსაწმენდელის მეორე მხარეს, და ეს არის ესთერი ანუ სამშობლო, ძვირფასი, ნამდვილი კუბა.

ელისეო ალბერტო – თავისუფლების კუნძულის სევდიანი მემატიანე.

ლელა მეტრეველი

რწმენა

ძაღლებს თეოზე არ ღვიძავთ,
კვამლი აღარ ასდის ბუხარს...
მაინც გამოჩნდება ვიღაც,
ვისაც ეს სოფელი უყვარს.

ვარდი მხოლოდ ეკალს ისხამს,
„pub“-ი ჩაენაცვლა დუქანს...
მაინც გამოჩნდება ვიღაც,
ვისაც ეს ქალაქი უყვარს.

ბაღი, მინდობილი ამინდს,
ხალხი, მინდობილი უფალს...
ვინმე გამოჩნდება მაინც,
ვისაც ეს ქვეყანა უყვარს.

*** ***

გათენების წინ
აცივდება ხანდახან ისე,
რომ სიფრიფანა გეჩვენება
ყველა საბანი.
მერე თენდება.

სამშობლოში კი
დაუცველი ხარ ხშირად ისე,
რომ სიფრიფანა გეჩვენება
ყველა კედელი
და არც თენდება...

*** * ***

უცებ ქარმა რომ აიტაცოს
ჩვენი ლექსები,
უგვარსახელოდ, ამოსაცნობ
ნიშნის გარეშე,
უცებ მკითხველს რომ
ჩაუცვივდეს
ხელში ფურცლები,
უხმოდ, უჩვენოდ,
მაქებართა გუნდის გარეშე,
თუ ხვდებით მაინც,
რამდენი რამ შეიცვლებოდა?!
გალაღებული პოეტები
რაღას იქმოდნენ,
ან მკითხველები,
გვარ-სახელზე
მონადირენი?!
უცებ მართლა რომ...
გამიტაცა, მეც რა, ოცნებამ.

*** * ***

სუყველას ბედი ზეცაში წყდება?
ვერ ავცდებოდი ამინდს ქარიანს? —
არ მჯერა. რაღაც ისეთი ხდება,
რაც, ალბათ, მხოლოდ ჩემი ბრალია.

ხელში არასდროს მჭერია ხვითო,
გავტყდი, ამდენი ავის მნახველი...
უფსკრულში ცვივა, რაც ჩემი იყო,
რაც სხვისი არის, იმის სახელით.

გული ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად კვდება,
ტოვებს სიცოცხლეს ცოდვა-ბრალიანს...
ჩემს თავს რაღაცა ისეთი ხდება,
რაც უსათუოდ ჩემი ბრალია.

*** * ***

შებრუნებული ჭოგრიტით
იმიტომ გიცქერდი,
რომ შენი ნაკლის დანახვა არ მინდოდა.
მაინც წავაგე:
ვერც შენი ღირსება დავინახე.

ციკლიდან: „რაჭა“

*

წარსულის ხსოვნა ფიქრებს რომ აშლის,
მომენატრება სინათლის სხივი, —
მოვდივარ შენკენ — მგონია, სახლში
და მხვდება რაღაც უცხო და ცივი.

არადა, თბილა და მზე ლამაზად
ჩადის, მთის მიღმა დაეძებს ბინას,
მე ვცდილობ, მივხვდე: რა შეიცვალა,
მშვიდად და ტკბილად რომ აღარ მძინავს?

კი, ის ვაშლის ხეც მოჩანს ფანჯრიდან,
ბავშვობაში რომ ალერსში მხვევდა,
ძახველიც მიხმობს ეზოს საზღვრიდან,
მაგრამ აღარსად არა ჩანს... დედა.

*

რაკი გამიფრთხა ძილი სრულებით,
ღამის სურათის დახატვა ვცადე:
ელვა, ღრუბლები და ვარსკვლავები, —
სუყველა ერთად მოჩანან ცაზე.

აღმოსავლეთით ანათებს მთვარე, —
ყუამოცლილი მრგვალ-მრგვალი მჭადი
და, ვინც არ უნდა ეცადოს ახლა,
ვერ მოუნახოს ამ ღამეს ზადი

და ამ ყველაფერს, რაც მთავარია,
ჩემი ბავშვობის სურნელი ასდის.

ზამთრისპირი

როგორც ხელისგულზე, იქითა ნაპირი
მოჩანს. მზე ჩაჰყურებს ქარაფებს.
წითელი კუნელი, წითელი ასკილი
უფოთლო ტოტებზე ანათებს.

არ ცივა, არ თბილა. უკვე გაცვეთილი
გზები ზამთრისაკენ მიდიან
და კომში დიდრონი, ხეზე შერჩენილი,
ყვითელი ჭაღივით ჰკიდია.

თუნდაც ალაგ-ალაგ, ფერადი წვეთები
თითქოს სიცოცხლისკენ ხიდია.

*

ამ ჩემი ძველი მდინარის პირას
გულაღმა ვწევარ და ზეცას ვუმზერ...
ვფიქრობ: „მერცხლები სტუმრობენ ძვირად
დაქცეულ ჭერს და დანგრეულ ბუდეს“.

სულ მეყვარები, მაგრამ დასასრულს
ჭვრეტს უკვე გული, შიშით შემკრთალი.
...ჩემს აივანზე ყოველ გაზაფხულს
მაინც იშენებს ბუდეს მერცხალი.

ისევ სამშობლოს

ამოვიზარდე, შემოგეკონე,
როგორც სარს ეკვრის ღერო ხვიარა...
არ ვიცი, შენ მე არ მოგეწონე,
თუ ცხოვრებაში არა ყრია-რა?

შენ სამუდამოდ დარჩი ოცნებად, —
რა არ ვაკეთე, რა არა ვცადე,
და მაინც, მაინც ჩემმა ლოცვებმა
ვერ მიაღწიეს მეშვიდე ცამდე.

ნეტავი რა გჭირს, რა ძილით გძინავს,
რომ თავშესაფრად იქეც უღირსთა...
მხოლოდ მას სწყალობ და იღებ შვილად,
ვისაც ჩირადაც კი არ უღირხარ.

კლდის პირას

ო, მე თუ არა, ეს კლდე შვეული
ხომ დაულაშქრავთ ჯიხვებს და არჩვებს?!
არც არავისგან გამორჩეული,
სიმაღლეს თვალებს ნელ-ნელა ვაჩვევ.

სიცოცხლე ღირსო ერთ გამარჯვებად, —
მე კი არ ვამბობ, ძველთაგან უთქვამთ.
ყველა ოცნება ბოლოს ცხადდება, —
ნეტავ, სანამდე მეყოფა სუნთქვა?

*** * ***

რომ გადაგექცა, ხომ გახსოვს, ჩვევად
გაქცევა ყველა დიდი ომიდან?!
... ჰაერს გამოჰყვა სიტყვების რხევა
და ტკივილებად ჩემთან მოვიდა.

ვერაფერს გახდი სიმშვიდის დროშით,—
არც ეს ნიშნავდა თურმე სიმყარეს...
ჰოდა, ჩაერთე ისევ ძნელ ომში,—
გულიდან დარდი გადაიყარე!

*** * ***

სად გაქრნენ შენი თავანკარა ნაკადულები,
მერცხლის ჭიკჭიკის, სიყვარულის, ლექსის საუფლო?
ეს ცხოვრებაა — დანაკარგი მოაქვს ულევი,
ეს ცხოვრებაა — ცხოვრებას კი უნდა გაუძლო.

სულს რად გიხუთავს ფოთოლცვენა და სიმარტოვე,
რატომ იხსენებ სინანულით: „რა დრო გავიდა!“
ეს სამშობლოა — სამშობლოს კი ვერ მიატოვებ,
ეს სამშობლოა — ვერ აირჩევ ახლა თავიდან.

*** * ***

წამოიწია ბალახმა,
მთიბავმა ცელი ალესა.
გამიხარდება დანახვა
შენი გამოღმა მხარესა.

მალე ყაყაჩო იალებს,
მინდვრის მადლი და მშვენება.
არ ჩანს შუაში მდინარე,
შენ თუ არ მოგეჩვენება.

*** * ***

ვერაფერი რომ ვეღარ ვიღონე,
რომ გამაბეზრა წყნარმა ამინდმა,
მე განშორება გამოვიგონე
და მერე... მერე კიდეც ამიხდა.



ლექსო დორეული

ლიტერატურისა და ფილოსოფიის ზღვარზე

სინათლე, რომელიც ყარს

ლიტერატურულ და, ზოგადად, სააზროვნო კონტექსტს შეუძლია არა მხოლოდ შექმნას, არამედ თავადვე იყოს შინაარსი. იგივეს იგივე წარმატებით გაკეთება შეუძლია რაკურსს, რომელიც ერთ გამოსახულებაში კრავს მაყურებლის (მკითხველის), მსახიობის (მწერლის) და ტექსტის მზერას. მათი გადაკვეთის, შეხვედრის წერტილი, სადაც, როგორც ტარიელ ჭანტურია უწოდებს ხოლმე: „დიდი უცვლელი ტრიადის“ წევრები ერთმანეთს ხვდებიან და, ამდენად, ერთმანეთს ხვდებიან, ქმნის უნიკალურ საშუალებას, შანსს იმისას, რომ ტექსტი განხორციელდეს, როგორც სინამდვილე და, პირიქითაც, სინამდვილე მოხდეს, როგორც ტექსტი.

სწორედ ამიტომ, ხელოვნებისთვის და, განსაკუთრებით, ლიტერატურისათვის, ესთეტიკურად და ეთიკურად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმას, რას ამბობს, ან რისი თქმა უნდა მას, არამედ იმასაც, თუ როგორ ამბობს.

ხელოვნების სივრცეში ფორმას შეუძლია არა მხოლოდ გააუქმოს, არამედ გაანულოს შინაარსი და ხმა დაუკარგოს, უსიტყვო მოძრაობად, ანიმაციად აქციოს ის. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ აზრმა არაბუნებრივ ფორმაში მოთავსებით არ შეიცვალოს ტრაექტორია და მოახერხოს საგნებთან შეურევლად სივრცეში განთავსება, საჭიროა, ის იყოს თავისი თავის იდენტური.

ეს საკითხი ჩემთვის ეგზისტენციალურ პრობლემად მაშინ სიმბოლიზდა, როცა თანამედროვე ქართულ ტელემედიაში სცადეს შეეტანათ ინტელექტუალური ხდომილებები, უფრო სწორად, შეექმნათ ინტელექტუალიზმის იმიტაცია. ეს კი, განსაკუთრებით დამთრგუნველი და ტრაგიკული მაშინ არის, როცა საქმე ეხება ლიტერატურას, რომელიც, როგორც კი მისგან შოუს გაკეთებას შევეცდებით, მაშინვე თვალსა და ხელს შუა „გაგვითავდება“. დაგვრჩება მხოლოდ მისი მოჩვენების მოჩვენება.

ცხოველი აზროვნების — ფილოსოფიის და ლიტერატურის მოთავსება, გატანა და გადამალვა ისეთ მეტაენობრივ „ფაქტებში“, როგორებიცაა: მიმიკები, ჟესტები, ვიდეოკამერის ობიექტივი, ანუ, საბოლოო ჯამში, არა მსმენელში, არამედ მის სიმულაციაში — არის მკვდრადშობილი ხდომილება.

ტრენინგები, „ენჯეოშნიკური“ განზომილებები, რომლებიც განძარცვულია ცნობიერების ნაკადის შესაძლებლობებისაგან და წარმოადგენს არსებითად გაქვავებულ გამოსახულებებს, ფილოსოფიური გაგებით, სხვა არაფერია, თუ არა უზნეობის ქმნილებები.

ვინც არსს თმობს კომფორტისთვის, ვინც მზად არის, ცხოველ აზროვნებას საფრთხე შეუქმნას პირადი კეთილდღეობის მოსაპოვებლად და საკუთარი „პოპულარობის“, ცნობადობის და გარკვეული საზოგადოებრივი სტატუსის მოპოვების სამსხვერპლოზე დაწვას აზროვნების შემოქმედებითი ღირებულება და ფილოსოფია და ლიტერატურა აქციოს პოპულისტურ და პროპაგანდისტულ ტრივიალობად — ის თავად აზროვნების პროფანაციას ეწევა.

სხვა საქმეა, რომ, საბედნიეროდ, ამას ის ადამიანები აკეთებენ, რომლებსაც თვითირონიის ნატამალიც არ გააჩნიათ, სავარაუდოდ, თავისუფალ ექსპერტებად მუშაობენ, მოსწავლეებს და სტუდენტებს 100 ევროს (და არავითარ შემთხვევაში - მაგალითად, 241 ლარს) ახდევინებენ ტრენინგებში, რომლებშიც კომიკურად სერიოზული სახით გვიმტკიცებენ: „იცით? მე, მე მივხვდი ამას! ეს მე აღმოვაჩინე, რომ ორჯერ ორი ოთხია!“

ამავე დროს, გაუთავებლად იმეორებენ, რომ ძაააალიან, ძაააალიან საინტერესო საკითხზე საუბრობენ, რომელზე პასუხებიც არ არსებობს, იმასაც შეგვახსენებენ, რომ პარადოქსულ, მათთვისაც ამოუხსნელ რამეებს ამბობენ და, რაც მთავარია, ცდილობენ, ხელოვნური ინტერაქცია დაამყარონ აუდიტორიასთან, გახადონ თავიანთი გამოსვლა ინტერაქტიული.

საბედნიეროდ იმიტომ, რომ, როგორც პლატონი წერდა „პოლიტიკაში“: „სუსტი ბუნების ადამიანი ვერ იქნება მიზეზი ვერც დიდი სიკეთის და ვერც დიდი ბოროტების“.

ყოველივე ეს გამორიცხავს საკუთარ თავთან საუბრის შესაძლებლობას და ადამიანს უკრძალავს, იქონიოს აზრები მიმართებების გარეშე.

პირადად ჩემთვის, ეგზისტენციალურად, ეს არის ყველაზე უფრო საშიში და საშინელი რამ, რაც აზროვნებასა და სიცოცხლეს და ორივეს ერთად შეიძლება, დაემართოს და აქციოს ის „მყრალ სინათლედ“, სინათლედ, რომელიც ყარს.

პენაკი და ჩაილური

ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ თარგმნისას ისეთ ენობრივ მოდელებს და ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც მხოლოდ დედნის ლინგვისტურ სივრცეში მნიშვნელობენ, შესაბამისი ექვივალენტები უნდა მოენახოს... მაგრამ არა ისე კომიკურად, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა:

დანიელ პენაკის ერთ-ერთ რომანს ვკითხულობ. ნეტავ, ავტორი კახეთიდან ხომ არ არის წარმოშობით? მისი რომანის ქართულ თარგმანში ასეთ რამეს წავაწყდი: „48-ე გვერდის რიფმა მის სიმტკიცეს ჩაილურის წყალი დაალევინა“.

ჩაგვრა და თავისუფლება

„თუ თავისუფლებას ადამიანი არ ახორციელებს და მას თავად თავისუფლებავე განიცდის, მაშინ ღმერთი არ არსებობს“ — წერდა ერთი გერმანელი ფილოსოფოსი.

ნინო გოგუას ერთმა ბლოგმა-რეპორტაჟმა მაფიქრებინა, რომ თავისუფლების განხორციელება შეუძლებელია იქ, სადაც ერთი მონა მაინც არსებობს; ჩვენს საზოგადოებაში კი ადამიანთა უმრავლესობა არათუ თანახმაა, არამედ მუღამს უჭერს დამცირების, ჩაგვრის, ექსპლუატაციის, „სუსტი სქესის“, ანდა უარესი - „დაბალი რასის“ კომფორტს. და ეს იქამდე გაგრძელდება, სანამ ჩვენ არ გამოვძერწავთ ცნობიერებაში ჭეშმარიტი სიყვარულის შესაძლებლობას, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობაში, კონფლიქტში იბადება და არა — მონობაში. ისევე, როგორც ეს სარამაგუს რომანში — „მოგონებანი მონასტერზე“ — ხდება, რომლის მთავარი ესთეტიკური ნიშანიც სიყვარულისა და ცინიზმის უკიდურესი ფორმების სრულყოფილად ჰარმონიული შერევაა.

* * *

კარგი წერილი შეიძლება, დაწერო ცუდ ნაწარმოებზე.

კარგი წერილი შეიძლება, დაწერო კარგ ნაწარმოებზე.

კარგი წერილი შეიძლება, დაწერო ცუდ ნაწარმოებზე და ამ წერილში „შეაქო“ ეს ნაწარმოები.

კარგი წერილი შეგიძლია, დაწერო კარგ ნაწარმოებზე და ამ წერილში „გალანძღო“ ეს ნაწარმოები.

ამიტომაც, პერფორმაციულ ტექსტებს არ აქვს შეფასებითი და მტკიცებითი ხასიათი, ისინი არანაირ კავშირშია იმ ავტორებსა და ნაწარმოებებთან, რომლებზეც თითქოს დაწერილნი არიან. მათ აქვთ ავტონომიური, მხატვრული მნიშვნელობის სივრცე.

ერთ ცნობილ, ჩემთვის საყვარელ პოეტს უკითხავს მის შემოქმედებაზე დაწერილ ჩემს ამგვარი სტილისტიკის სტატიაზე: „ვერ გავიგე: მლანძღავს, თუ მაქებსო?“

„რკინის კარს აქეთ და იქით“

წავიკითხე გივი ალხაზიშვილის რომანი — „რკინის კარს აქეთ და იქით“ — და უნდა ვთქვა, რომ დიდი ხანია, ასეთი საინტერესო ტექსტი არ შემხვედრია.

ეს ნაწარმოები იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ პოსტმოდერნიზმი მხოლოდ კლასიკურ დისკურსზე (მოდერნულობის თვალსაზრისით) რეაქცია არ არის და მისი ციტირების სისტემა შესაძლებელია, მუშაობდეს ტრადიციული ესთეტიკის პარადიგმაშიც (რა თქმა უნდა, ამას ყველა ვერ მოახერხებს).

სწორედ ამიტომ, პოსტმოდერნიზმი ის ხდომილებაა, რომელიც, ერთი მხრივ, ყველა ეპოქაში გვხვდება, ხოლო მეორე მხრივ, როგორც ლუმანი წერს: „ის არ არსებობს, პოსტმოდერნიზმი ნიუსია, რომელიც მოდერნიზმისგან გააკეთეს“.

„რკინის კარს აქეთ და იქით“ იმიტომაც არის მეტად საინტერესო, რომ ის კონცეპტუალური განხორციელებაა საბჭოთა კავშირის, როგორც „დიდი ნარაციის“ სისტემურ-არქეტიპული ანალიზის; სწორედ ამიტომ, რომანის მთავარ სტილისტურ ნიშანს რეიფიკაცია (გასაგნების ესთეტიკა) წარმოადგენს. და, რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია: ჩემი აზრით, ეს არის ერთ-ერთი თვალსაჩინო ინტელექტუალური რომანი ქართულ პროზაში, ამ მიმართულებით კი ძალიან ცოტამ თუ გაბედა და მოახერხა აქტუალურ ფილოსოფიურ-კულტუროლოგიურ თემებზე ენობრივი პერფორმანსების დადგმა.

თუმცა გივი ალხაზიშვილი უფრო შორსაც მიდის და ხსენებულ კონცეპტებს (დეკონსტრუქცია, დროის გრძლივობითი გაგება, მატერიისა და მეხსიერების მიმართება) ნარატიულ პარალელიზმებს უძებნის, რაც პოსტსტრუქტურალიზმშიც კი აჩენს შესაძლებლობას, მუზილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რძის მოყოლის“.

არამც და არამც — „არამც და არამც“!

„არამც და არამც არ უნდა ვიფიქროთ“ — ასე იწყებს ერთი ძალიან კარგი ქათველი ინტელექტუალი თავის წერილს, რომელშიც, მართალია, ზედაპირულად, მაგრამ ერთი რიგითი ბლოგის დონეზე, მეტად საინტერესოდ და შეიძლება მართებულადაცაა შეფასებული და განხილული თანამედროვე ქართული რელიგიური დისკურსის არსი. სინამდვილეში კი, როგორც ლიბერალიზმის ექსტრემისტულ მითში ჩავარდნილ ადამიანებს სჩვევიათ, ის სწორედ ამ სიტყვებით, რომლებიც ზემოთ ვაციტირე, ქვეცნობიერად ეწინააღმდეგება ზოგადად ლიბერალიზმის იდეას; ნამდვილი ლიბერალიზმის — რუსოსა და კანტის გაგებით. პრინციპი რომ, ენა წინ უსწრებს ადამიანს და უნებლიედ გაგვიმხელს ხოლმე მის ნაღდ შეხედულებებს, ახლაც ამუშავდა: ადგა ეს ინტელექტუალი, რომელიც, წესით, უნდა ეთანხმებოდეს კანტის მიერ გამოთქმულ შეხედულებას, რომ საყოველთაო მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, არანაირ აზრს და გამოავლინა საკუთარი თავი: „არამც და არამც არ უნდა ვიფიქროთო“! რატომ ასეთი ტონით? ან ვინ დაავალა მას იმის ცოდნა, რა უნდა ვიფიქროთ და რა არა „არამც და არამც“? ნუთუ, ის ფლობს საავტორო უფლებებს ჭეშმარიტებაზე? სინამდვილეში, ეს ადამიანი, რომელსაც არ მოსწონს ავტორიტეტების, კულტის ინსტიტუტი, ცდილობს, ახალი ავტორიტეტით (ამ შემთხვევაში, საკუთარი თავით) ჩაანაცვლოს ისინი. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელიმე რელიგიური თუ პოლიტიკური ლიდერი შთამაგონებს, თუ პატივცემული ფილოსოფოსი ამ სიტყვებით: „არამც და არამც არ უნდა ვიფიქროთ“?

გაფუჭებული, მოშლილი, წყობიდან გამოსული ლიბერალიზმი ხომ იმაზე უფრო არალიბერალური ხდება, ვიდრე ფუნდამენტალიზმი ანდა საბჭოთა იდეოლოგია.

სუბსტანციაგამოცლილი თავისუფლება საკრალურს „სხვის“ სხეულში ატარებს და მას მხოლოდ ძალაუფლების მონოპოლიზაცია და არა — წარმოშობა შეუძლია. ამავე დროს, ის თავის თავში არ უშვებს არათუ „სხვის“, „არამეს“ არსებობასაც კი და პოლიტიკური ბერკეტების ხელში ჩაგდებისთანავე იწყებს ნადირობას მათზე.

დრო და პოეზია

მრავალი თეორეტიკოსი ხშირად მიუთითებს, რომ პოეზიასთან ერთად, რომელმაც კარგა ხანია, დალია სული და მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ რელიკვიად იქცა, მალე რომანის ჟანრიც დაასრულებს სიცოცხლეს. ცალკეული გამონაკლისები, „დროში ჩარჩენილი ტიპები“, რომლებიც ინერციით კვლავ ქმნიან ლირიკას, ბედნიერ გამონაკლისებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ იმ აზრს ადასტურებენ, რომ თვითშთაგონებას მართლაც დიდი ძალა აქვს.

ერთ-ერთ ამერიკელ მეცნიერს დაუთვლია კიდეც: ნებისმიერ ქვეყანაში (არ აქვს მნიშვნელობა ქვეყნის სიდიდეს, მასშტაბს, მოსახლეობის რაოდენობას და სხვა ფაქტორებს) პოეზიას 1346 მკითხველი ჰყავსო, ესე იგი, ამ ჟანრს ამერიკაში, საფრანგეთში, რუსეთში, საქართველოში, ანდორასა და სან მარინოში ერთნაირად — ათასსამასორმოცდაექვს-ათასსამასორმოცდაექვსი ადამიანი კითხულობს.

მართლაც, თანამედროვე ეპოქაში, რომელმაც კი არ წაშალა, სულაც გააუქმა ზღვარი არაპოეტურსა და პოეტურს შორის და ცხოვრება სოციალურ აპლიკაციებში განათავსა, რამ უნდა აიძულოს ადამიანი, რამ უნდა უბიძგოს ლირიკის წაკითხვისკენ?

„შუა ღამე იყო მაშინ, პირველად რომ გამითენდი“

11 ივლისი ტარიელ ჭანტურიას დაბადების დღეა — ჩემი საყვარელი პოეტისა და უფროსი მეგობრის, რაც ჩემთვის და ჩემი არარსებული შთამომავლობისთვის მეტად საამაყოა. ის 83 წლის გახდა, ორ რვიანამდე კიდევ დიდი დროა.

პლატონი ამბობდა და, ზოგადად, ძველი ბერძნული კონცეფცია ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია, რომ „მოხუცებულობაში ადამიანის სხეული ყველაზე მეტად ემსგავსება მის სულს“. წაიკითხეთ „ლიტერატურულ გაზეთში“ ტარიელ ჭანტურიას გამოქვეყნებული ბოლო პერიოდის შესანიშნავი ლექსები, თუნდაც ამ ჩანაწერის სათაურად გატანილი მისივე ფრაზა, ან სულაც, ყველაზე უკეთესი, გაისეირნეთ კვირა საღამოს ბუკიას ბაღში და ადვილად დარწმუნდებით, რომ ასაკის პრობლემა სულაც არ არის ის, რომ სურვილები იგივე რჩება.

ეს საოცარი ადამიანი, რომელთან პირადი თუ სატელეფონო საუბრის თითოეული წამი შესანახი (carpe diem), უნიკალური და მოსაფრთხილებელია, თავისი შემოქმედებითა და პიროვნებით 83 წლის ასაკშიც ყველაზე ცხადად ადასტურებს, რომ „სიცოცხლე ადამიანის საუკეთესო თვისებაა“.

ხშირად საუბრობენ იმ თემაზე, თუ ვინ იყო ის პოეტი, ვინც გალაკტიონის მიერ შექმნილ პოეტურ მსოფლმხედველობას ოდნავ მაინც გასცდა. ასახელებენ რამდენიმე სახელს, რომლებმაც გარკვეული სიახლე მართლაც შეიტანეს პოეტური ენის გარდაქმნის პროცესში.

მე მგონია, რომ თუ ვინმემ შეძლო, შეექმნა არა მხოლოდ ახალი ესთეტიკა, არამედ ენა, დისკურსი და „პოეტურის“ ცნების სრულიად ნოვატორული, არატრადიციული გაგება, მენტალობა შემოგვთავაზა, ეს არის ტარიელ ჭანტურია. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა სწორედ პოეტურის ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი ლეგიტიმაციის სივრცე და თავისი შემოქმედებით თქვა და განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რომ ლიტერატურას ეთიკური და ესთეტიკური საზღვრები არ აქვს და განსხვავება ლიტერატურასა და არალიტერატურას შორის მხოლოდ ფორმაზე გადის; რაც, თავის მხრივ, მის პოეზიაში უმაღლეს, სრულყოფილ რეგისტრშია აყვანილი.

ცოტა ხნის წინ იტალიურ ენაზე თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია გამოვიდა. არ ვიცი, შეიძლება კი ეწოდოს იმ წიგნს „თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია“, რომელშიც ტარიელ ჭანტურიას ლექსები არ მოხვდა?

პირადად ჩემი აზრით, თუ მეტაფორულად ვიტყვი, თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგია „საიტ.უმლო ბარათი 3" უფროა, ვიდრე ხსენებული კრებული, რომლის შემდგენელს ეს საკითხი, როგორც ჩანს, სულაც არ აწუხებს.

ან იქნებ სავალალო ბეჭდვით შეცდომასთან გვაქვს საქმე და ეს „იაღლიში“ ტექნიკური მიზეზებით არის განპირობებული?

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოვლენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ოსკარ უაილდის სიტყვების ჭეშმარიტებაში, რომ „ავტორს (ამ შემთხვევაში ანთოლოგიის ავტორს, უფრო სწორად: „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ იტალიური ვერსიის ავტორს) შეუძლია, გადაარჩინოს და გამოასწოროს ყველაფერი, მაგრამ რაც შეეხება ბეჭდვით შეცდომას...

ოთარ ჯირკვალიშვილი — ჩემი საყვარელი რომანისტი

ყოველთვის მეგონა, რომ დღეს დროს ვერ გაუსწრებ, მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლება, არის ის, რომ დაეწიო მას.

მაგრამ თუ ლიტერატურულ დროს განვიხილავთ როგორც სივრცულ მოცემულობას და განსხვავებას დავინახავთ საფრანგეთში, ვენესუელაში, ტრინიდადი და ტობაგოში, ავღანეთში, საქართველოში, ნორვეგიაში.... მიმავალ დროებს შორის, შეიძლება, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რაც მე ყოველთვის მეგონა და ოთარ ჯირკვალიშვილის მოთხრობების გამოცემული კრებულის (სახელწოდებით „კანფეტი“, გამომცემლობა „სიესტა“, რედაქტორები: პაატა შამუგია და ნინო კლდიაშვილი, 2014 წელი.) რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ აღარ მგონია.

თამამად ვიტყვი: ჩემი აზრით, ეს წიგნი ქმნის უნიკალურ, არარსებულ ინტელექტუალურ ხდომილებას ქართულ პროზაულ სივრცეში და მნიშვნელოვნად აფართოვებს მის საზღვრებს.

პაატა შამუგია წიგნის წინასიტყვაობაში საინტერესო და არსებით აზრს გამოთქვამს: „თუკი სექსუალურის სერიული წარმოება ავტომატურად აღწევს სექსუალურის განდევნას და ეს არც ისე ახალი იდეა ისტორიულად, ფილოსოფიურად და ფილოლოგიურად მართალია, ეს გვაძლევს შანსს, სრულიად აღვირახსნილად განვაზოგადოდ ის. განდევნის თუ არა ინტელექტუალურის სერიული წარმოება, მისი გამუდმებული და ზოგჯერ, აკვიატებული კ ვ ლ ა ვ დ ა კ ვ ლ ა ვ დ ა კ ვ ლ ა ვ წ ა რ მ ო ე ბ ა (თავის)თავად ინტელექტუალურს ამ პროზიდან?“

ამ არსებით კითხვას პაატა შამუგია დადებითად პასუხობს, რაც, „(თავის)თავად“ ჭეშმარიტებას მოკლებული სულაც არ არის.

აი, მე კი მგონია, რომ დასმულ კითხვას შეიძლება, უარყოფითი პასუხიც თავისუფლად გაეცეს და სწორედ ამას ვაპირებ ახლა.

პაატამ „განზოგადების“, უფრო სწორად, ანალოგიის ლოგიკის სავსებით ლეგიტიმური გამოყენება შემოგვთავაზა. ამასვე გავაკეთებ მეც. მანამდე კი გავიხსენებ ბოდრიარის ნაციტირებ აფორიზმს (გამოთქმულს მის „სიმულაკრებსა და სიმულაციებში“), რომელსაც თავად ფრანგი ფილოსოფოსი „შეცდომას“ უწოდებს: „სამხედრო ფსიქოლოგია უკან იხევს კარტეზიანული სიცხადიდან და ველარ ბედავს, გამიჯნოს ჭეშმარიტი და მცდარი, ნაწარმოები სიმპტომი ნამდვილისაგან. თუ ის ასრულებს გიჟის როლს ასე კარგად, ის გიჟია“.

მე მგონია, რომ თუ ტექსტი იდეალურად ასრულებს ინტელექტუალური ტექსტის პაროდიას, ის ინტელექტუალური ტექსტია.



რეალობის ამგვარი რეფერენცია წარმოადგენს არა სუბსტანციის გამოსახულებას, არამედ ასლს — რეალობის გარეშე, რუკას ტერიტორიის გარეშე და ჩრდილს საგნის გარეშე. ეს კი არსისა და არარსის ბინარს ანაცვლებს არსისა და ხდომილების დიქოტომიით.

ეს საკითხი მიემართება იმ პრობლემასაც, თუ, როგორც ჯონათან ქალერი წერს: „პოსტმოდერნული ეპოქის მკვიდრმა როგორ უნდა გაიაზროს მოვლენა? მაგალითად, აშშ-ში საყოველთაოდ სჯერათ, რომ მოვლენა ის არის, რასაც უკანასკნელ ცნობებში ისმენენ. შეესაბამება თუ არა ასეთი შეხედულება სინამდვილეს, მოვლენას, ცნობას, რომელსაც მედია ავრცელებს — ეს არის ნამდვილი მოვლენა და იგი ყურად უნდა იღო. პერფორმაციულობის მოდელი უფრო რთულ ახსნას გვთავაზობს, რომელსაც ზოგჯერ ბრალს სდებენ, რომ ის ფაქტსა და გამონაგონს შორის ზღვარს შლის“.

ამ, ანუ სინამდვილის ემპირიული წარმოების თვალსაზრისით, მართლაც იშლება ზღვარი მომავალსა და წარსულს შორის და ისინი განიხილება მხოლოდ მეტა-ფიზიკურ ხდომილებად.

აი, მაგალითად, მთელი წარმატებით შემიძლია, ვთქვა — და ჩემს აზრში სავსებით დარწმუნებულმა მშვიდად დავიძინო — რომ ჩემი საყვარელი რომანისტი ოთარ ჯირკვალიშვილია, რომელსაც ჯერ რომანი არ დაუწერია.

გამოქვეყნებული ფილოსოფობია

ჰერმესი, რომელიც გამო იმისა, რომ მთვარეული არ არის, სამაგიეროდ კი – დაბოლილია, როგორც კი მხარზე ბორხესისჰოლოგრამიანი ,,გომით“ სავსე თერმოსს გადაიკიდებს, წარამარა ხან ცეცხლში ვარდება და ხანაც წყალში. ის მკვირცხლ წამოდგება, ხელებს თოვლის თუ ზევსის ბაბუის წვერივით ქაფიანი safeguard-ის თხევადი საპნით გადაიბანს და ვინმე პონტოელ საჭურისს თვალით ანიშნებს, პირსახოცი მოაშველოს.

ჰერმესის გალურჯებულ შეყვარებულს აჩო ჰქვია. ის ცოცხზე ზის და არ დაფრინავს. სამაგიეროდ, დაფრინავს ჰერ. მესი, რომელიც აჩოს ისე მერკურულად უყვარს, რომ დედამიწაზე ტყვიაგამძლე პრეზერვატივების მოსაპარად და უხეირო ქართველ მთარგმნელთა ჯგუფისთვის საჯარო სემინარების წასაკითხად მიმავალ ჰერმესს ახლაც ბარსელონას ათნომრიან მაისურს აბარებს.

ჰერმესი აუდიტორია №16-თან შეჩერდა, პირჯვარი გადაიწერა და როგორც კი ლექციაზე შესვლა გადაწყვიტა, ყურში მოყვარული ექიმის სანდომიანი ხმა ჩაესმა: „თქვენი ტელეფონი გაფუჭებული თუა, რომ არ პასუხობთ! ამიტომაც, წარმოიდგინეთ კედელი! ახლა წარმოიდგინეთ ის, ვინც კედელი წარმოიდგინა“!

ერთი წამიც და, დერეფანში მორბიან მზის ღმერთის მეგობრები: ფიხტე, მოიზიჩი და დერიდა. უცებ, სად იყო და სად არა, აუდიტორიიდან რას შვილი და თარგმანის თეორიის მიმართულების დამატებითი სემესტრის სტუდენტი გამოვიდა, კედელს მიუახლოვდა, მსრბოლელები დაასტუკა და პომიდვრის ნარგავებში გაუჩინარდა. ქანცგაწყვეტილი ფილოსოფოსები ცხვირებს ჩამოუშვებენ... ფიხტეს მუჭში ვალერიანის აბები უყრია და რიგრიგობით უწვდის კოლეგებს: „ნუ შიშობთ, უმუშევრები არ დავრჩებით“...

ამ დროს აუდიტორიიდან ჯოხიანი კანფეტებით შეიარაღებული ორმოცი მთარგმნელის ყვირილის ხმა გამოდის: „გვიშველე, ბარაბა“, ჩვენ სხვა ლექტორი გვინდოდა; ჩვენ თავისუფალი მთარგმნელები ვართ! დაგვიბრუნეთ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პროფესორი ლევინასი! „მშვიდობა უნდა დაინგრეს! მშვიდობა უნდა დაინგრეს“! წინააღმდეგ შემთხვევაში, გადმოვაქართულებთ რუსული პოეზიის ანთოლოგიას!“

უცაბედად ხელს იწევს ჩესლავ მილოში, კედელთან ატუზულ გრიგოლ ხანძთელს გახედავს და აღარ იტყვის: „კაცი თუ გაგაუბედურებს... არ ენდოთ, პოეტებო, კაცებს! ხომ გეუბნებოდით: არ წარმოიდგინოთ კედლები, არ ააშენოთ ხიდები, ნანგრევებისაკენ აქვთ მიდრეკილება-მეთქი“!

ოთახში, რომელშიც მტკვრის სუნი დგას, ედიტ პიაფის საგალობლები გაისმის: „ჯვარსა შენსა, თაყვანი ვცეთ“!

ამ დროს, შემოდის ზარატუსტრა და ქართველ კაფკას გაიხმობს გარეთ. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— მშვიდობის ხიდი ხომ იცი? — კითხულობს შუმერი.

— ეგ რომელია? — პასუხობს ადვოკატი.

— გაიხსენე, ან გაიხსენი, ფაშისტო! აი, ის, შენ და ის შენი პლატონური სიყვარული ბაუერი რომ სეირნობდით ხოლმე. პლატონის პროექტზე რომ ააშენეს.

— მომკალი და არ მახსოვს!

— რა დაგემართა, აი, ის რა, — და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს.

— ააა, ხო, ხო, მერე? — გონება უნათდება კაფკას.

— ეგრე, რა! ხოდა, ეგ ხიდი დავანგრიე მე. მე და მიშელი შევთანხმდით, მინის ტარაში უნდა ჩაგვებარებინა და მოტყდა! ოსვალდმა მითხრა, სამოთხეში ააქვს, ძირს უნდა დაყაროსო.

— ვინ მიშელი, ფუკო? ვახ...

— ხო, ხო... ფულში არაა საქმე, პრინციპის ამბავია... სახალხო კრება ხვალ არის და შენი იმედი მაქვს, ვექილო.

— ფუკოს ვინ იცავს?

— იცი, ვინც არის. ახლოს გიცნობს.

ამ დროს ფანჯრიდან შემოიჭრება ნაყინის გამყიდველის ხმა: „გქონიათ თუ არა სექსი საკუთარ დედასთან სიზმარში?“

ზარატუსტრას და კაფკას ანაზდეულად ახსენდებათ გაიძვერა ფ. დ. სოსიური და კუდამოძუებულები ეცლებიან საკონფერენციო დარბაზს.

ნაყინის გამყიდველი სოკრატე აღმოჩნდება, რომელიც „საქართველოს ხავსის შემგროვებელთა“ კავშირმა წმინდანად შერაცხა. ის დაიყვირებს: „ხომ გეუბნებოდით, მეტაფიზიკა ირონიით შეიცვლება-მეთქი, ახლა ვინაა სოფისტი, მე თუ თქვენ?!“

სინამდვილე და ენა

ხორხე ლუის ბორხესი ერთ-ერთ მოთხრობაში წერს, რომ თანამედროვე სამყარო არის სინამდვილე, რომელში მყოფი ადამიანიც თავისი თავის ბერნარდ შოუ, იესო ქრისტე და არქიმედეა. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი თავის თავში ინახავს ჭეშმარიტების საზომს, არამედ იმას, რომ თავად ჭეშმარიტება გახდა რელატიური ფენომენი. ამ თვალსაზრისით, ძალიან გამარტივებულია თანამედროვე სამყაროს ხედვის ონტოლოგიური სტრუქტურა. სიტყვა „სედიმენტაციის“ მნიშვნელობა ხომ, გარკვეული გაგებით, ნიშნავს ენის გამარტივებას სოციალური კომფორტის სასარგებლოდ; როდესაც მე მივდივარ კომპრომისზე და ვამარტივებ ჩემს ენას, რომ მოვიპოვო სოციალური კომფორტი და ჩემსა და მკითხველს შორის შედგეს კომუნიკაცია. ამისთვის არ ვიყენებ „რთულ“ სიტყვებს, თუ სინტაქსურ კონსტრუქციებს. მაგრამ ენის ამგვარი გამარტივება, ანუ მისი დაუშლელ იდეებად არსებული ბუნების დამახინჯება, არსის თვალსაზრისით, არის უარყოფითი მოვლენა. ჩვენ ვიცით, რომ გარკვეული ლინგვისტური მოცემულობის გამარტივებით ვიღებთ მის ცვლილებას და სულ სხვა საზრისს. გამოდის, რომ ჩვენ ამ ლინგვისტური ერთეულის შეცვლით ენაზე ვძალადობთ და ვამახინჯებთ ჩვენს აზრებს და ღირს კი ასეთი კომპრომისი აზროვნების წინაშე?! მხატვრული ლიტერატურა ენის უნარების აქტივიზაციისაკენ უნდა ისწრაფვოდეს და არა — მისი გამარტივებისკენ. ეს უნდა მოხდეს, ენის წიაღში რეფლექსიის გზით, თარგმანის პრაქტიკის გზით და ასე შემდეგ.

თანამედროვე სინამდვილეში ენის სედიმენტაცია არნახულ ხარისხშია წარმოდგენილი. ამას კი მიმართავენ იმიტომ, რომ ენის გონში არ არიან შესულები და არა იმიტომ, რომ მხოლოდ მკითხველთან გაიმარტივონ მისასვლელი გზა.

ენის შრეებში გარკვეული კონსტრუქციები და მატრიცები, დროთა განმავლობაში, სოციალური უსანქციობის გამო, გაქრობას, ან დეგრადაციას განიცდიან. ბოლოს ვიღებთ ენას, რომელიც ხდება მთლიანად სოციალური ინსტიტუცია. მეორე მხრივ, უამრავი მწერალი საუბრობს მკვდარ ენაზე, რომელსაც არანაირი სოციალური სანქცია არ გააჩნია, რაც გვაძლევს სრულ აცდენას ენასა და საგნებს შორის.



ნათია როსტიაშვილი

აქა ამბავი ჩვენი ცოცხალწიგნობისა

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის — „ცოცხლები წიგნები“ — ფარგლებში გამართული შემოქმედებითი ტურნე სამეგრელოსა და ზემო სვანეთში.

დასაწყისი. მოთელვა.

კულტურის სამინისტროს ლიტერატურული პროექტის — „ცოცხალი წიგნები“— მონაწილე ვარ. დილის შვიდ საათზე გვაქვს დათქმული შეხვედრა. სამეგრელოსა და ზემო სვანეთში მივემგზავრებით. ვაღიარებ, პუნქტუალური ქალის სახელით მაინცდამაინც ვერ დავიტრაბახებ, ჰოდა, დაგვიანების შიშით, მთელი ღამე არ მიძინია. დედაჩემმა, გამთენიისას თვალი რომ გაახილა, რითი მიდიხარო, მკითხა. ტაქსით-მეთქი. იქნება ამ უთენიაო? უნდა გამოვიძახოთ-მეთქი. ათ წუთში მეძახის: „მოვიდა ტაქსი!“

მე: „მოიცა... რა, შენ უკვე დარეკე?“ (გაოცებული).

დედა: „მაშინვე!“ (სიამაყეშერეული მზრუნველობით).

07:00-ის ნაცვლად 06:05-ზე უკვე ბოლთას ვცემდი (სასწაული სიტყვათა შეთანხმებაა) კულტურის სამინისტროსთან. ზურგზე ბარგით, ხელში თერმოსით, თერმოსში ტკბილი ჩაითა და სახეზე მჟავე გამომეტყველებით. არც კი მჯერა, რომ მთელი საათით ადრე მოვედი! „ცოცხალი წიგნი“ კი არა, ცოცხალი უკიდურესობა ვარ მე...

მივლასლასდი იუსტიციის სახლის ხიდთან რომ ძელსკამებია — იქ. ფრთხილად ჩამოვჯექი, უხმაუროდ — გვერდითა სკამზე კაცს ეძინა. ვზივარ, სიმშვიდეა. კაცი ფშვინავს, მტრედები ნამცეცებს კენკავენ, საუზმობენ. ერთი ბელურაც გამორევიათ. კენკვა-კენკვით ისე მომიახლოვდა, ლამისაა, პაწაწუნა ფეხი ჩემს 39 ზომა კედებს დააბიჯოს. არაა, ალბათ, გამთენიისას სკამზე მჯდომი კედებიანი ადამიანი საშიში... ჩიტებმა უკეთ იციან.

ცოტა ხანში ჩემს „მეზობელსაც“ გაეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა... ალბათ, მოიფშვნიტა, ვერ ვხედავ. მარჯვნივ ვიყურები. კაცი მარცხნივაა.

ჩახრინწული ხმა ჩემს მხარმარცხნიდან: „რომელი საათია, გოგო?..“

არ ვიმჩნევ, ბლოკნოტს ვიღებ და ვწერ: „დასაწყისი. მოთელვა. კულტურის სამინისტროს ლიტერატურული პროექტის „ცოცხალი...“ თან ჭიქა-თერმოსიდან ჩაის ვსვამ. კაცი დგება, ფლოსტებს იცვამს და ჩემკენ მოდის, თან მიბრძანებს: „გავიცნოთ, კარგი გოგო!“

ვაი შენს ნათიასა!

ბელურებისა არ ვიცი და გოგოებისთვის გამთენიისას თავს წამომდგარი უცხო ფლოსტებიანი კაცი დიახაც რომ საშიშია. ადამიანური შიშებისა ბელურასავით მობუზულმა გოგოებმა უკეთ ვიცით, ვიდრე ნამდვილმა ბელურებმა.

— იცით, ცოტა ხანში აქ ჩემი მეგობარი მწერლები მოვლენ. თავი დამანებეთ! — ვამბობ.

მწერლებით ვაშინებ, რაღა!

ყბა ელრიცება. დაცინვასა და ჩაცინებას შორის ჟესტია. რაის „მწერლები მოვლენ“ თუ ძმა ხარ — ბარგმოკიდებული ქალი გარიჟრაჟზე ხიდის ქვეშ ზიხარ და ჩაის სვამ...

დაძაბულობის მოხსნის საკუთარი მეთოდი მაქვს — ჩემს თავს ვეხუმრები და ვამხიარულებ. ახლაც ვფიქრობ: „ია ჩერტოვსკი ხარაშა, ონ — ჩერტოვსკი ინტერესენ!“ ტუჩს ვიკვნეტ, რომ არ გამელიმოს, თორემ თუ დილაბნელზე გასაცნობად მოსულმა კაცმა დაინახა, რომ უღიმი, ვერანაირი „მწერლები მოვლენ“ ამ საქმეს ვეღარ უშველის...

მომიახლოვდა. მტრედები დაფრთხნენ. ამას მტრედი-მედი არ აინტერესებს, თავის „გავიცნოთს“ მიმეორებს. უპასუხობით მოთმინებადაკარგულმა რომ შემომიღრინა: „გოგ-გო!“ — ე, მაშინ შევნიშნე სამინისტროსთან გიორგი ბუნდოვანი. დავტაცე ხელი ბარგს და, როგორც იტყვიან, „უკანმოუხედავად მოვკურცხლე.“ მალე მარიამ წიკლაური და რუსუდან კაიშაურიც მოვიდნენ, მანანა დუმბაძე და დათო ყანჩაშვილიც შემოგვემატნენ. მარიამმა გვითხრა, გიორგი კაკაბაძე და ბათუ დანელია გზაში შემოგვიერთდებიანო. სამინისტროს საჩუქრებს — წიგნებსა და ჟურნალებს მანქანაში ვალაგებთ, ჩვენც ვსხდებით. ჩვენი წილი ცოცხალწიგნობა იწყება!

P.S. ფანჯრიდან ამაყად გავიხედე ძელსკამებისკენ (მაგას მე უპატრონო ხომ არ ვეგონე)?!

23.06.15 წალენჯიხა

პირველი შეხვედრა წალენჯიხაში გვაქვს. აბაშაში ბათუ დანელია გვხვდება (გიორგი კაკაბაძე თბილისშივე შემოგვიერთდა) ახლობლების მანქანით და კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმისკენ მიგვიძღვის. მუზეუმიდან გამოსულებს უკანა ეზოში, მდინარე ზანასთან ახლოს გაშლილი სუფრა გველოდება. აქეთ — ხეების ჩრდილი, იქით — წყალი, წყალზე — ხიდი... როგორ გინდა, ამ ყველაფერს ზურგი აქციო და დაჯდე, ისადილო? ზოგი ნაპირთან დგას ფეხშიშველი, ზოგი ხიდზე ადის და ფოტოს იღებს... მე ხიდის ქვეშ ვზივარ (დამებედა, ოხერი!) ფეხმორთხმით. გიორგი კაკაბაძე ჭიქას კამკამა წყლით ავსებს და მაწვდის.

— უკვდავებისაა, ბატონო გიორგი? — ვეკითხები.

— რა თქმა უნდა, ნათია! — მპასუხობს.

— ცოცხალი წიგნებიდან უკვდავ წიგნებამდე ერთი ყლუპიაო, — სანამ მოვსვამ, ღიმილით ვამბობ და გამოთქმას, რა თქმა უნდა, ძველ შუმერებს „ვაბრალებ.“ დიდი იმედი მაქვს, ჩემს ამ ცილისწამების ცოდვას ჩემივე თვითირონიის მადლი გააბათილებს.

წალენჯიხის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს სანამ მივაგნებდით, ჩვენმა დაუზარელმა მძღოლმა და მეგობარმა გაიოზმა მთელ წალენჯიხას იმდენჯერ დაარტყა წრე, თავბრუსხვევაზე ტესტისთვისაც კი რომ გადამეტებულია. თან კითხულობდა, ახლო წარსულში არავინ ხართ აქ ნამყოფი? მე მორიდებული ხრინწით ჩავილაპარაკე, ორი თვის წინ ვიყავი აქ, ლიტერატურულ მარათონში ვმონაწილეობდი, სამი დღე მაგ დარბაზში დავდიოდი, მაგრამ ეს ოხერი, გზებს და მისამართებს ვერ ვიმახსოვრებ-მეთქი...

კარგი ადამიანია გაიოზი, არაფერი მიპასუხა. მხოლოდ თავი გააქნია, უფრო გაოცებით, ვიდრე — საყვედურით.

ეზოში მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მასპინძელი, მარინა შანავა შემოგვეგება. ნათი, შენი იმედი მქონდა, რომ გზას მოასწავლებდიო, გადამეხვია... უხერხულად გავიღიმე და გაიოზს დამნაშავის თვალებით გავხედე.

დარბაზში შევედით თუ არა, ჩემთვის უცნობი რამდენიმე ქალბატონი მოვიდა, ჩამეხუტა. მარათონიდან დამიმახსოვრეს და შინაურად მიმიღეს... ხომ თითქოს არაფერი, მაგრამ ასეთი პაწაწუნა ამბებიც გულს მიჩუყებს ბოლო დროს.

თავიდან „28-ე, ანუ მე ჯონის ვღალატობ“ მინდოდა, წამეკითხა, მაგრამ ეზოში მოსაუბრე ქალბატონებისგან გაგონილმა ფრაზამ („მარგალიტა ქვია თუ მარგარიტა. ზუსტად არ მახსოვსო...“) გადამაფიქრებინა. ჩემი მარგარეტი გავაცანი წალენჯიხელებს „ფულს აგროვებს ერთი კაციდან“.

ყველა თბილად მიგვიღეს, მაგრამ გამორჩეულად — გიორგი ბუნდოვანი, რომელმაც, სანამ ლექსებს წაიკითხავდა, ის ამბავი მოყვა, წალენჯიხელების სიამაყის, ტერენტი გრანელის საფლავზე მიწოლილმა რომ გაათია ღამე. მერე საფლავის ქვის ნახევარი რომ წაიღო და სახლში ინახავდა.

შეკრების ბოლოს წალენჯიხელ გოგონას, რომელიც ყველა მონანილე ავტორს და, მეტ-ნაკლებად, შემოქმედებასაც იცნობდა, მარიამმა მაისური გადასცა „ცოცხალი წიგნების“ ლოგოთი.

შეხვედრა შედგა. უხარიათ. გვიხარია. გვაცილებენ.

ჰო, ქალბატონ მანანა დუმბაძეს აქაც და სხვაგანაც, სადაც არ უნდა მივიდეთ, უდიდესი სიყვარულით ხვდებიან. გაბრწყინებული სახეებით ჩურჩულებენ: „ხომ იცი, ნოდარ დუმბაძის შვილია“!

ჩხოროწყუ

ჩხოროწყუში ზღაპრული დახვედრა მოგვიწყეს, ღია ცის ქვეშ, პარკში. ჩვენთვის მოწყობილი ფოტოგამოფენა, ყვავილებით გაფორმებული სცენა, ბევრი ხალხი და ამდენივე ღიმილიანი სახე. ერთობლივი ღონისძიება გამოგვივიდა. ჩვენს გამოსვლებს შორის მასპინძლები საკუთარ ლექსებს გვიკითხავენ — ერთი გოგონა, ანა, ფორტეპიანოზე გვიკრავდა და გვიმღეროდა.

აქ ბათუ დანელიამ ყველაზე გულიანად წაიკითხა თავისი ლექსები. საერთოდაც, მისი მოსმენა სიამოვნებაა. როგორღაც წამღერებით, მელოდიურად კითხულობს. ძალიან საინტერესო იყო გიორგი კაკაბაძის დოკუმენტური პროზა ფიროსმანის ცხოვრებაზე.

შებინდდა და სანამ ჩემი ჯერი მოვიდა, გაწვიმდა კიდეც. ავედი სცენაზე. გვაწვიმს მე და ჩემს წიგნს, აწვიმს ყველას. არც ჩვენ ვიმჩნევთ, არც ისინი. მოთხრობა „ჭაღის ანგელოზს“ ვკითხულობ. სხედან, ყურადღებით მისმენენ. ამინდის გამო გაფანტვა აზრადაც არ მოსდით. ამ წამს თავს დავდებ, რომ ქვეყნად საუკეთესო მსმენელ-მკითხველი მეგრელებს ჰყავთ. დათოს გამოსვლას ბოლოსთვის ვიტოვებთ ხოლმე. რაც უნდა დაღლილი იყოს მსმენელი, დათოს სასიყვარულო ლექსებზე ცოცხლდებიან. თინეიჯერები განსაკუთრებით ჟრიამულობენ.

საღამოს დასასრულს მასპინძლებმა ფერად-ფერადი თაიგულები მოგვართვეს და მოვდივართ ჩვენი მანქანისკენ კმაყოფილები. წვიმაში გოგონა მორბის, ნოტების წიგნსა და კალამს მიწვდის: „თუ შეიძლება... მე ანა მქვია“. ეს ის ანაა, ჩვენი საღამო მუსიკალურად რომ გააფორმა. „ანა, ძალიან ნიჭიერი გოგო ხარ, მიხარია, რომ გაგიცანი“ — ვუწერ და ჩემს ბატიფეხურ ავტოგრაფსაც ვუტოვებ. მადლობას მიხდის და ისევ ღიმილიანი — „თუ შეიძლება...“

ჩხაკ! ესეც ფოტო ნიჭიერ ანასთან ერთად.

ჰო, მართლა, არ შემიძლია, ერთი კადრი არ გაგიზიაროთ. ვიდექით მე და ბათუ დანელია ხის ჩრდილში, დაღლილები. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. რაღაცის სათქმელად ხელი გაშალა და უცებ საიდანღაც მოფრინდა ჭიამაია, ხელზე დაასკუპდა. გაუხარდა, გალაღდა. ჭიამაია ცერზე ააცოცდა. ბათუმ ხელი მომუჭა. მე ფოტოაპარატი მოვიმარჯვე. მიდიო, მალე გადამიღე, არ გაფრინდესო! ვერ მოვასწარი... ახლაც თვალწინ მიდგას გახარებული ბათუ დანელია, ცერზე შემოსკუპული ჭიამაიით. ერთადერთი, რაზეც ამ პროექტში გული დამწყდა, ამ კადრის დაკარგვაა...

24.06.15 ზუგდიდი

დღეს მა-ნა-ნაას... დღე-ო-ბაა... ხა-ჭა-პუ-რი ცხვე-ბო-დაა...

დიახ, ჩვენი მანანა დუმბაძე იუბილარია! ხაჭაპურიც გვექნება, ტორტიც და უზარმაზარი თაიგულებიც. ოღონდ — მერე. მანამდე კი:

დილით მარიამი კულტურის სამინისტროს საჩუქრებს, წიგნებსა და ჟურნალებს არჩევს. ბათუ დანელია ნარდს ალაგებს. მეკითხება, თამაში თუ იციო. მე თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ და გაბადრული ამაყად ვჯდები. ცოტა ხანში მხრებში აწურული ვდგები. მიხვდებოდით, როგორც ვითამაშე...

ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკისკენ მიგვაქროლებს გაიოზი. დღეს პირველი შეხვედრა იქ გვაქვს.

— ჩხოროწყუმ რომ იმდენი ხალხი დაგვახვედრა, ზუგდიდი რაღას იზამს! — ამბობს მარიამი.

„ნურას უკაცრავად!“ ზუგდიდის ბიბლიოთეკაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი გვხვდება. ერთ-ერთი მათგანი ქალბატონ მანანას ყვავილებს ჩუქნის. ესეც ასე: მშვენიერი თაიგული გვაქვს, შესანიშნავი იუბილარი გვყავს, დანარჩენებსაც არა გვიშავს, მაგრამ... მსმენელი არ ჩანს. არა გვყავს მსმენელი! მასპინძლები სწუხან, გაუგებრობასთან გვაქვს საქმეო. როგორც თქვეს, არც ამათ სცოდნიათ, რომ საღამოს მასპინძლები იყვნენ და ხალხს — მით უმეტეს. მარიამს სთხოვენ, ჯვარში (ზუგდიდის შემდეგ იქაა დაგეგმილი ღონისძიება) რომ ჩავამთავრებთ შეხვედრას, ისევ აქ დავბრუნდეთ, გვპირდებიან, მანამდე ყველაფერს მოვაგვარებთ, ხალხს გავაგებინებთ, რომ მწერლებთან შეხვედრა აქ შედგებაო. მარიამი პროექტის კურატორია, როგორც იტყვის, ისე მოვიქცევით.

— მოვბრუნდებით, — ამბობს მარიამი.

რადგან „დეიდა ნატომ თქვა,“ აუცილებლად მოვბრუნდებით.

მანქანაში ვსხდებით. მძღოლს ვეუბნებით, რომ ჯერ ჯვარში უნდა მიგვიყვანოს, მერე ისევ ზუგდიდის ბიბლიოთეკაში და აქედან — სასტუმროში.

დიდება გაიოზ მძღოლის გამძლეობას! დიდება მრავალგზის!

ჯვარი

— ზღაპარი ადგილია! — ვამბობ, როგორც კი მანქანიდან გადმოვდივართ. სიტყვა ხომ მაგიაა, ახდენა იცის. გავიხედე და, იქვე, ავტობუსის გაჩერებაზე, შავი(საღებავი)თ თეთრ(კედელ)ზე წერია: „ფქვილი, ქატო.“ ესეც ზღაპრის ბოლო. ახლებური, უფრო ნაღდი. ჭირ-ლხინისა არ იყოს, ამათი „აქა“-დ და „იქა“-დ დაცალკევებაც ვინ თქვა, ორივე ერთადაა, აქაა, ჩვენთანაა. დათოს ვთხოვ (საერთოდ, დათოსთვის რაც უნდა გვეთხოვა, დაუზარლად და სიხარულით გვისრულებდა. სრულიად დამსახურებულად მოიპოვა „სასწაული ბიჭის“ სტატუსი) და ფოტოს გვიღებს სამივეს. მე, ფქვილი და ქატო ერთ კადრში ვბინავდებით თუ არა, მდინარისკენ მივდივართ, მთის ძირას. ეს არაა ერთი ჩვეულებრივი მთა, ამ მთის იქით აფხაზეთია! აფხაზეთი — იქა, საქართველო — აქა ადამიანთა სატკივილოდ, არის რაღაცები, რაც უნდა ეცადო, ფქვილ-ქატოსავით ერთ კადრში ვერ მოაქცევ...

დარბაზში შეკრებილი ხალხი ძალიან გაახარა ქალბატონი მანანას საკუთარ დაბ.დღეზე მათთან სტუმრობის ამბავმა. თავიდანვე უშუალო, მხიარული გარემო შეიქმნა. წასაკითხად „თარსი“ შევარჩიე, კარგად მოერგო საერთო განწყობას. მსმენელებიდან ერთი ქალბატონი დამამახსოვრდა გამორჩეულად. ღიმილიანი სახით, ლამის დედობრივი სითბო-სიყვარულით გვიყურებდა და გვისმენდა თითოეულს. ბევრი კი არ გინდა ადამიანს. ერთი გულწრფელი ღიმილიც გაბედნიერებს.

წიგნების კითხვას დისკუსიები მოჰყვა. ჩვენ ჩვენი ვთქვით, იმათ — თავიანთი. ახალი წიგნების მიღების პრობლემა აქვთ, ამაზე სწუხან. მარიამმა დააკვალიანა, როგორ უნდა გამოიწერონ სასურველი წიგნი გამომცემლობებიდან.

წამოვედით. წამოვიყოლეთ იმ ქალბატონის თვალების სითბო, მზერით რომ გვეფერებოდა და იმ მთის სიცივეც, აფხაზეთს რომ ეფარებოდა...

ზუგდიდში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დავბრუნდით. „ცა და დედამიწა“ იყო წინა და ახლანდელი შეხვედრა! დარბაზამდე მიმავალ დერეფანში ეგრეთ წოდებული ცოცხალი დერეფანი დაგვახვედრეს „ცოცხალწიგნელებს“, ტაშით შეგვხვდა ხალხით სავსე დარბაზი. განსაკუთრებულად, თეთრ შარვალ-პიჯაკსა და შავ პერანგში გამოწყობილი შუკო ჯიქიას დანახვამ გაგვახარა.

საღამო იუბილარის წარდგენა-მილოცვით დაიწყო. კიდევ ერთი ულამაზესი თაიგული მიართვეს ქალბატონ მანანას. ბავშვებმა კი სპექტაკლი გვიჩვენეს: ნოდარ დუმბაძის „HELLADOS“.

ისეთი დადებითი მუხტი მოდიოდა დარბაზიდან, მომინდა, რაიმეთი გამომეხატა მადლიერება და სანამ კითხვას დავიწყებდი, გამოვაცხადე, რომ ჩემს წიგნს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ვჩუქნიდი. როგორც კი დავასრულე ნაწყვეტის კითხვა მოთხრობიდან „საით წავიდა ლოლა“, დარბაზში მჯდომმა ერთმა მამაკაცმა ხმამაღლა წამოიძახა:

— უჰ, მაგარია! დამაინტერესა ამ მოთხრობამ. ხომ ნამდვილად ტოვებთ მაგ წიგნს ჩვენს ბიბლიოთეკაში?

ჰო-მეთქი, ვტოვებ — გავიბადრე.

მაშინვე დააძრო ჯიბიდან პირადობის მოწმობა და ბიბლიოთეკის თანამშრომელს გაუწოდა:

— აჰა, ჩამწერეთ, მაგ წიგნს პირველი მე ვკითხულობ!

როგორ არ ვთქვა — გამიხარდა. თუნდაც მხოლოდ ამ ერთი მკითხველისთვის მიღირდა პროექტში მონაწილეობა...

ღონისძიების დასრულების შემდეგ 18-იოდე წლის ბიჭი მოდის, დიმა ხურციად მეცნობა. სად შეიძლება „ჭაღის ანგელოზის“ შეძენა, აუცილებლად უნდა ვიყიდოო!

ეგეც ჩემი მეორე პირადი სიხარული ამ ერთი საღამოდან. არაა ცოტა.

ჩვენთან ერთად ადგილობრივმა პოეტებმაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები. ერთმა რუსუდან კაიშაურის ლექსიც წაგვიკითხა. გამიხარდა. მიყვარს რუსუდანი. ზოგჯერ რა ცოტა დროში გიყვარდება ადამიანი. პროექტის დაწყებამდე არც კი ვიცნობდით ერთმანეთს.

საღამოს 7 საათზე დაწყებული შეხვედრა თითქმის 11-ის ნახევრამდე გაგრძელდა.

მეორე დილით, სვანეთში გამგზავრებამდე, დადიანების სასახლე დავათვალიერეთ. ნეტავ, როგორ ვცხოვრობდი მშვიდად, ეს სასწაული სასახლე რომ არ მქონდა ნანახი?

P.S. გუ-შინ მა-ნა-ნაას დღე-ო-ბა...

ზუგდიდელები ბიბლიოთეკაში ტორტით რომ გაგვიმასპინძლდნენ, იცით, როგორი იყო? „აააი აამ სი-მააღ-ლე.. ააი აამ სიი-გაა-ნე...“ თანაც უბრალო კი არა — მარწყვის!

25.06. მესტია

უუჰ! — ამ ერთი მოკლე შეძახილითაც შეიძლება სვანეთში განცდილის გადმოცემა. ვრცლად კი ასე იყო:

იყურები აქეთ-იქით, გაფართოებული თვალებით. ასდით მთებს ნისლები „როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი.“ აკვირდები და ვერ მიმხვდარხარ, სინამდვილეში როგორაა: ნისლები ასდით თუ ღრუბლები ჩამოსდით?

გზის დიდი ნაწილი მხიარული ამბების თხრობითა და სიმღერით გავლიეთ (ვიბრალებ. გავრიე ჩემი თავიც მარაქაში. სინამდვილეში, მხიარულ ამბებს მანანა დუმბაძე ყვებოდა, სიმღერას კი მარიამი შემოსძახებდა ბათუ დანელიასა და გიორგი კაკაბაძესთან ერთად). მხოლოდ მაშინ გავჩუმდით შეთქმულებივით, როცა გზაზე ტრაფარეტი გამოჩნდა: „ხაიში“...

მესტიაში ელენე გვხვდება, 24-25 წლის ენერგიული, ღიმილიანი, ლამაზი სვანი გოგო. მუზეუმის შენობისკენ მიგვიძღვის. იქ ხალხი უკვე გველოდება.

პირველი სიტყვა მარიამისაა. თითოეულ მწერალსა და მის წიგნს რამდენიმე ფრაზით წარადგენს. დარბაზს თვალს ვავლებ და ვფიქრობ: ბედნიერი ხალხი შევიკრიბეთ აქ. ისინი, მასპინძლები, იმით არიან ბედნიერები, რომ აუწონავი განძის, სვანეთის პატრონები არიან. ჩვენ, სტუმრები, კი იმით, რომ „ცოცხალ წიგნებში“ მონაწილე 15 ჯგუფს შორის მხოლოდ ერთი უნდა გამომგზავრებულიყო სვანეთს და ისიც ჩვენ შეგვხვდა.

როგორც წერენ ხოლმე — „ფიქრებიდან კაცის ხმამ გამომარკვია.“ მარიამს ჩემი წარდგენა დაუსრულებია, გიორგი კაკაბაძე კი ამბობს, იცით, როგორ გავიცანი ნათია? ყვება, გოდერძი ჩოხელის სახელობის კონკურსზე ჟიურის წევრი რომ იყო, საინტერესო, უჩვეულო ამბავი რომ მოხდა: აღმოჩნდა, რომ პირველ და მეორე ადგილებზე გასულ მინიატურებს ერთი ავტორი ჰყავდათ (მონაწილეებს 2 მინიატურის გაგზავნის უფლება ჰქონდათ), და ეს ავტორი, მაშინ ჩემთვის უცნობი, ნათია როსტიაშვილი იყოო. ცხადია, ყველას დააინტერესა გამარჯვებული ტექსტები. მონიშნული მოთხრობები გვერდზე გადავდე და მინიატურების კითხვა დავიწყე. ვკითხულობ, თან დარბაზს გადავხედავ დროდადრო. ვუყურებ, როგორი გულწრფელი, ღიმილიანი სახეებით მისმენენ და ვფიქრობ: ეს ხალხი ჩემი მეგობარია. ასეთი ნათელი თვალებით მხოლოდ მეგობრები გიყურებენ ადამიანს... ჰო, „არდასავიწყებელ დღეში“ გიოს „არ მინდა მოვკვდეთ, დე“ -ზე გული თავადვე ამიჩუყდა. მონატრების ამბავია, ოთხი დღის მონატრებული შვილის ამბები. არ ვიმჩნევ, მგონია, რომ არ ვიმჩნევ, მაგრამ პირველი რიგიდან ქალი ისეთი თანაგრძნობით მიყურებს, ვხვდები — მიმიხვდა. მკითხველს, ისიც მეგობარ მკითხველს, რას გამოაპარებ?! მერე მითხრა იმ ქალმა, მაშინვე მივხვდი, რომ ნამდვილი ამბავი იყო და შვილზე გვიყვებოდითო.

ჩვენ რომ ჩვენს სათქმელს მოვრჩით, მასპინძლებს მოვუსმინეთ. არ დამავიწყდება ტკბილმოუბარი მამაოს სახე, ერთდროულად ლაღიცა და დარდიანიც. მისი სიტყვები, ყველას სადარდებელ-საფიქრალი რომ ამოაყოლა — ხაიში სტკივათ სვანებს...

ყველაზე ცუდ სიზმარში ხდება ხოლმე ასე: წასვლა გინდა და ვერ მიდიხარ. ნაბიჯის გადადგმას ცდილობ და — ვერა. ცხადშიც ხდება თურმე ასე. მთელი სულითა და გულით გინდა, რაღაც გააკეთო. გააკეთო და თქვა: აჰა, ნულარ სწუხხართ. დამშვიდდით, აგაცილეთ განსაცდელი და დაგიცავით, გვერდში დაგიდექით. დასრულდა თქვენი საწუხარი, გიხაროდენ! გინდა და, არაფერი შეგიძლია. სიტყვები, მხოლოდ სიტყვები...

საღამოს წამოწვიმა. მაინც გავედით მესტიაში სასეირნოდ. თბილისში დაბრუნება ზეგ გვიწევს, მაგრამ ხვალაც თუ არ გადაიღებს წვიმა, ხვალ მოგვიწევს გამგზავრება. აქ, სხვა სოფლებში გადაადგილება საშიშია ავდარში. განვიხილავთ ვარიანტებს, რისი მოფიქრება შეიძლება.

— მე ვიცი, როგორ უნდა მოვიქცეთ, — ვამბობ.

— ?

— სოსო მეშველიანმა დამარიგა გამომგზავრებამდე, რომ აქ ამინდზე ბამბღუს უნდა შესთხოვო და შეგისრულებს.

ეღიმებათ, აშკარად — იმედგაცრუებით.

დილით ისევ წვიმს. მუზეუმი უნდა დავათვალიეროთ და თბილისის გზას გავუდგეთ.

სანამ ჯგუფის წევრები მუზეუმში ძველისძველ, ულამაზეს სამკაულს ათვალიერებენ, მე კუთხეში ვდგები და გამოცდილი მისანივით ვბუტბუტებ:

„დიდო ბამბღუ, მზეს გთხოვ და გევედრები. დააშრე წვიმა. მზე გაგვიჩინ- გამოგვიჩინე“ (სამჯერ, მგზნებარედ).

გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, მუზეუმიდან გამოსულებს ჩახჩახა მზე დაგვხვდა. მე ცისკენ გავაპარე მზერა ამაყად. თვალი მოვჭუტე, ვითომ სინათლემ მომჭრა თვალი. სინამდვილეში, თვალი ჩავუკარი და დავიჩურჩულე: „დიდი მადლობა, დიდო ბამბღუ!“ (ერთხელ და ხაზგასმული მადლიერებით).

ვრჩებით. საღამოს ჩვენი ყურადღებიანი და გულუხვი მასპინძლები მადლს მარილს აყრიან, თანაც — სვანურს. „საჩუქარი იყოს ჩვენგან“ — გვეუბნება დიასახლისი და სურნელოვანი მარილის ტოპრაკებს გვირიგებს.

P.S. ხვალ თბილისის გზას დავადგებით. ხელჩაკიდებულები გზას წუთით გადავკეტავთ. მე კიდეში ვდგავარ. თავისუფალი მარჯვენა თავისით მეკვრება მუშტად. ამ წამს ძალიან ძლიერი ვარ. მუშტად შეკრულ მარჯვენას მაღლა ვწევ. მარცხენათი რუსუდან კაიშაურს ხელზე ისე ძლიერად ვუჭერ, სხვა დროს აუცილებლად ეტკინებოდა. ახლა ვერ გრძნობს, თავადაც ასევე უჭერს დათო ყანჩაშვილს, დათო — ბათუ დანელიას, ბათუ დანელია — გიორგი კაკაბაძეს, ის — მარიამ წიკლაურს, მარიამი — მანანა დუმბაძეს. ქალბატონი მანანაც კიდეში დგას. მეორე, თავისუფალი ხელით ტრაფარეტზეა ჩაბღაუჭებული. გიორგი ბუნდოვანი ფოტოს გვიღებს.

„**ხაიში**“ — აწერია ტრაფარეტს.

ზაზა ბიბილაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი

2014

*

ჩვენს დროში და თქვენს ხელში პოეზია მუტანტად იქცა. თქვენ წერთ პოეზიას, რომლის წაკითხვა არსად შეიძლება და ყველგან კითხულობთ.

*

ფსევდოკრიტიკა მგონია, თუ „კრიტიკოსს“ უწინარესად აინტერესებს, რა ხდება პოეტის სულსა და გონებაში (რა მეტამორფოზებს განიცდის და ასე შემდეგ) და არა მოცემული ლიტერატურული პროდუქტი.

(ეს – მწერალს უნდა აინტერესებდეს, რა ხდება მისი გმირის, პერსონაჟების, გნებავთ, ლირიკული გმირის სულსა და გონებაში და ამას გვ/აწვდიდეს სრულყოფილი (შეძლებისდაგვარად) პროდუქტის სახით)...

*

თქვენ გაქვთ არწაკითხვის უფლება. თქვენ მიერ წაკითხული ყოველი სიტყვა შეიძლება გამოყენებულ იქნას თქვენს წინააღმდეგ.

*

ძველი ჩანაწერის ინტერპრეტაცია:

ხელოვნება ხალხისთვის. ოღონდ — **ხელოვნება!**

*

ქართულ პოეზიაში ახლა ასეთი ამბავია: პატივია და გადარჩენის შანსი, ასაკით უმცროსი, მომავალი თუ გაღიარებს, თუ შენზე კარგს იტყვის, თუნდაც ერთორს. საიდანღაც მახსოვს, რომ ადრე პირიქით იყო.

*

იქნებ სხვაგან (სადმე) რაც იწერება, გაცილებით უფრო ადეკვატურია იქაური გარემოსი და მკითხველისა, მისი მოთხოვნისა, ვიდრე აქ რაც იწერება — აქაური გარემოსი, აქაური მკითხველისა და მისი მოთხოვნისა? იქნებ ესეც არის მიზეზი, რომ კითხულობენ იქ, არ კითხულობენ აქ?

*

მხატვრული ლიტერატურა არაფერს ცვლის საზოგადო ცხოვრებაში. მთავარ ცხოვრებისეულ კრიტერიუმებად რჩება ის, რაც ოდითგან ყოფილა. ლიტერატურა მხოლოდ იმას ახერხებს, იმ ორიოდე ადამიანს, ვისზეც გავლენა მოიპოვა, მიწაზე დაშვების საშუალება ბოლომდე მოუსპოს.

*

ცხოვრებაში სულ ისეთი ადამიანები მხვდებიან, ლიტერატურაში მთავარი გმირები ანუ დადებითი პერსონაჟები რომ ურტყამენ ხოლმე — როგორც სამართლის აღმასრულებლები.

*

ადამიანთა ურთიერთობაც, გარკვეული თვალსაზრისით, ალტერნატიული სინამდვილეა. დიალოგი მაინც. ალბათ, ერთი დიალოგიც არ ასახავს ნამდვილ „შინაგან დიალოგს“...

არ ვიცი, ამის წერა საიდან დავიწყე, მაგრამ ახლა პარალელი მევლევინება ლიტერატურის ენასთან. იქ ან ცდილობენ, ზედმიწევნით გაიმეორონ ნამდვილი დიალოგები (თუ პერსონაჟის მონოლოგები), ან თვითცენზურას უხმობენ და უარს ამბობენ, როგორც ენობრივ ლაფსუსებზე, ისე„ცუდ“ სიტყვებზეც...

ამ დროს, ცოცხალი ადამიანების დიალოგიც გულისხმობს თვითცენზურას. და კაცმა არ იცის, სად არის „ნამდვილი სინამდვილე...“

შეიძლება, ამის თქმა მინდოდა, რა ვიცი.

*

თუკი გამრავლება, გნებავთ — სიცოცხლის გაგრძელებაა სიცოცხლის ერთადერთი აზრი, სექსი ამ აზრის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი (ან საშუალება — ინსტრუმენტები შეიძლება სხვა, უფრო კონკრეტული რამეები აღმოჩნდეს) ყოფილა. და ამისთვის არის მოგონილი აგზნება, ვნება, ლტოლვა... მაგრამ ზოგჯერ იფიქრებ, რომ პირიქითაა — ვნებაა მთავარი, და სიცოცხლეც ამ ვნების კვლავ და კვლავ განსაცდელად გრძელდება.

*

მეზობელი ოთახიდან სნეული ხველება მესმის. რომ არა სენი და მისთანანი – რაც ადამიანს შეაგრძნობინებს თავის სისუსტეს, ვინ იცის, სად წაიყვანდა თავხედობა. ზოგს ხომ სხვა მუხრუჭი არც ხვდება ცხოვრებაში, ავადმყოფობის გარდა. რელიგია რომ ზოგჯერ ცალსახა ბოროტებად გამომჟღავნდება ხოლმე, იქნებ ეგეც სენის ფუნქციას ასრულებს მაშინ – ადამიანს რომ შეახსენოს და დაანახვოს, რა უბადრუკია, გნებავთ, რა ცუდია, როგორი მწირი საფუძველი აქვს ქედმაღლობისთვის, და ასე დათრგუნოს მისი თავხედობა?

*

ალბათ, ძალიან ბევრი ვართ იმისთვის, რომ „მე“-ს საოცრება შევიგრძნოთ, ნაწილობრივ მაინც შევიგრძნოთ (ეგოიზმი სულ სხვა რამეა და აქ არაფერ შუაშია... თუმცა, ვინ იცის, ამის შესაგრძნობად ეგოიზმს ხელი შეეწყო).

*

იქნებ ეს მდგომარეობა ხე ცნობადის ნაყოფის გასინჯვამდელ მდგომარეობას ჰგავს: გჯეროდეს, რომ წმინდანის სხეული უხრწნელია და გიხაროდეს, კიდევ გჯეროდეს სხვა მსგავსი რამეებიც და გიხაროდეს... და არ იცნობდე უამრავ ტკივილს.

*

შეუცნობელია გზანი უფლისანი: ჩემი ცხოვრების დასაწყისში ლამის სახიფათო იყო ღვთის რწმენა. ახლა თანდათან ლამის სახიფათო ხდება ათეიზმი. და ეს ხიფათი სულაც არ მოდიოდა და არ მოდის ღვთისგან.

*

სამოთხის ვაშლი ზუსტად ისე ეკიდა ხეზე, როგორც მოგვიანებით — თოფი კედელზე პიესაში ჩეხოვის თეორიიდან.

*

გაცილებით უფრო ადვილად დავარწმუნებდი თავს, რომ ყველაფერი სასაცილოა, ის საკითხები მაინც რომ მომეგვარებინა მისთვის, რომლებიც სულაც არ არის სასაცილო.

*

„მიყვარხარ“ შეიძლება ერთადერთი სიტყვაა, რომელსაც წინ ჩამატებული „ძალიან“ ხარისხს არ უმატებს. მეტიც, მისგან თითქმის აღარაფერს ტოვებს.

*

წერით დავიღალე და მკითხველს რაღა მოუვა.

თამაზ აქუბარდია

ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე

სცენარი მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის

1. დილა

დილა. ჩიხლაძეების ძველი მაღალჭერიანი ბინა.

ტიპიური ინტელიგენტის საცხოვრებელი. ყველგან წიგნები, წიგნები, წიგნები.

ოჯახის უფროსი — ომიკო ჩიხლაძე, ერთ-ერთი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი. გამხდარი, ოდნავ შელახული გარეგნობით. ასე, 40-45 წლის კაცი.

მეუღლე, ნინო — 40-მდე წლის. ძალიან ნაზი და სიფრიფანაა.

შვილები — თაკო და თიკო. უფროსი მეორე კურსის სტუდენტია, უმცროსი — მეათე კლასის მოსწავლე.

ჩიხლაძეების ოჯახი სამზარეულოში საუზმობს. მაგიდასთან ომიკო და შვილები სხედან. ნინო გაზქურასთან ფუსფუსებს. ჩაიდანი დუღს, ნინო ჭიქებს აწყობს მაგიდაზე და ჩაის ასხამს.

— ზეთი საყიდელია, გათავდა უკვე. კარტოფილიც მოსატანია, — თითქოს თავისთვის ლაპარაკობს ნინო.

ომიკო შეხედავს უკმაყოფილოდ, ინსტიქტურად წაიღებს ხელს სიგარეტისკენ — კოლოფში სიგარეტი არ აღმოჩნდება — და ჩაის ხვრეპას განაგრძობს.

— თიკოს ინგლისურის ფულია გადასახდელი! ხო, მართლა, — განაგრძობს ნინო, —თაკოს სწავლის ფულია შესატანი ინსტიტუტში ზეგამდე.

ომიკო ჭიქას დგამს მაგიდაზე, წამოდგება და მეორე ოთახში გადის.

ნინო ერთს ამოიოხრავს და გაზქურასთან ტრიალს აგრძელებს.

2. მაღაზიაში

ომიკო გამოდის სადარბაზოში და ლიფტისკენ მიემართება. თითს აჭერს გამოსაძახებელ ღილაკს და ელოდება ლიფტის ამოსვლას. ლიფტი ჩერდება, კარი იღება და ლიფტში შედის. საფულეში მოიჩხრიკავს 5 თეთრიანს და ვერ პოულობს. გაბრაზებული ერთს ჩაიბურდღუნებს გაურკვევლად, გამოდის ლიფტიდან და ჩქარი ნაბიჯით სადარბაზოს კიბეზე ეშვება.

ომიკო სადარბაზოდან ქუჩაში გადის და ხელს იყოფს ჯიბეში — ორად-ორი ცალი ორლარიანი უდევს ჯიბეში. ომიკო მის სახლთან ახლომდებარე მინი-მარკეტში შედის.

— თინა, ერთი „კენტი“ მომეცი ნისიად, თუ შეიძლება, და ფულს ამ დღეებში გამოგიტან! — მიმართავს გამყიდველს.

— ბატონო ომარ, თქვენი ვალი 100 ლარს აჭარბებს უკვე; რა ვქნა, საბრუნავი ფული აღარ მაქვს. მარტო თქვენ რომ იყოთ ასე, ანგარიშს გაგიწევდათ ადამიანი. მეც გამიგეთ, რა?

გამყიდველი იქვე, მაღაზიის სიღრმეში მჯდომ კაცს გასძახებს:

— რა ვქნა, თემო, მივცე ნისიად სიგარეტი?

— ხოო, მიეცი, მიეცი. მაგი გამქცევი არაა, მოიტანს.

— ბატონო ომარ, აიღეთ, წაიღეთ!

ომიკო გამოდის მაღაზიიდან, გახსნის სიგარეტის კოლოფს, ამოაძვრენს ერთ ღერს, მოუკიდებს და ხარბად, თითქოს პირველად ეწეოდეს, ჩაისუნთქავს სიგარეტის კვამლს.

ომიკო ავტობუსის გაჩერებისკენ გაემართება.

3. ავტობუსში

გზაში მიმავალი ომიკო ჯიბიდან მეტრომანს ამოიღებს.

ომიკო ფიქრობს:

— „მახსოვს, რომ მეტრომანზე 60 თეთრი მაქვს ანგარიშზე. სამსახურამდე მიმიყვანს.“

ამ დროს მობილური რეკავს. ფიქრებიდან გამოერკვევა და ტელეფონს ამოიღებს ჯიბიდან.

— ბატონო! — ჩასძახებს ყურმილში.

— ბატონი ომარ ჩიხლაძე ბრძანდებით?

— დიახ!

— ბანკიდან გირეკავთ. დავალიანება გაქვთ გადასახდელი და, თუ დროზე არ გადაიხდით, საურავი დაგეკისრებათ იცოდეთ და მერე ბინასაც ყადაღა დაედება!

— ბატონი ბონდო მანდ არი? — კითხულობს ჭირის ოფლში გაწურული ომიკო.

— დიახ, აქ არის!

— უთხარით, რომ მოვდივარ უკვე!

— კარგით! — უფრო თავაზიანად პასუხობენ.

ამ დროს ავტობუსიც მოდის.

როგორც კი ავტობუსში ადის, სალარო-აპარატისკენ გაემართება და მეტრომანს ადებს, მაგრამ ბილეთს ვერ იღებს, რადგან ეკრანზე გამოჩნდება რიცხვი — 30 თეთრი. აპარატს კი გარკვევით აწერია ბილეთის ფასი — 50 თეთრი.

პირველსავე გაჩერებაზე ომიკო ავტობუსიდან ჩამოდის და ჩქარი ნაბიჯით მიდის იქვე ტროტუარზე მდგარი საგადასახადო აპარატისკენ.

ომიკო 2 ლარიანს აგდებს აპარატში. აპარატი გამართულად მუშაობს და ომიკოს ანგარიშზე 2 ლარი და 30 თეთრი უჯდება.

ომიკო იმავე ავტობუსში ასწრებს ასვლას, რომლიდანაც წეღან ჩამოვიდა, ბილეთს იღებს 50 თეთრად, ანუ ანგარიშზე ახლა უკვე 1 ლარი და 80 თეთრი აქვს და ავტობუსიც დაიძრება.

კოლმეურნეობის მოედანზე მეორე ავტობუსში გადაჯდება და ბილეთის ასაღებად ისევ სალარო-აპარატისკენ გაემართება.

მეტრომანს ადებს სალარო-აპარატს, თუმცა ბილეთი არ ამოდის.

ომიკო ინსტიქტურად მეორედ ადებს მეტრომანს აპარატს და ბილეთი ისევ არ ამოდის.

ომიკო დაიხრება და იმ ღრიჭოში შეიხედავს, საიდანაც ბილეთი უნდა ამოსულიყო. ბილეთის თავი ოდნავ ჩანს. ბილეთი გაჭედილია.

ომიკო ფრჩხილებით დააფრინდება ბილეთის თავს, მოქაჩავს, ბილეთი მოიხევა და ომიკოს ქაღალდის ნაწილი შერჩება ხელში.

ომიკო დახედავს ამ ნაგლეჯს. ბედი არ გინდა? ეს ბილეთის სწორედ ის ნაწილია, რომელზეც გამოსახულია, — „ნული ლარი და 15 თეთრი“.

გაბრაზებული ომიკო კონდუქტორს შესძახებს:

— ეს რა ხდება? რატომ ჩამომაჭრა ამდენი სალარომ?

კონდუქტორი მიდის სალაროსთან, გამოართმევს ომიკოს მეტრომანს, ხელახლა დაადებს სალაროს და, ჰოი, საოცრებავ, ახლა, რატომღაც ახალი ბილეთი გამოვა აპარატიდან.

კონდუქტორი ამ ბილეთსაც მიაწოდებს ომიკოს. ომიკო ბილეთს დახედავს — ბილეთზე ისევ „ნული ლარი და 15 თეთრი“ წერია.

ავტობუსში ხალვათობა კი არის, მაგრამ ათ კაცამდე მაინც იქნება. ამიტომ ომიკოს შეძახილი ყველას ყურადღებას იპყრობს:

— კი მაგრამ, ანგარიშზელარი და ოთხმოცი თეთრი მქონდა და 15 თეთრი რა არის? როგორ დამიტოვა 15 თეთრი, ეს რა ხდება? — კითხულობს ომიკო.

კონდუქტორი შეურაცხმყოფელი, დამცინავი და მენტორული ტონით, ყველას გასაგონად, მიუგებს ომიკოს:

— როგორ შეიძლება ლარი და ოთხმოცი თეთრი გქონოდეს ანგარიშზე და აპარატმა 15 თეთრი გიჩვენოს? რომ გეთქვა ლარ-ნახევარი, ან ერთი ლარი, კიდევ დაგიჯერებდა კაცი, მაგრამ 15 თეთრი?

ამ დროს ახალი მგზავრებიც ამოდიან; ერთ-ერთი მათგანი ბილეთის ასაღებად მიდის აპარატთან, მეტრომანს ადებს აპარატს, მაგრამ ბილეთს ვერ იღებს.

მეორე მგზავრიც ასევე მეტრომანს ადებს სალაროს და ისიც ვერ იღებს.

მესამე მგზავრი თავის მეტრომანს ადებს სალაროს და ერთბაშად ორი ბილეთი გამოუცურდება სალაროდან.

— რა ხდება, რა ყაჩაღობაა ამ დილაადრიან! — ყვირილით ამბობს ერთი მათგანი.

ახლა უკვე ქალები აღშფოთდებიან და ყვირილით მიმართავენ კონდუქტორს:

— ცხელი ხაზის ნომერი მოგვეცით!

— ეგერ მძღოლის კაბინაზე, შუშაზე არის ფლომასტერით დაწერილი! — პასუხობს ნირწამხდარი ხმით კონდუქტორი.

ერთ-ერთი მგზავრი მიდის მძღოლის კაბინისკენ, მაგრამ იქ ნომერს ვერ ამოიკითხავს (ფლომასტერით დაწერილი წარწერა თითქმის მთლიანად წაშლილ-გაცრეცილია) და გამწარებული მგზავრი ყვირილით მიმართავს კონდუქტორს:

— სად ხედავ აქ ცხელი ხაზის ნომერს?

შემდეგ ერთ-ერთი მგზავრი მძღოლს ხმამაღლა ეუბნება:

— შენ უნდა იცოდე ცხელი ხაზის ნომერი! ზეპირად უნდა იცოდე!

მძღოლი უხალისოდ ამოღერღავს ცხელი ხაზის ნომერს. მგზავრი რეკავს მობილურით, მაგრამ ხაზი სულ დაკავებას იძლევა.

ეტყობა, კონდუქტორში რაღაც ადამიანურმა გრძნობამ თუ თვითგადარჩენის ინსტიქტმა გაიღვიძა; ის მიდის ომიკოსთან და ეუბნება:

— შენი ორი ბილეთიდან ერთ ბილეთი მომეცი, მგზავრი რომ ამოვა, ამ ბილეთს მივცემ და ამით 50 თეთრს მაინც დაგიბრუნებ.

ომიკო აძლევს ბილეთს და ცოტა ხანში კონდუქტორი ამოსულ მგზავრს, რომელიც ხურდა ფულის ჩაგდებას აპირებს სალაროში, აძლევს ომიკოს ბილეთს, ხოლო ომიკოს 50 თეთრს უბრუნებს.

ომიკო ფიქრობს:

— „მოდი, კიდევ ერთხელ გამოვცდი მეტრომანს, ეგება მეტრომანი დაზიანდა?“

თავის მეტრომანს სალარო-აპარატს ადებს... და, ჰოი, საოცრებავ, იმ წამსვე ბილეთი გამოსრიალდება და ბილეთის ანგარიშზე ომიკოსთვის სანუკვარი ციფრი — „1 ლარი და 80 თეთრი“ — გამოჩნდება...

ეს ყველაფერი კონდუქტორის და გარშემო მყოფი მგზავრების აღტაცებას გამოიწვევს.

ომიკო ჩაფიქრდება. პირველი, ვინც თვალწინ დაუდგება, ჩვენი ბრწყინვალე კომიკოსის, იპოლიტე ხვიჩიას სახეა, რომელიც ფეხბურთის ბილეთს უფრიალებს თვალწინ კონტროლიორს და გაყვირის — „არის თუ არა ეს ბილეთი?!“

ომიკო უცებ მოეშვება და ხმამაღლა და იუმორნარევი ტონით ეკითხება კონდუქტორს:

— არის თუ არა ეს 1 ლარი და 80 თეთრი?თურმე შეიძლება, ისე მოხდეს, რომ ავტომატმა 15 თეთრი აჩვენოს ყოველგვარი ლოგიკის გარეშე?

კონდუქტორი რაღაცას ამბობს, მაგრამ ომიკო მას უკვე აღარ უსმენს.

მერე უკვე თავისთვის ფიქრობს:

„არასდროს არ შეიძლება ნაჩქარევი დასკვნების გაკეთება; არ შეიძლება, ადამიანი ისე დაადანაშაულო, რომ მასაც არ მოუსმინო ყურადღებით და ბოლომდე; შეიძლება, 1 პროცენტი მეტი იყოს 99 პროცენტზე. ჩემთვის მაინც გაუგებარი რჩება შემდეგი: პირველი, თუ რატომ არ დარეკეს თავად კონდუქტორმა ან მძღოლმა ცხელ ხაზზე და რატომ არ გამოიძახეს ხელოსანი? მეორე, რატომ არ დადგა კონდუქტორი სალაროსთან და რატომ არ აფრთხილებდა მგზავრებს, რომ ეს სალარო არ მუშაობდა გამართულად? და მესამე, ბოლოსდაბოლოს, ავტობუსი გარაჟში რატომ არ წავიდა?“

ავტობუსიდან ჩამოსვლის შემდეგ ომიკოს, როცა უკვე მეათასედ გაიაზრა განცდილ-გადატანილი, უცებ თავში ერთმა აზრმა გაუელვა:

„საბოლოოდ მე ხომ 50 თეთრი ვიხეირე ამ თავგადასავალიდან? ახლა ამ 50 თეთრს ავიღებ და ვინმე მათხოვარს მივცემ!“

4. ბანკი

ბანკისკენ ცოტა იმედმოცემული მიემართება. შესვლისას ყალბღიმილიანი, ანუ ტრეინინგებზე ნასწავლი ღიმილით, „პიონერის ყელსახვევში“ გამოწყობილი გოგონა შეეგებება:

— რით შემიძლია, გემსახუროთ?

— ბატონი ბონდო მინდოდა! — ასეთივე ნაძალადევი ღიმილით მიუგებს ომიკო.

— აქეთ მობრძანდით, — პასუხობს გოგონამ და ომიკოს მიუძღვება.

— ოო, ამას ვის ვხედავ! როგორ ბრძანდებით, ბატონო ომიკო? — ხაზგასმული გადაჭყლარტული ტონით ეგებება ბონდო სტუმარს.

— რით შეგვიძლია გემსახუროთ, ომიკო ბატონო?

— სესხის ვადა მაქვს გადაცილებული. დღეს დამირეკეს ბანკიდან და თუ არ გადაიხდითო...

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ჩვენც გაგვიგეთ! თქვენისთანა, იცი, რამდენია და ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს — „გადაგვივადეთ, გადაგვივადეთ!“ რა ვქნათ? ეს ხომ ბანკია და არა მოწყალების დაწესებულება!

— იქნებ ახალი სესხი ამაღებინო და ძველსაც გადავფარავდი და ბავშვის სწავლის ფულსაც გადავიხდიდი, — სასოწარკვეთილი ღიმილით უყურებს ომიკო თვალებში ბონდოს, — იქნებ, ჩვენი ძველი მეგობრობის ხათრით ერთხელაც დამეხმარო!

— კარგი, კარგი, რაღაცას გაგიხერხებ, მაგრამ ცოტა მოცდა მოგიწევს!

— მაინც რამდენი ხანი?

— ერთი კვირა მაინც!

— რას ამბობ, ბონდო, სამ დღეში თუ არ დავფარე თიკოს სწავლის ფული, გამირიცხავენ ბავშვს! იქნებ როგორღაც, — და ენა ებმება, თვალები ცრემლებით ევსება.

ბონდოზე ომიკოს სიმწრისაგან დატანჯული სახე დიდ ვერაფერ შთაბეჭდილებას ახდენს.

— კარგი, კარგი, ვერ დაგპირდები, მაგრამ ვეცდები, — მოწყალე სახით გამოსცრის კბილებში ბონდო.

— მაშასადამე, მქონდეს შენი იმედი? —წაილუღლუღებს ომიკო.

— ხო, კაი გეყოფა, ახლა წადი! — ომიკოს დაზაფრულმა სახემ ბოლო-ბოლო გაალღო ბანკირის ულმობელი გული.

ომიკო გასასვლელისკენ მიემართება. გასასვლელთან ტუალეტს ხედავს, შიგნით შედის და კარს მიიხურავს. ტუალეტში ბნელა. ომიკო სინათლის ჩასართავს ეძებს, აფათურებს ხელებს კედლებზე. არც ერთი ჩასართავი არ ჩანს. ომიკო ტუალეტის კარს აღებს და იქვე კორიდორში მდგარ გოგონას ეკითხება:

— სად უნდა ჩაირთოს სინათლე?

გოგონა ჰოლივუდის ღიმილით პასუხობს:

— დაელოდეთ! ჩვენთან ავტომატურად ირთვება სინათლე!

გარეთ გამოსული ომიკო საათზე დაიხედავს, რაღაცა მოაგონდება, ადგილს მოწყდება და სირბილით წავა.

5. ლექცია

ლექციას ძლივს მიასწრებს! აუდიტორიაში აქოშინებული შევა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან აქვს ლექცია.

— აბა, თინეიჯერებო, ჩვენი დღევანდელი ლექციის თემაა მთელი კაცობრიობის მამოძრავებელი უდიდესი ძალა, უამრავი უბედურებისა და ასევე უამრავი სიკეთის მომტანი, ბედნიერებისა და უბედურების წყარო — ფული!

ამ სიტყვების შემდეგ ომიკო გადახედავს სტუდენტებს და დაინახავს, რომ აუდიტორიაში ლექციის დაწყებისათვის დამახასიათებელი ჟრიამული შეწყდა.

— ფულის შოვნის საკრალური სურვილი ადამიანს ისეთ სიბინძურეს ჩაადენინებს, — აგრძელებს ის, — რომლის გაფიქრებაც კი ზარავს ადამიანს და ამავე დროს ისეთ სიკეთესაც გაგაკეთებინებს, როგორიც ედმონ დანტესმა გაუკეთა მორელს, ბილ გეითსმა კი — ონკოლოგიით დაავადებულებს. ყველაზე დიდი პარადოქსი (თუ გაუგებრობა არა), რაც ეკონომიკურ თეორიაში გვაქვს, ეს არის

საქონლური ფულისა და დეკრეტული ფულის დეფინიციების, ერთის მხრივ, სრულიად ლოგიკური მოცემულობა და, მეორეს მხრივ, ამ მოცემულობების სრულიად წარმოუდგენელი დამახინჯება პრაქტიკაში.

აუდიტორია გასუსული უსმენს და ცოტა გაკვირვებულიც.

— საქონლურია ფული, რომელსაც, გარდა ფულის თვისებებისა, რომელსაც ქვემოთ ჩამოვთვლით, აქვს სახმარი ღირებულება. მაგალითად, ოქროს მონეტები, რომელსაც მეფეები უშვებდნენ, საქონლური ფულის კლასიკური მაგალითია, რადგან ოქროს მონეტა, გარდა იმისა, რომ ფულის თვისებები გააჩნია, შეიძლება, გამოყენებულ იქნეს, როგორც ოქრო, რომლისგანაც შეიძლება ათასი სახის საქონელი გაკეთდეს, ბეჭდით დაწყებული ოქროს თასით დამთავრებული. განსხვავებით დეკრეტული ფულისა, ანუ იმ ქაღალდის ფულისა, რომელსაც თავისთავად არავითარი სახმარი ღირებულება არ გააჩნია. მას, უკაცრავად და, ტუალეტშიც ვერ გამოიყენებთ.

უხერხული სიცილია აუდიტორიაში.

ოდნავი პაუზის შემდეგ ომიკო აგრძელებს:

— აი, აქ იწყება თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული უფსკრული, რომელსაც არავინ ამჩნევს, თუ ვერ ამჩნევს. აი, ეს დეკრეტული ფული, რომელსაც, თეორიის მიხედვით, არავითარი სახმარი ღირებულება არ გააჩნია, ენერგიულმა ადამიანებმა ისეთ საქონლად გადააქციეს, რომ ზღაპრული სიმდიდრე იშოვეს. დიახ, დიახ! ბანკებმა მოახერხეს ეს. მათ ფული, რომელსაც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არავითარი სახმარი ღირებულება არა აქვს, ისეთ საქონლად გადააქციეს, რომ, ერთის მხრივ, მთელი მსოფლიოს მოსახლეობა განუსაზღვრელი დროით კაბალაში მოაქციეს და სამსახურის დაკარგვის პანიკური შიში ჩაუდეს, რითაც მათი მხრიდან ნებაყოფლობით მონური მორჩილება მიიღეს და, მეორეს მხრივ, განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვეს მსოფლიოზე.

სტუდენტები დაუფარავი ინტერესით უსმენენ...

6. ფეიბოქსი

ლექციიდან გამოსული ომიკო მობილურს აიღებს და ნომერს აკრიფავს.

— ნინო, ნინო! აღარ ვიცი, რა ვქნა... ნინო!

— „თქვენს ანგარიშზე ნული ლარი და ნული თეთრია!“— მობილურში ავტომატის მონოტონური ხმა ჩაესმის.

ომიკო მობილურს ჯიბეში იდებს და მელიქიშვილის ქუჩას მიუყვება. ომიკო ორლარიანს ამოიღებს ჯიბიდან და იქვე მდგარი ყვითელი ექსპრესყუთისკენ ანგარიშის შესავსებად მიემართება.

სანამ ომიკო ექსპრესყუთთან მივა, გოგონა აგდებს ლარიანს, მაგრამ ავტომატმა, როგორც ჩანს, ფული „ჩაუყლაპა“ და გამწარებული ხელს ურტყამს ამ ტექნიკის „უსინდისო საოცრებას“.

ომიკო უახლოვდება აპარატს, ჭრილში შეიხედავს და დაინახავს, რომ მონეტა გაჩხერილია. ჯერ თავისი ორლარიანით ცდილობს, მიაწვეს მონეტას, —უშედეგოდ; შემდეგ ხელს ურტყამს —უშედეგოდ. შემდეგ გოგონას უბრუნდება:

— ფრჩხილების საქლიბი ან მაკრატელი ხომ არ გაქვს?

— არა, — უპასუხებს გოგონა.

ომიკო რამდენიმე გამვლელ ქალბატონს მიმართავს იგივე მოთხოვნით:

— ქლიბი ხომ არ გაქვთ?

ერთმა გამვლელმა ქალბატონმა, რომ დაინახა რასაც ცოდვილობდა ომიკო, არ დაიზარა, ჩანთიდან ამოიღო და მიაწოდა ფრჩხილების საქლიბი. ომიკომ საქლიბი ნაპრალში შეუყარა და მიაწვა. ძვრა არ იყო. მაშინ უკან გამოგდება სცადა და, ჰოი, საოცრებავ, მონეტა გამოვარდა და ომიკოს ხელში ჩაუვარდა. ომიკომ ამოღებული მონეტა გახარებულ გოგონას დაუბრუნა და დიდი მადლობების მოსმენის ფონზე გზა განაგრძო.

იქვე მდგარ მეორე ექსპრესყუთთან ვიღაცა კაცი იდგა და სანამ ომიკო მივიდოდა, ხელი ჩაიქნია და წავიდა. ეტყობა, მასაც „ჩაუყლაპა“ ავტომატმა და უშედეგო ცდების შემდეგ თავი დაანება.

იდეალისტი ომიკო ორლარიანის ჩასაგდებად ემზადება...

ის ფიქრობს:

„ეგება მთლად ასე ცუდად არა აქვს საქმე ჩვენს მთავრობას; ეგება მეორე ჩაგდებაზე იმუშაოს აპარატმა“.

ომიკო აგდებს ორლარიანს და... ორლარიანი იჩხირება, ისევე, როგორც იმ გოგონას შემთხვევაში — ერთლარიანი.

ამ დროს ომიკოსთან მიდის სიმპატიური, ღამაზად ჩაცმული ქალბატონი და ეუბნება:

— ავტომატს მიარტყით და ჩამოვარდება მონეტა!

ომიკოს უკვე გამოცდილება აქვს ამ საქმეში და ეკითხება:

— ფრჩხილების ქლიბი ხომ არ გაქვთ?

ქალბატონი უარის ნიშნად თავს გააქნევს.

მოკლედ, ომიკო კარგა ხანს წვალობს, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არაფერი გამოსდის.

იქვე ორი კაცი დგას, რომლებიც ომიკოს საქმიანობას ყურადღებით აკვირდებიან.

ისინი მიმართავენ ომიკოს:

— მეგობრულად გირჩევთ, თავი დაანებე მაგ ავტომატს და წადი, თორემ სიგნალიზაცია ჩაირთვება, პოლიცია მოვა და სერიოზულ უსიამოვნებებს გადაეყრები!

ეს უფრო უმძაფრებს ომიკოს მონეტის აღების ჟინს. არადა, ეს ქალბატონიც არ შორდება.

ომიკო ეუბნება ღამაზ ქალბატონს:

— ქალბატონო, თქვენ ვერ ჩააგდებთ ფულს, რადგან იქ ჩემი მონეტაა გაჩხერილი და აზრი არ აქვს დაცდას!

ქალბატონი ჩანთას ხსნის და იქიდან მავთულს ამოიღებს. შემდეგ ნიშნისმოგებით გადასცემს მავთულს ომიკოს.

სულ რაღაც ნახევარი წუთი და ომიკო ამ ქალბატონის მიერ მიწოდებული მავთულით ორლარიანს ამოაგდებს.

— ქალბატონო, ამ მავთულს ხომ არ მაჩუქებდით? — ეკითხება ქალბატონს.

7. ქუჩა

ომიკო ქუჩაში მიდის, ცას ახედავს. მზე უკვე გადასულია და გარე განათებაც ჩართულია. ომიკო ჯიბიდან იღებს სიგარეტს, ხარბად მოქაჩავს და ის-ისაა, სახლისაკენ დააპირებს წასვლას, რომ უცებ რაღაც ტყლაპანის ხმა მოესმება და შუბლზე სისველეს იგრძნობს. მექანიკურად შუბლზე ხელს მოისვამს და ხელზე დაიხედავს. ხელი უზარმაზარი ზომის სკლინტით აქვს დასვრილი.

— ეს ბედნიერების ნიშანია, შვილო! — მოესმება უცებ ვიღაცის ხმა.

ომიკო იქით გაიხედავს, საიდანაც ხმა ისმის და დაინახავს შავებში ჩაცმულ ჩია მოხუც ქალს, რომელიც წინგამოწეული ხელით იქვე დგას და მათხოვრობს.

ომიკო ცხვირსახოცს იღებს, ჯერ ხელს იწმინდავს, მერე შუბლს, თან დაბნეული მათხოვარს უაზროდ უღიმის.

ომიკო გზას აგრძელებს.

ფიქრობს:„რა კარგი მეუღლე მყავს და ვერაფერი ცხოვრება შევუქმენი; ჩემი ქალიშვილების სწავლის საფასურის გადახდას ვერ ვახერხებ!“

8. სახლი

ამ ფიქრებში გართული ვერც კი ამჩნევს, როგორ მიდის სახლამდე. ლიფტთან მისული ჯიბეში იყოფს ხელს — ბედად 5 თეთრიანი აღმოაჩნდება, ადის თავის სართულზე, ბინის კარს გასაღებით აღებს და საკუთარ ოთახში უჩუმრად შედის.

ტანსაცმელს გამოიცვლის; გამოცვლისას სიგარეტის კოლოფს ამოიღებს და შიგ ჩაიხედავს —რამდენიმე ღერი კიდევ დარჩენია. ეს კარგად ენიშნება. ომიკო სამზარეულოსკენ მიდის.

ნინო ისევ სამზარეულოში ფუსფუსებს და, როგორც კი სამზარეულოში ქმარი შედის, ისეთი მრავლისმეტყველი თვალებით შეხედავს, რომ ომიკოს გული ეკუმშება.

ბავშვები ვახშმობენ. ომიკო თვალს არიდებს ნინოს თვალებს და უსიტყვოდ მიუჯდება ბავშვებს.

ვახშამი რომ დამთავრდება, ომიკო სასტუმრო ოთახში გადის. სავარძელში ჯდება, სიგარეტს მოუკიდებს და ტელევიზორს ჩართავს, თუმცა უინტერესოდ უყურებს ეკრანს, სადაც მყვირალა ნაცნობი ტელეჟურნალისტის სახე გამოჩნდება და, ეს სახე უცებ, რაღაც ფანტასმაგორიულ ცხოველად გადაიქცევა, რომელიც მეთოდურად ჩასძახებს ომიკოს რაღაცას; შემდეგ მეორე ტელეჟურნალისტი გამოჩნდება ჩამრგვალებული სახით, რომელიც თანდათან ძალიან გაიბერება, გაიბერება და უეცრად გასკდება. ომიკოს თავში ყველაფერი აირ-დაირევა და თანდათან მორფეუსის მკლავებში ჩაიძირება.

9. დილა. სახლი

ჩიხლაძეების ოჯახი სამზარეულოში საუზმობს. მაგიდასთან ომიკო და შვილები სხედან. ნინო გაზქურასთან ფუსფუსებს. ჩაიდანი დუღს. ნინო ჭიქებს აწყობს მაგიდაზე და ჩაის ასხამს.

— ხომ გახსოვს სწავლის ფული... — ამბობს ნინო.

— მახსოვს, მახსოვს! — აწყვეტინებს ომიკო და დგება.

ომიკო გადის თავის ოთახში და იცვამს საგარეო ტანსაცმელს.

ბინიდან გამოსული ლიფტისკენ მიემართება — 5 თეთრიანი ისევ არა აქვს და კიბეს ფეხით ჩაუყვება.

სადარბაზოდან გამოსული გაზეთების ჯიხურისკენ წავა.

10. გაზეთების ჯიხური. დილა

— ზაქრო, „ალია“ გაქვს? — ეკითხება ჯიხურში მდგომ გაზეთების გამყიდველს.

— ეს ერთიღა დარჩა! — პასუხობს ზაქრო.

გამყიდველი თავს გააქნევს სამი მამაკაცისკენ, რომლებიც ჯიხურის წინ დგანან. ერთ-ერთი მათგანი გაზეთ „ალიას“ კითხულობს, ორი კი მას ელოდება.

ომიკო მათკენ გაიხედავს.

— დადექი შენც მათთან, ჩადექი რიგში და ესენი რომ კითხვას მორჩებიან, გინდა

შენც მათსავით აქვე წაიკითხე გაზეთი, გინდა...

ომიკო მიდის მათკენ და იმ ორი მამაკაცის უკან, რიგში დგება.

ომიკო ფიქრობს:

„რა ცუდად დაიწყო ეს ახალი დღე! თუმცა, რა? ცხოვრება მაინც კარგია, ამის დედა ვატირე! ასე არ ამბობს ბურნუთა ფილმში „სიყვარული ყველას უნდა?!“

ომიკოს ეღიმება.



ნინო კაკაჩია

არდადეგებზე

აშრიალებს ზაფხულის ქარი წითელ ლილიებს...
ძველი ქალბატონები გოგოს ჭორებს ატანენ;
გოგო კეთილშობილი გაუბედავ ღიმილებს
ჩუქნის აივნებიდან გადმოკიდულ პატარებს.
სველი აკაციის და ყავის სუნი ტრიალებს
სძინავთ ბინძურ ფარდულში ახალშობილ ფინიებს...
ცაზე ლეგა ღრუბელი მტკივან ფეხებს მიათრევს...
გოგოს გულში პირველი სიყვარული იღვიძებს.

ქარიშხლიანი

ეძღვნება 13 ივნისის ტრაგედიას

*

რომანსეროებს მოქონდათ წვიმა —
მელანქოლია ივნისის დილის;
და დედალოსის გადახსნილ მკერდზე
ჭინკებს ეძინათ მეფური ძილით.
დღე იტკიებდა გაკვეთილ მუცელს,
ნეკერჩხლებს სველი ემოსათ პლისე...
და სადღაც მაღლა ტანაყრილ ღრუბელს
წვიმაში ქოლგით მიყავდა ქრისტე.

*

წუხელ ისე ხმაურობდა ღმერთი...
წუხელ ისე ცახცახებდა მიწა...
წმინდა გრაალ ივსებოდა ცრემლით
და ზეციდან ის ცრემლები წვიმდა.
გამქრალიყო სილამაზეც დილის,
ცას წვდებოდა მგლოვიარე ტურნე,
შავი თალხი დაებურა თბილისს ,
სიკვდილცელით მოდიოდა თურმე.
ანგელოზებს არ ეძინათ ცაზე...
წმინდა გრაალ ივსებოდა ცრემლით...
წუხელ ისე ხმაურობდა ღამე...
წუხელ ისე ხმაურობდა ღმერთი...

ჰაეროვანი პერსპექტივა

ისმის ძაღლის გაბმული ყეფა. თემშარებიდან
გლეხებს მოაქვთ სურნელი გადახნული მიწების.
ჩვენი ძველი ბინიდან ყველაფერი კარგად ჩანს —
დგანან ქოლგით გზისპირზე მარტოხელა ფიჭვები.
და მეც მარტო დარჩენილს ფიქრმა თავი წამართვა.
კვამლის კარაველები მთის ნიავებს მისდევენ.
ზამთრის მოგონებიდან არაფერი გადარჩა.
შორი პროვინციები ახლა ხელებს მიქნევენ.
ცაზე ჩნდება ჩრდილები ღრუბლის ორჩხომელების;
წუთი წუთისოფლიდან გაიტაცა ქიმერამ...
სააბატოს ბაღიდან მხარგაშლილი თელების
ისმის ღამენათევი, ნაღვლიანი სიმღერა.



ირმა ტაველიძე

literatura.ge: შოთას უდაბნო

ის, რაზეც უნდა დავწერო, 2004 წლის ივნისში დაიწყო. იმ დროისათვის სიტყვა „მწერლის" არა მარტო წარმოთქმა, არამედ გაფიქრებაც კი გულისცემას მიჩქარებდა. რაც მანამდე ვწერე, ცარიელი ფურცლების შევსებით თავშექცევას უფრო წააგავდა, ვიდრე რაიმე მიმართულებით სიარულის მცდელობას. მიმართულებებზე ფიქრიც კი არ შემეძლო — ალბათ, ისევე, როგორც მათ უმრავლესობას, ვის ნაწერებსაც ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში ვკითხულობდი. ერთადერთი, რაც გულით მინდოდა, ის იყო, რომ ჩემი საყვარელი მწერლებივით მეწერა და რადგან ამ სურვილს ახდენა არ ეწერა, ერთადერთ გამოსავლად იმიტაცია მეჩვენებოდა — წაკითხულის მთავარი ნიშნების გამეორება. სწორედ ამ საქმიანობაში გართულმა აღმოვაჩინე literatura.ge — პირველი ქართული ლიტერატურული ვებგვერდი.

2004 წლის ივნისში literatura.ge ერთი უსახური ადგილი იყო, თითქმის უდაბნოს ფერებში. ყოველგვარი კონცეფციისგან თავისუფალი, მარტივზე მარტივი დიზაინი, ლიტერატურული ჟანრების კომიკურობამდე მისული ჩამონათვალი, შოთა რუსთაველის სურათი ზედა მარჯვენა კუთხეში. იმ კაცის მოფიქრებულს ჰგავდა, ბავშვობაში წიგნების კითხვა რომ უყვარდა და ძველ სიყვარულს რაღაც აკლდამის მსგავსი აუშენა. დიახ, აქ მშვიდად უნდა განესვენა ლიტერატურას, რომელსაც, ვებგვერდის შემქმნელის წარმოდგენით, სიცოცხლე კარგა ხნის წინ დაესრულებინა. შოთა რუსთაველის სურათიც ერთმნიშვნელოვან მინიშნებად მოჩანდა — სინდისზე ხელი აიღე და წერ?

არ არსებობდა ის, რაზეც ვებგვერდზე შემთხვევით მოხვედრილი მკითხველი და მწერალი (თავგზააბნეული დამწყებიც კი) თვალს შეაჩერებდა. ზოგადად, ასეთ ადგილებს უკანმოუხედავად ტოვებენ ხოლმე. თუ მეტისმეტად მოცლილი იყავით (საბედნიეროდ, ზუსტად ასეთი ვიყავი) და ავტორების ან ნაწარმოებების ჩამონათვალს ჩაუყვებოდით, აუცილებლად გადააწყდებოდით ორი-სამი მეტ-ნაკლებად ცნობილი ავტორის გვარს და სრულიად უცნობ უამრავ ავტორს. ცხადი იყო, რომ რამდენიმე კლასიკური ტექსტი ვებგვერდის შექმნიდან პირველ ექვს დღეში განეთავსებინათ, მეშვიდე დღეს კი ადმინს დაესვენა და მერე საბოლოოდ აეღო ხელი ქართული ლიტერატურის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლების აკრეფაზე.

პირველი ვარაუდების შემდეგ გაჩნდა კითხვა: მართლა შესაძლებელია საკუთარი ტექსტის ამ სივრცეში გამოქვეყნება ყოველგვარი შუამავლის გარეშე? ერთი შეხედვით, სწორედ ამას ელოდნენ მისგან, ვისაც რაღაც ჰქონდა გამოსაქვეყნებელი. სრული გახსნილობა, დემოკრატიულობის არნახული ხარისხი. რა თქმა უნდა, ამას შედეგად მხოლოდ და მხოლოდ გრაფომანული ნაგვის დაგროვება თუ მოჰყვებოდა. ვებგვერდზე განთავსებული ნაწარმოებების სათაურებისა და პირველი ფრაზების გადაკითხვაც კი საკმარისი იყო — არაფერი, არაფერი აქ არ ხდებოდა. რედაქტორის სამუშაოს არავინ ასრულებდა და არც ამგვარი სამუშაოს აუცილებლობას აცნობიერებდა ვინმე. ყოველდღიურად მტკიცდებოდა, რომ სამყაროს რედაქტორის თვალის გარეშეც შეუძლია არსებობა.

თავიდან დამაბნეველი იყო ეს უცნაურად ღია სივრცე, სადაც ტექსტის გამოქვეყნებისთანავე შენი გვარი ავტორთა სიას ემატებოდა და დღეში იმდენი ტექსტის გამოქვეყნება შეგეძლო, რამდენსაც მოისურვებდი. ყოველ წუთს გიწვევდა — გაიძულებდა, გამუდმებით გემტკიცებინა, რომ წერა შენი მთავარი საქმეა. ეიფორიით სავსე პირველი დღეები სწორედ ასეთი იყო — ახლად დარეგისტრირებული ავტორი ერთიანად აქვეყნებდა ყველაფერს, რაც კი ვებგვერდზე რეგისტრაციის დღემდე დაეწერა, შემდეგ კი წარმოუდგენელი სისწრაფით იწყებდა ახალი ტექსტების წერას და თითქმის ყოველდღე გამოქვეყნებას.

მხოლოდ გაუბედაობის გამო ვერ ავყევი ამ რიტმს. როგორც მახსოვს, დასაწყისში სამი პატარა მოთხრობა გამოვაქვეყნე, რომლებიც ერთ-ერთ ლიტერატურულ გაზეთში უკვე დაბეჭდილი იყო და თვეები გავიდა, სანამ ახალ მოთხრობებს გამოვაქვეყნებდი. სულ უფრო მხიბლავდა ეს შესაძლებლობა — როცა შენს ნაწერს მკითხველი იმავე წამს კითხულობს, რა წამსაც აწვდი; როცა იცი, რომ ვიღაც მოუთმენლად გელოდება. რასაც წერ — წყალია უდაბნოში, რომლის ხარისხსაც არავინ უყურებს.

ასეთები ვიყავით — მოწყურებულები.

ვერც ერთი ლიტერატურული პერიოდული გამოცემის რედაქცია ვერ იქნებოდა ასეთი გახსნილი, ვერ დაუშვებდა ამგვარ უპირობო მიმღებლობას. ის, რაც თავიდან გვაცბუნებდა, შემდეგ ყოველდღიურ აუცილებლობადაც კი გვექცა:სულ ნაგავში ვიქექებოდით, მუდმივად რაღაცას ვეძებდით. ხანდახან ასეც ხდებოდა ხოლმე: წყლით სავსე ჭურჭელი ხელის გაწვდენაზე იდო, გველოდა. თუმცა, მეორე მხრივ, მირაჟებიც იყო, მოჩვენებებიც, წამიერი გაელვებებიც. სწორედ ამ დროს და ამ ადგილას აღმოვაჩინე: დავით გაბუნია, ლელა სამნიაშვილი, თამთა მელაშვილი, მაგდა კალანდაძე, ალეკო ცქიტიშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზვიად დევდარიანი. ყველას თითქოს რაღაც შეგვეყარა: ვწერდით და ვწერდით. გაუთავებლად ვლაპარაკობდით ჩვენს ნაწერებზე, მუდმივად ვუსწორებდით ერთმანეთს, უცერემონიოდ ვერეოდით სხვის სამუშაო პროცესში, დაუნდობლად ვაკრიტიკებდით ყველაფერს, რაც ჩვენს ყურადღებას რაღაცით იპყრობდა.

ნლების შემდეგ მეჩვენება, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს იყო — ავტორსა და მკითხველს შორის ყოველწუთიერი ურთიერთობის შესაძლებლობა, წარმოუდგენელი რამ ჩაკეტილ სივრცეებს ნაჩვევთათვის. ვებგვერდის სტრუქტურა რამდენადაც პრიმიტიული იყო, იმდენადვე — კომფორტული. საუბრის წარმართვა ერთადერთ სიბრტყეზე შეიძლებოდა, ყოველი ახალი პოსტი წინა პოსტის ზემოთ თავსდებოდა, ძველი პოსტები კი ავტომატურად იშლებოდა. მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა რჩებოდა — ყოველი ახალი კომენტარის გამოქვეყნება რომელიღაც ძველი კომენტარისთვის საბედისწერო განაჩენის გამოტანას ნიშნავდა. ამდენად, შეგეძლო, უშიშრად გეწერა — უმადურ შთამომავლობას არაფერიც არ დარჩებოდა. როცა წერდი ცოტა ხნის წინ წაკითხულ წიგნზე, ახლად განთავსებულ ნაწარმოებსა თუ, უბრალოდ, ამინდზე, უმცირეს დაძაბულობასაც კი არ გრძნობდი. ყველა შენი აზრი იმთავითვე განწირული იყო არყოფნის ტალღებზე მარადიული რწევისთვის.

ყველა ერთად ვლაპარაკობდით და ამ ლაპარაკში ყველაფერი ლიტერატურად იქცეოდა. სცენა — იგივე. მოქმედი პირნი — იგივე. ვქმნიდით რაღაც დრამატულ ნაწარმოებს, რომელსაც დასასრული ვერ ექნებოდა, რამდენადაც ჩვენი ნაწერი ყოველთვის იძლეოდა გაგრძელების შესაძლებლობას. თემები იცვლებოდა, მეორდებოდა, განახლებული სახით წარმოგვიდგებოდა, ისევ ძველდებოდა და სახეს იცვლიდა. მოკლედ, ყველაფერი ხდებოდა, რაც კი შეიძლებოდა, მომხდარიყო. სასაუბრო სივრცე თავისუფალი იყო ინტერნეტ-ფორუმებისთვის დამახასიათებელი ნევროზულობისგან: ერთი კვირის წინ ნათქვამს ვერავინ გაგახსენებდა და ვერც პოზიციის რადიკალურად შეცვლაში დაგდებდა ბრალს. და საბუთი? სად იყო საბუთი?

სამუშაო რვეული, შავი ფურცლები — უფრო ამას ჰგავდა ამ ვებგვერდის სასაუბრო სივრცე, რომლის ნაყოფიერად გამოყენების პოტენციალიც შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ყოველთვის იყო ვიღაც, ვინც შენს კითხვას პასუხობდა და ვიღაც, ვინც შენს კითხვას სხვაგვარად პასუხობდა და ვიღაც, ვინც შენს კითხვაზე პასუხებს სადღაც სხვაგან ეძებდა. ყოველთვის იპოვიდი მოხალისეს, ვისაც ნახევარი საათის წინ დაწერილ ლექსს წააკითხებდი და მოხალისეებს, რომლებიც იმ ლექსისგან აღარაფერს დატოვებდნენ — მარცვალ-მარცვალ გაარჩევდნენ და სტრიქონ-სტრიქონ ქარს გაატანდნენ. სისასტიკე, დაუნდობლობა, სიმართლის პირში თქმა — თითქოს ყველა შეთანხმებულიყო, რომ სიკეთის კეთება მხოლოდ ასე შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, კრიტიკული შენიშვნები ზოგჯერ მოუზომავიც იყო და გაუმართლებელიც, მაგრამ ავტორებისთვის ესეც კი უფრო სასარგებლო ჩანდა, ვიდრე მათი ნაწერების სადავო ღირსებებით არაგულწრფელი აღფრთოვანება.

რატომ ვწერ ამ ყველაფერს? მეჩვენება, რომ რაღაც ძალიან იშვიათის მომსწრე გავხდი, ქაოსის წიაღში ჩასახული მოწესრიგებული მოძრაობების, თითქმის სტიქიური მოვლენის, რომელმაც სახე იცვალა და რაღაც სხვად იქცა. ის გამოცდილება, რომელიც literatura.ge-ს ავტორ-მკითხველების ნაწილმა 2004-2005 წლებში მივიღეთ, განუმეორებელი მგონია. სხვა პირობებში ამავე შედეგის მიღება, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა. ეს იყო პირველი და ერთადერთი ვირტუალური ლიტერატურული სახელოსნო, სადაც ერთმანეთზე ზემოქმედებით ერთმანეთს ვზრდიდით, ბევრს ვმუშაობდით საკუთარ თავზე, რადგან მეტის გაკეთება გვინდოდა — ხანდახან იმაზე მეტისაც, ვიდრე შეგვეძლო.

ვებგვერდზე შოთა რუსთაველის სურათის განთავსებას საკუთარ საძინებელში, საწოლის თავზე, მშობლების პორტრეტების ჩამოკიდებას ვადარებდი. რაც საწოლში ხდებოდა, ან შეიძლებოდა, მომხდარიყო, არაფრით უკავშირდებოდა ასეთ ავტორიტეტულ სიმაღლეს. ვამბობდი, რისთვის გვჭირდება მშობლების ჩრდილები-მეთქი.

ჩრდილი კარგია უდაბნოში. ადრე თუ გვიან, მისი პოვნის იმედი გეწურება, მაგრამ სიარულს მაინც აგრძელებ და თავს იმით იმშვიდებ, რომ მიმართულება თავად აირჩიე — გამომშრალ კანსა თუ დახეთქილ ტუჩებზე მნიშვნელოვანი სწორედ ესაა. სიარული არჩეული მიმართულებით. თანამგზავრისა თუ თანამგზავრების გარეშე. მანუგეშებელ ერთფეროვნებაში, სადაც ბუნებრივად ჩნდება რაღაც ღირებულის პოვნის მოლოდინი. არ ვიცი, ამ ყველაფერს რამდენად აცნობიერებდა ვებგვერდის შემქმნელი, რომელსაც მართლაც უყვარდა წიგნების კითხვა და კარგი საქმის გაკეთებაც უნდოდა. თუმცა ჩანაფიქრს, ჩემი წარმოდგენით, მაინც ასცდა ის, რაც პირველი ქართული ლიტერატურული ვებგვერდის სახით წარმოგვიდგა 2004 წლის ზაფხულიდან 2006 წლის გაზაფხულამდე. დიახ, ამ წელს literatura.ge-მ არსებობა დაასრულა და რასაც მას შემდეგ ვხედავდით ლიტერატურული პორტალისა თუ ლიტერატურული ფორუმის სახით, მხოლოდ სუსტი შუქი იყო, ჩამქრალი სინათლის წყაროდან დროებით მომავალი. ვებგვერდის რეორგანიზებამ შეუძლებელი გახადა შემოქმედებითი სამუშაოების ჩატარება იმ სახით, როგორც ეს მანამდე ხდებოდა. მომდევნო წლებში სოციალური ქსელების გაჩენამ კი ყოველგვარი აზრი გამოაცალა ლიტერატურით გაერთიანებულთა ვირტუალურ თავყრილობებს.

ვის შეიძლება, წააკითხო შენი პოემა სოციალურ ქსელში?

იმ დროს იმ ადგილას მოხვედრა, ალბათ, ერთგვარი გამართლება იყო — პირველი ორიენტირების მონიშვნის შესაძლებლობა, ყოველდღიური მუშაობის აუცილებლობის გაცნობიერება, კრიტიკის აუღელვებლად მიღება. დარწმუნებული ვარ, იმ წლებში რაღაც ნამდვილად ვისწავლეთ. დღეს literatura.ge-ს ასლის, ზუსტად იმავე პარამეტრებით ლიტერატურული ვებგვერდის შექმნა სრულიად აბსურდული, არაფრისმომცემი წამოწყება იქნებოდა. ამიტომაც, არ ვლაპარაკობ literatura.ge-ზე, როგორც დაკარგულ შესაძლებლობაზე. ის უფრო გამქრალი ადგილია, ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად სამუდამოდ გაუჩინარებული — ადგილი, რომლის მკვიდრთაც, შესაძლოა, ოპტიკური ილუზიების გარდა არც არაფერი უხილავთ.

შემდეგი ნომერი გამოვა 4 სექტემბერს

„ლიტერატურული გაზეთის" გამოწერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე"-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 772346 794004